



ლიბეჩანი

№ 57 / 20 - 26 დეკემბერი / 2010

მზად ვართ თუ არა დიგიტალიზაციისთვის? **გვ. 08**

ინტერვიუ დიმიტრი შაპკინთან **გვ. 32**

ჯულიან ასაშის პირობითი თავისუფლება **გვ. 16**

საპროცესო გარიგება: სახელმწიფო დამოკიდებული სამართალი **გვ. 29**

ეკონომიკა: „სახლი კურსი“, ძველი პრობლემები **გვ. 23**

იმპორტული კულტურა **გვ. 27**

ფოტორეპორტაჟი: ასათიანის ქუჩა №10 **გვ. 36**

ლაშა გულაძე: კატილინას წინააღმდეგ **გვ. 50**

კარგი პოლიციელი, ცუდი პოლიციელი და ჩამოვები **გვ. 52**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



ქაოსი მოსხოვის ქუჩებში

გვ. 19




მთავარი

თემა:

ქართული
ტელევიზიის
„გაციფროვნება“

გვ. 10



ილუსტრაცია რუსლან პირიამ

ნომერი:

- 02 რედაქტორის სვეტი
- 04 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 06 მოკლედ
- 08 **ორი აზრი**
მზად ვართ თუ არა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად?
ჯემალ ვაშაკიძე VS ნათია კუპრაშვილი
მთავარი თემა
- 10 ქართული ტელემედიის „გაციფროვნება“
- 15 **ინტერვიუ**
მზადება 2015-თვის
ლევან გახელაძე
მსოფლიო
- 16 პირობითი თავისუფლება
მეზობლები
- 19 ქაოსი მოსკოვის ქუჩებში
კონფლიქტები
- 21 ყარაულის შეცვლა

ეკონომიკა

- 23 „ახალი კურსი“ და ძველი პრობლემები
- 25 **თხილის ბიზნესი**
სამეგრელოში
„ფერერო როშერის“ მეგრული ისტორია
- 27 **სოფლის მეურნეობა**
იმპორტული კულტურა
სამართალი
- 29 სახელმწიფოზე დამოკიდებული სამართალი
საზოგადოება
- 32 თქვენ გჯერათ იმის, რასაც მეკითხებით?
ინტერვიუ დიმიტრი შაშკინთან
- 36 **ფოტორეპორტაჟი**
ასათიანის ქუჩა N10
- 40 **ინტერვიუ**
სიმართლე – ნებისმიერ ფასად
მარი კოლვინი

თვალსაზრისი

- 42 ვინ წყვეტს, ვინ ვართ ჩვენ?
მარკ მალენი
- 44 პოსტიდევოლოგიური თაობა და მისი მემბროზე გმირები
გიორგი ცხადაია
მედიაკრიტიკა
- 46 აგრესიული ჰომოფობი „აუდიტორია“ და მისი წამყვანი
ტექნოლოგიები
- 48 როგორია სამგანზომილებიანი კინოს მომავალი?
- 50 **თვალსაზრისი**
კატლინას წინააღმდეგ
ლაშა ბუღაძე
სპორტი
- 51 საშობაო თამაშები
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 52 კარგი პოლიციელი, ცუდი პოლიციელი და ჩამშვები

ბარეკანზე:

ქაოსი რუსეთში
ფოტო: დენის სინიაკოვი / Reuters



ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



რამდენიმე კვირის წინ, „ლიბერალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ანა დოლიძის ბლოგი სათაურით „ბორატი საქართველოს ბანკიდან“. ანა განიხილავდა „საქართველოს ბანკის“ სარეკლამო რგოლს, სადაც ქალები „ნახმარ მანქანას“ შეადარეს, რომელიც „ისეთი აღარ არის, როგორც ადრე“.

ამ სტატიას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. კომენტატორების უმრავლესობა იზიარებდა ავტორის პათოსს და რეკლამას შეურაცხყოფად მიიჩნევდა. აქვე ციტატა სტატიიდან: „სამწუხაროა ისიც, რომ ბანკის მრავალსაფეხურიან მმართველობაში, სადაც მცირედ, მაგრამ მაინც არიან ქალები, ამ სამარცხვინო სარეკლამო რგოლთან და მასში მოტანილ პარალელებთან უხერხულოა არავის შექმნია და ამ რგოლმა ბანკისაგან დასტური მიიღო. ამით ისიც ჩანს, რომ ლონდონის ბირჟაზე აქციებით ვაჭრობიდან საქართველოს ბანკს ფულის მოზიდვის ტექნიკის გარდა ვერაფერი გაუთავისებია...“

სწორედ ამ პერიოდში „ლიბერალის“ გა-

მომცემლობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა „საქართველოს ბანკთან“ ჩვენს ჟურნალში რეკლამის განთავსების თაობაზე. ბლოგის გამოქვეყნების შემდეგ, ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ გამოხატა თავის უკმაყოფილება და გვითხრა, რომ გაბრაზდნენ არა თავად კრიტიკული რეცენზიის გამო, არამედ იმის გამო, რომ ავტორი ეჭვქვეშ აყენებს ბანკის ლონდონის ბირჟაზე ვაჭრობის ფაქტს („გვარწმუნებენ, რომ ბანკის აქციებით ლონდონის ბირჟაზეც კი ვაჭრობენ“ – წერს ავტორი).

პასუხად, ჩვენ შევთავაზეთ, რომ დაენერათ კრიტიკული გამოხმაურება, რომელსაც დიდი სიამოვნებით დავბეჭდავდით. ასევე ვუხსნიდით, რომ პროფესიულ მედიას მოეთხოვება დამოუკიდებლობა როგორც პოლიტიკური, ასევე კომერციული ინტერესებისაგან. ბლოგის არგამოქვეყნება კი, ან ავტორის თვალსაზრისის აზრობრივი გარედაქტირება, რეკლამის დაკარგვის შიშით, ჩვენი მხრიდან, კლასიკური ინტერესთა კონფლიქტი და ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, სრულიად უპრინციპო და არაკეთილსინდისიერი საქციელი იქნებოდა.

სამწუხაროდ, ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ „საქართველოს ბანკმა“ ჩვენთან ყველანაირ თანამშრომლობაზე უარი თქვა.

არადა, როგორ შეიძლება მოქცეულიყო „საქართველოს ბანკი“? აქ რამდენიმე შესაძლო ცივილური გამოსავალი არსებობს:

1. დაენერათ კრიტიკული გამოხმაურება, რომელსაც დაბეჭდავდა „ლიბერალი“;
2. ბანკს მიეღო ეს შენიშვნა და ბოდიში მოეხადა იმ ქალებისათვის, ვინც სარეკლამო რგოლის გამო თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ბოდიშის მოხდა ბანკს თუნდაც „ლიბერალის“ ვებგვერდზე შეეძლო, იქ, სადაც მიმდინარეობდა დისკუსია ამ თემაზე.
3. ორიგინალური გამოსავალიც მაფიქრდება: რადგან ბლოგი ძალიან პოპულარუ-

ლი იყო, საქართველოს ბანკს ბლოგზევე შეეძლო სარეკლამო ბანერის განთავსება. სამივე შემთხვევაში, ბანკის რეპუტაცია მხოლოდ ამაღლდებოდა.

ცოტა ხნის წინ, სხვა ბანკის წარმომადგენელმა მეგობრულად გვითხრა: ნავიკითხე ჟურნალები და, ღმერთო ჩემო, თქვენ თუ არსებობთ, ესე იგი, ამ ქვეყანაში დემოკრატია ყოფილა, მეტი რაღა გინდათო? თუმცა „ლიბერალში“ რეკლამის განთავსებაზე აქაც სტანდარტული პასუხი მივიღეთ – ჩვენითვის ძალიან მწვავე ხართო.

რეკლამის გარეშე დამოუკიდებელი მედია ვერ იარსებებს. დამოუკიდებელი მედიის გარეშე კი დემოკრატია არ იარსებებს. დემოკრატის გარეშე კი ვერ ვიქნებით „ევროპული ტიპის სახელმწიფო“. ეს კი, მგონი, არავის გვინდა. ამიტომ, იქნებ ვეცადოთ ყველამ ერთად, როგორც მედიამ, ისე ბიზნესმა და კონკრეტულმა კომპანიებმა, გადავიდეთ განვითარების შემდეგ საფეხურზე და შევცვალოთ ის კონიუნქტურა, რაც ჩვენს ბაზარზე არსებობს. იქნებ ვეცადოთ შევცვალოთ აქამდე არსებული სარეკლამო კულტურაც (თუ უკულტურობა), რომელიც არ იცნობს პროფესიული მედიის სტანდარტებს და სადაც თითქმის ყველა მედიასაშუალებაში შეგიძლია იყიდო სარეკლამო სიუჟეტი ან სტატია ისე, რომ ამის შესახებ მაცურებელმა / მიკითხველმა არაფერი იცოდეს.

მოკლედ, გარემოს გასაუმჯობესებლად საჭიროა ჩვენი პარტნიორობა ობიექტურ კაპიტალს ეყრდნობოდეს და არა პოლიტიკური ლოიალობის ან ბიზნეს-ინტერესების მამებლობის ხარისხს. ამიტომ, იქნებ შევცვალოთ ჩვენითვის ჩვეული ლოგიკა და ერთი ნაბიჯი გადავდგათ „სანატრელი ევროპისაკენ“?

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი, ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე
 ჟურნალის რედაქტორი: მანა ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
 კონსტრუქტორები: მარკ მალენი, ვიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუზრუკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ლექსო ჩქარაული, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე, დინა ჩაჩუა, ქეთი ქანთარია
 რედაქციის მენეჯერი: ფოტორედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონდაძე
 ბაიოტექნიკური მენეჯერი: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
 ბაიოტექნიკური მენეჯერი: მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
 სხვა ბაიოტექნიკური მენეჯერი: „ცხელი შოკოლადი“ – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
 „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
 ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
 ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
 გამოდის კვირბო ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
 www.liberali.ge

ISSN 1987-7528

TBILVINO



საახალწლო სარუქარი

შეიძინეთ 3 ბოთლი თხილღვინო და მიიღეთ 1 ბოთლი სარუქარა!



აქსია ქალაქში 2010 წლის 15 დეკემბრიდან 2011 წლის 20 იანვრამდე შეიძლება ოქიაქვაში



ლირაგულია თუ არა „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია?

ასანუჩის მიერ ატეხილი ალიაქოთი არ გამოიწვევს არც მის გაკერპებას და არც მხოლოდ მედიის პრობლემებამდე იქნება დახურდავებული. მან, უბრალოდ, სხვა ფორმით თქვა ის, რაც ისედაც არსებობს – სახელმწიფოების, როგორც ინსტიტუტების, ძალადობის ინსტიტუტების კრიზისი.

სკანდალმა გამოაჩინა, რომ მნიშვნელობა არა აქვს დემოკრატიის ხარისხს, სახელმწიფო, როგორც იძულების აპარატი, ყველგან ერთნაირია, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დემოკრატიის, როგორც იდეალური მმართველობის ფორმის რეალობას...შეთქმულების თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ვიკილიქსი“ შესაძლოა იყოს სახელმწიფოების მიერ შემოგდებული ვაქცინა, რომლის მოქმედებამ სახელმწიფოებს უნდა დაანახოს რეაქცია და გამოატანინოს დასკვნები...

და ბოლოს, სულ არ მაინტერესებს „ვიკილიქსის“ ინფოები ირანზე, რუსეთსა და ჩრდილოეთ კორეაზე, რადგან ეს ქვეყნები არ არიან ის მიზნები, რომლისკენაც საქართველო მიისწრაფვის.

გიორგი უძილაური

ხელფასს + პრემია

ძალიან კარგი ინიციატივაა! ასეთი ვებგვერდი კარგა ხნის წინ უნდა გაკეთებულიყო.

თიკო



კეკი გრძელინიძეა სისტემის წინააღმდეგ

ინგლისელებს აქვთ ასეთი ანდაზა: სჯობს იყო წარმატებული კაცი, ვიდრე კარგი კაცი. ანდაზა, ცხადია, ირო-

ნიულია. ამ სტატიით, ფაქტობრივად, გვთავაზობთ ერთი კატეგორიის წარმატებული ადამიანების მეორე, უფრო „კეთილშობილი“ წარმატებული ადამიანების კულტი ჩანაცვლებას, ანუ ერთი ამორალობის სანაცვლოდ – მეორეს. ამგვარი მიდგომით მივიღებთ საზოგადოებას, სადაც ყველაფერს გაპატიებენ, თუკი წარმატებული ხარ, რადგან შენგან შეიძლება რამეს გამოიჩინენ.

ბატონი ნილსონი

სამწუხარო რეალობაა! მაგრამ ჩემი ახლობელი ბავშვები მაინც უფრო პეპით არიან აღფრთოვანებული, ვიდრე „კეთილი მანდატურით“!

სტუმარი



მე მოსკოვიში ვიყავი

კრემლი უნდა გენახა ნინო, ოღონდ მისი ინტერიერები... ჯორჯ ბუშის პირველი ვიზიტისას მალაქიტის დარბაზში ვიჯექი, როცა ის სიტყვით გამოდიოდა და გაცემული თვალებს აცეცებდა ნამდვილი ოქროსგან მოჭიქული პილასტრებისკენ. ალმასის ფონდი უნდა გენახა და იარაღის პალატა... ტრეტიაკოვის გალერეა უნდა გენახა და პუშკინის სახელობის მუზეუმი, რომელიც ლუვრის და უფიცის დონისაა ნამდვილად... სტატიის პირველი აბზაცი არაფრის მთქმელია და, ცოტა არ იყოს, ისეთია რასაც „ატლანტიკური“ პრომოუქონალები ბეჭდავენ მხოლოდ.

დავიდ

არაფრის მთქმელი და უფერული სტატიია. პრინციპში, რუსეთიდან სხვას არც არაფერს უნდა ელოდეს კაცი :))

სტუმარი ჩხორონყუდან



ვაჭრობა თავისუფალი ვაჭრობისთვის

ნანილობრივ გეთანხმები, რომ ქართული პროდუქტის ექსპორტი გაადვილდება, თუმცა სასწორის ერთ პინაზე რომ დავდოთ ეს არგუმენტი და მეორეზე – აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, რომელი გადანონის? რომელი უფრო მომგებიანი იქნება საქართველოსთვის, ქართული პროდუქციის დაბრუნება რუსულ ბაზარზე და რუსეთის ამ ორგანიზაციაში შესვლა, თუ ამ პროცესის გაჯანჯლება და რუსეთის მხრიდან პოზიციების მაქსიმალურად შერბილება? რაც შეეხება რუსეთის თამაშგარეობას, ეს მას სულაც არ აინტერესებს, არც აწუხებს და არც ამ პოზიციის დაკარგვა სურს, რადგან თამაშგარეში ყოფნა მას არანაირ ვალდებულებებს აკისრებს, პირიქით, მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს და ფაქტიც სახეზეა: დღესაც, 21-ე საუკუნეში მე-19 საუკუნის მეთოდებით აგრძელებს თავის პოლიტიკას. და თუ რაიმენაირი ნორმები დაუწესდება, მისთვის ამ ნორმებისგან გასვლა ან მათი დარღვევა, არ წარმოადგენს პრობლემას, სამწუხაროდ !!!

და კიდევ, რაც შეეხება ევროკავშირსა და საქართველოს შორის მეგობრობას, მაპატიეთ, მაგრამ პოლიტიკაში მეგობრობაზე მეტად პარტნიორობის მჯერა, რადგან მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს, არამედ არსებობს პარტნიორობა. დღესდღეობით, ევროკავშირი და საქართველო არიან პარტნიორები და არა მეგობრები. არამარტო ეს ორი, არამედ ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკა პარტნიორობაზეა დამყარებული და არა მეგობრობაზე.

უსახელოო

მე მოსკოვიში ვიყავი

ნინო ვიქილაშვილის ბლოგი

ამ ქალაქში არაფერმა დამაინტერესა. მანამდე ასე არასდროს მომსვლია. კონფერენციის პარალელურად შემძლო ბევრი რამ შენახა. მით უმეტეს, რომ მე აქ სულ ორჯერ ვარ ნამყოფი: ერთხელ, ღრმა ბავშვობაში, როდესაც ჩემი ანსამბლი იქ, პიონერთა სასახლეში კონცერტით წარსდგა – მე ცოტა სიმღერა და დიდი დოზით კონფერანსიობა მერგო წილად და მეორედ, 2001-ში, პირველი არხის ჟურნალისტობისას, ამ ქალაქიდან ზურაბ ჟვანიას ვიზიტი გავაშუქე.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მე მოსკოვს არ ვიცნობ: ადრე ვერ ვნახე, ახლა უკვე – არ... ჩემი სამდღიანი მარშრუტი ერთფეროვანი იყო: სასტუმრო „იზმაილოვო“ – მეტრო – არბატი, სადაც ევროკავშირის კონფერენცია მიმდინარეობდა და უკან...

კვიზილი 1

რუს ჟურნალისტთა სახლი. საკონფერენციო დარბაზი ფოტოებით არის აჭრელებული. მათგან ყველა საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ჟურნალისტია. მათ საკუთარი პროფესია და აუდიტორია მძიმე რეჟიმის პირობებშიც კი არ შეურაცხყვეს. კედელი მხოლოდ ნაწილს იტევს. არაოფიციალური სტატისტიკით, ციფრი 330-ს სცილდება.

მაშინვე იმის ანგარიშს ვიწყებ, ჩემს ქვეყანაში რამდენმა შეძლო პროფესიისთვის არა სიცოცხლის, არამედ გაცილებით მარტივის – კარიერის და ფინანსური კეთილდღეობის დათმობა. რა სამწუხაროა, რომ უკვე ნახსენები ციფრის მეათედსაც ვერ ვითვლი. ჩემი ანგარიში სუბიექტურია? ...შეგიძლიათ დამეხმაროთ.

მოკლედ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჟურნალისტურმა ქსელმა და ფონდმა „თომსონ ფაუნდემენმა“ პოსტსტაბჭოთა მედიის გამოწვევებზე შეკრებილი დარბაზის მართვის უფლება რუს ჟურნალისტთა გაერთიანებას მისცეს. რუსმა ჟურნალისტებმა – ძირითადად, ერთმანეთს. ინუწუნეს ზომიერად, გააანალიზეს მედია გარემო – ღრმად და კარგად, ერთმანეთი შეაქეს – დიდი დოზით, მქუხარე ტაში შეაგებეს – ახალი მერის ახალ მოადგილეს, მედიასთან ურ-

თიერთობის საკითხებში – იმსახურებდა: ის ხომ ამ პოზიციაზე სულ ცოტა ხნის წინ პირდაპირ ჟურნალისტიკიდან მოხვდა. „დანარჩენებს“ – ბელარუსებს, უკრაინელებს, სომხებს 10-10 წუთით პოზიციის წარმოდგენის საშუალება მისცეს. ქართველებს, აზერბაიჯანელებს და მოლდოველებს – არც ერთი წუთით.

აღუშფოთლით! ტრიბუნისკენ დაუპატიჟებლად მიმავალმა ზვიად ქორიძემაც კიბეზე ზუსტად ისე მსუბუქად აირბინა, როგორც მისი ქვეყნის ლიდერს სჩვევია... პირდაპირ უთხრა ბევრი რამ; ვიცემერს და შეკრებილ საზოგადოებას კი შეახსენა, რომ ხელისუფლებაში მედიიდან წასვლა ტაშს ნაკლებად იმსახურებს, რომ ეს სულ მცირე კონფორმიზმი, ყველაზე უარეს შემთხვევაში – კორუფცია. აპლოდისმენტები ზვიადის გამოსვლასაც მოჰყვა, ჩვენც დარბაზიდან შესვენებაზე წელგამართულნი გამოვედით...

რა საინტერესოა, რომ ამდენ ხანს ვერაინ შევნიშნეთ: ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თერთი ბიუსტი... იცით რომელი? თვალები თან რომ აქვს, თან რომ არა და თან მაინც დაკვირვებით რომ იყურება. რუსი ჟურნალისტების სახლში ბიუსტს ადგილი ცენტრალური დარბაზის მოპირდაპირე მხარეს აქვს გამოყოფილი. შეგიძლიათ მისი ჩრდილის ქვეშ ჩამოჯდეთ და რუს კოლეგებთან მედია ცენტრის პრობლემებზეც ისაუბროთ... გარემო განსაკუთრებით შთაბეჭდავი ხდება, როცა დარბაზის კარი ფართოდ იღება, ტერიტორია მთლიანად იცლება და ლენინის ბიუსტი გარდაცვლილი რუსი ჟურნალისტების ფოტოებთან პირისპირ მარტო რჩება. კედელი ისეა მოწყობილი, რომ ადგილები შენახულია...

კვიზილი 2

„მშვენიერმა მაისმა, გული გამის-ხალი-სხა... აბა-დელი-დელი-დელი-დელააა...“. მჭექარე ხმას საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელთან მივყავარ. ზურგით დგას და ეჭვიც მასზე მაქვს. – ნეტავ, რა დალია ამისთანა? ...ტრიალდება და აშკარად არ მღერის. იმ კაცის გვარი, რომელსაც ზვიად ფორჩუა ეფარებოდა და რომელიც თურმე ჩვენს პატივსაცემ-

მად მღეროდა, კი ვკითხე, მაგრამ დამავინყდა. ისიც ჟურნალისტიკა, მასპინძელთაგან. ჩვენთან შესახვედრად საგანგებოდ არ უმეცადინია. ქართული სიმღერა იცოდა, თავისი სიტყვებიანად. ცოდნის გამოსამქვლავნებლად მცირე დოზით გრადუსი დაჭირდა. ალბათ, გულის სიღრმეში, როგორც იტყვიან, „რალაცატომ“ ვუყვარვართ. აბა, რა ძალამ ასწავლა ეს სიმღერა?

კვიზილი 3

მესამე დღის ბოლოს ვიძალბე და ფოტო აპარატით ლენინს მივაშურებ. დამლაგებული ქალბატონი ყვავილებს რწყავს და ძალიან დიდი გულისხმიერებით მთავაზობს განათების დამატებას – ყველა ჭაღს ანთებს, უკეთესი ფოტოები რომ გამომივიდეს. ფოტოაპარატის ჩხაკუნს ზურგს უკან ჩახველება და კომენტარი მოსდევს. მოკლე დიალოგი ჭრიჭინას „არის“ შემსრულებელთან:

- Снимайте, снимайте, пока стоит...
- Как-то не видно перспективы, что в ближайшем будущем не будет стоять...
- Да, слава Богу, что не видно, а то дураки в других городах уже убрали...

კვიზილი 4

ისევ მეტრო, უკვე „ბელორუსკი“ ვაგზისკენ მივქრივართ, იქიდან – „შერემეტიევოში“. რუსული საზოგადოება წიგნშია თავჩარგული. ვერც ამწნევენ, ვაგონები ელვის სისწრაფით როგორ იტოვებენ უკან ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლს, კიდევ ერთ, ორ, სამ ლენინს, მშრომელთა ქანდაკებას... დიანა ტრაპაიძე მთელი გზა არ ეშვება საგაზეთო ჯიხურების გამყიდველებს: „ნოვია ვაზეტა“ გააქვთ? ...არა? ...რატომ? გაზეთი, რომელსაც ყველაზე მეტი ჟურნალისტი მოუკლეს, არსად არ იყიდება. ვითომ გაიყიდა და იმიტომ?

P.S. გთხოვთ, ვინც სოციალურ ქსელებში კომენტარს დატოვებთ, ამ პოსტს ნუ გამოიყენებთ ანტი-რუსული პროპაგანდისთვის. გამოგტიყდებით, რომ ჩანანერის დასაწყისი ყველაზე მეტად არ მომწონს და კიდევ თუ ჩავალ ოდესმე, დიდი იმედი მაქვს, მოსკოვს აუცილებლად დავათვალიერებ!



ფოტო: ლეონ სტატიანი

ბაჩიანი აქვს ნიშნა სხანდაი

„ქართული პარტიის“ წევრს – ლევან გაჩეჩილაძეს – მიხეილ სააკაშვილთან გარიგებაში ადანაშაულებენ. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ მიხეილ სააკაშვილი და ლევან გაჩეჩილაძე ერთმანეთს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, იპოდრომის აქციის ჩატარებამდე შეხვდნენ ერთმანეთს. გაზეთის მტკიცებით, გაჩეჩილაძე დათანხმდა, რომ ოპოზიცია აქციას გართულებების გარეშე ჩაატარებდა და პრეზიდენტის ინაუგურაციას ხელს არ შეუშლიდა. სანაცვლოდ გაჩეჩილაძე სააკაშვილს სთხოვდა 6 თვით პრემიერ-მინისტრად დანიშნვას, 5 მილიონ ლარს პირადი სარგებლობისთვის და 10-12 მილიონს – ილია ჭავჭავაძის სახელობის საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად. გაზეთის წყაროს მტკიცებით, გაჩეჩილაძემ ამ გარიგებიდან საბოლოოდ მხოლოდ 2 მილიონი ლარი მიიღო.

სტატიის ავტორის ცნობით, ინფორმაციის წყარო 2008 წელს სახელისუფლებო გუნდის წევრი იყო, ამჟამად კი ხელისუფლებასთან რადიკალურად დაპირისპირებული ჯგუფის წევრია. „ქართულ პარტიაში“ ამ ინფორმაციას და პირობების წერილობითი ჩამონათვალის არსებობას უარყოფენ. გაჩეჩილაძე 2008 წლის იანვარში სააკაშვილთან შეხვედრას ადასტურებს, თუმცა ამბობს, რომ მასთან ერთად ამ შეხვედრაზე დავით უსუფაშვილი და ნინო ბურჯანაძეც იმყოფებოდნენ. ნინო ბურჯანაძე მედიასთან ამ თემაზე ჯერჯერობით არ საუბრობს. სააგენტო „ექსპრესნიუსის“ ცნობით, „ასავალ-დასავალს“ წერილი ბადრი ბიწაძემ მიანოდა. „ლიბერალთან“ საუბრისას ბიწაძემ განაცხადა, რომ არ იცის, რა წერილზეა საუბარი. „ქართულმა პარტიამ“ საქართველოს ყურნალისტური ეთიკის ქარტიას წერილობითი მიმართა, შეისწავლოს დაარღვია თუ არა ჯაბა ხუბუამ ყურნალისტური ეთიკის ნორმები.

ბაჩიანი აქვს ნიშნა
 19 დეკემბერს ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია ათმა კანდიდატმა გაიარა. მოქმედმა პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ კენჭი მეოთხედ იყარა. „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“ წოდებულ ლუკაშენკოს ამჯერადაც გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს. ლუკაშენკო ქვეყანას 1994 წლიდან მართავს. მისი პრეზიდენტობისას ჩატარებული არც ერთი არჩევნები ევროპულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა.

ხიჩაიხე ჰოლხაი ბაჩიანი
 ამერიკელი დიპლომატი რიჩარდ ჰოლბრუკი 69 წლის ასაკში გულის ოპერაციის გაკეთების შემდეგ გარდაიცვალა. ჰოლბრუკის ოჯახს სამძიმრის წერილი პრეზიდენტმა სააკაშვილმაც გაუგზავნა, სადაც პრეზიდენტი დიპლომატს ამერიკული ღირებულებების ჩემპიონს და მის სანდო მეგობარს უწოდებს: „ქართველი ხალხისთვის ის იყო ადამიანი, რომელსაც ახალგაზრდა დემოკრატიის ბედი ადარდებდა და ადამიანი, ვისაც საქართველოს შესაძლებლობების სჯეროდა. ამერიკამ დიდი ადამიანი, მე კი სანდო მეგობარი დავკარგე.“ – ნათქვამია პრეზიდენტის წერილში.

სხანდაი ხოსოვოში



კოსოვოს პრემიერ-მინისტრს იარალის, ნარკოტიკისა და ადამიანის ორგანოების კონტრაბანდში ადანაშაულებენ. ჰაშიმ თაჩის კონტრაბანდულ საქმიანობაში ევროპის საბჭოს ორგანიზებული დანაშაულის ანგარიში ამხელს. ანგარიშის მიხედვით, თაჩი დამნაშავეთა ჯგუფს 1999 წლის კოსოვოს ომის მერე მეთაურობს. ანგარიში ფედერალური

გამოძიების ბიუროს (FBI) და უშიშროების სხვა წყაროებს ეყრდნობა. პრიშტინას სასამართლოში საქმე უკვე აღძრულია. სასამართლო 2008 წელს აღმოჩენილ საქმეს განიხილავს, რომლის მიხედვითაც ორგანოებს ლარიზ პაციენტებს სხეულიდან კოსოვოს ერთ-ერთ კლინიკაში „მედიკუსში“ აჭრიდნენ და ევროპის შავ ბაზარზე გაჰყვნიდათ. თაჩის გარემოცვას სერბეთ-ალბანეთის საზღვარზე ტყვეების გადაყვანაში და შემდეგ ორგანოებისთვის მათ მკვლელობაში ადანაშაულებენ.

შიდსის ბაჩიანი ხიჩაიხე

ექიმები ამტკიცებენ, რომ HIV-ით ინფიცირებული პაციენტი, რომელმაც ლეროვანი უჯრედი გადაინერგა, ვირუსისგან განიკურნა. „ბერლინის პაციენტად“ წოდებულმა – ტიმოტი რეი ბრაუნმა უჯრედი 2007 წელს ლეიკემიის მკურნალობისას გადაინერგა. მისი ექიმების მტკიცებით, ხანგრძლივი ტესტები უჩვენებს, რომ ბრაუნი შიდსისგან განიკურნა. ყურნალმა „ტაიმმა“ კი ის 2010 წლის სამედიცინო აღმოჩენების ათეულში შეიყვანა. მკურნალობის მეთოდად ლეროვანი უჯრედის გადანერგვა



შეიძლება, მსოფლიოში HIV ვირუსით ინფიცირებული 33 მილიონი ადამიანისთვის გამოიყენონ.

იხანდაი სახითხილოში 7 ჰიოუხს დაფინანსებს




იუნესკო საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის მიერ წარდგენილ 7 პროექტს დააფინანსებს. პროექტის მთლიანი ღირებულება 126.000 აშშ დოლარია. თანხა

მოხმარდება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შესული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დოკუმენტაციის განახლებას, მცხეთის ისტორიული ძეგლების მართვის გაუმჯობესებას, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისადმი მიძღვნილი ქართულ-ინგლისური საიუბილეო კატალოგისა და ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ფოტოალბომის გამოცემას, მოქვის სახარების დიაგნოსტიკასა და ციფრულ მატარებლებზე გადაყვანას.

ხისხვები	27	950	77,7 %	3
დეკემბერს თსუ-ს რექტორს აირჩევნენ.	მილიარდ რუბლს დახარჯავს რუსეთი სოჭის ოლიმპიადისთვის.	უსაფრთხოების ღირებულებას აუცილებლობას დადებითად აფასებს.	ლარი გახდება ნავის გადასახადი სულზე.	

სიტუატი



„პოზიცია, რომელსაც თანათავმჯდომარეები აფიქსირებენ, უნდა იყოს ბევრად უფრო მკაფიო და მყარი. ჩვენ არ დავგიმალავს ჩვენი იმედგაცრუება ამასთან დაკავშირებით“.

გიგა ბოკერია ყენევის მოლაპარაკებების შემდეგ

„ჩვენ მორიგეობით გვიძინავს ყველაფერი კონტროლის ქვეშაა“.

ვლადიმირ პუტინი კითხვაზე, თუ ვინ მართავს ქვეყანას, როცა მედვედევს ძინავს.

„თუ ადამიანებს არ ესმით მონოდეტების, მაშინ ძალაუფლება უნდა გამოიყენო“.

პატრიარქი კირილი მანუჟის მოედანზე მომხდარ არეულობაზე.

„მათ, ვინც დატოვეს ეს ფორუმი – და ამ შემთხვევაში, მე ვსაუბრობ საქართველოზე – ვერაფერიც ვერ მოიგეს. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, ურთიერთობა ჰქონდეთ ყველა ქვეყანასთან ერთობლივად... დღეს ადასტურებს თავის უნარს, მოავგაროს ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის, რაც გვეხმარება ჩვენ ერთობლივ განვითარებაში“.

მედევევი დსო-ს მნიშვნელობაზე



მომხრე
ჯემალ ვაშაკიძე
 ეკონომიკის და მდგრადი განვითარების
 სამინისტროს კავშირგაბმულობის,
 საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების
 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლელად ელექტრო-
 ნული მედიის განვითარება და მომხმარებელთა სწრაფად
 მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებე-
 ლია.

ტელეკომუნიკაციათა საერთაშორისო კავშირის 2006
 წლის შეთანხმებით, საქართველო, ისევე როგორც ევრო-
 პის ყველა ქვეყანა, 2015 წლამდე ციფრულ მაუწყებლო-
 ბაზე უნდა გადავიდეს. ეს გადაწყვეტილება სავალდებუ-
 ლოა და ცვლილებას არ ექვემდებარება.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის მოსამზა-
 დებელი სამუშაოები დაწყებულია – ქვეყნის ტერიტო-
 რია დაიყო 10 სამაუწყებლო ზონად. საქართველოს
 გამოეყო 175 ციფრული არხი და უკვე მოხდა მათი
 კოორდინაცია მეზობელ სახელმწიფოებთან. სამინის-
 ტროს ინიციატივით და ევროკავშირის მხარდაჭერით
 უკვე ჩატარდა კონფერენცია, სადაც ქართული ტელე-
 ვიზიების წარმომადგენლებს ციფრულ მაუწყებლობა-
 ზე გადასვლის გამოცდილება ევროპელმა ექსპერტებმა
 გაუზიარეს.

ჩვენი თხოვნით, ტელეკომუნიკაციათა საერთაშორისო
 კავშირის ევროპელი ექსპერტები დაგვეხმარებინან ქვეყა-
 ნაში ციფრული მაუწყებლობის განვითარების კომპლექ-
 სური პროექტის შემუშავებაში. ამ პროექტში განხილული
 იქნება ციფრული მაუწყებლობის ტექნიკური, ტექნოლო-
 გიური, ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები.
 შემუშავდება ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ
 მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის პროექტიც.

იმისთვის, რომ ქვეყანა ციფრულ მაუწყებლობაზე წარ-
 მატებულად გადავიდეს, ამ ორ დოკუმენტში უნდა აისა-
 ხოს ყველა აქტუალური საკითხი და მათი გადაწყვეტის
 გზები.

ქვეყანაში მაუწყებლობის თვისობრივად ახალ სიმაღ-
 ლეზე აყვანა შეუძლებელია, თუ ქვეყნის აღმასრულებე-
 ლი და საკანონმდებლო ხელისუფლება, მაუწყებლები,
 საზოგადოება და ინვესტორები ძალისხმევას არ გააერ-
 თიანებენ.

ვიმედოვნებთ, საზოგადოება გაიაზრებს, რომ ცი-
 ფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არის მაუწყებლობის
 განვითარების ხვალინდელი დღე. ეს არის პერსპექტი-
 ვა, ეს არის მომავალი, ეს არის ჩვენი ქვეყნის მაუწყე-
 ბლობის ევროპულ სამაუწყებლო სივრცეში ღრმა ინტე-
 გრაციის, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კულტურული,
 სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელ-
 შეწყობის გზა.



მზად ვართ თუ არა სიფრულ მაუწყებლობაზე გადასვლიან?

■ **მოსამზადებელი სამუშაოები
 დაწყებულია – ქვეყნის ტერიტორია დაიყო
 10 სამაუწყებლო ზონად.** საქართველოს
 გამოეყო 175 ციფრული არხი და უკვე
 მოხდა მათი კოორდინაცია მეზობელ
 სახელმწიფოებთან.

■ **იქნება თუ არა სუბსიდიები რეგიონული
 მაუწყებლებისთვის? იქნება ერთი თუ
 რამდენიმე გადამცემი? დაეხმარება თუ არა
 ხელისუფლება მოსახლეობას მიმღებების
 შესყიდვაში?** ეს მხოლოდ ნაწილია იმ
 კითხვების, რომლებზეც პასუხი არ გვაქვს.



მონინალმდევე
ნათია კუპრაშვილი
 რეგიონული მაუწყებლობის ასოციაციის
 აღმასრულებელი დირექტორი

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა – ეს არ არის,
 უბრალოდ, ანალოგური სიგნალის გათიშვა და ციფრუ-
 ლის ჩართვა. პროცესი წინასწარ დაგეგმილი აუცილე-
 ბელი ეტაპების გავლას გულისხმობს.

ეს ნიშნავს, რომ ჩემი ასოციაციის წევრ ყველა ტე-
 ლეკომპანიას, რომელიც ლოკალურ ტერიტორიაზე მო-
 ქმედებს, უკვე დღეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა,
 აპარატურა შეცვალოს და ისეთი ტექნიკა შეიძინოს,
 რომელიც 2015 წელს ციფრულ მაუწყებლობაზე გადას-
 ვლას გაუადვილებს.

ეს ნიშნავს, რომ უკვე დღეს, სულ მცირე, ის მაინც
 უნდა ვიცოდეთ, რა მოდელით აპირებთ ქვეყანა ცი-
 ფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას.

ეს ნიშნავს, რომ ჩემი ნათესავი, 73 წლის დარეჯან
 ადემიშვილი, ვანის მაღალმთიან სოფელში რომ ცხოვრობს
 და ინფორმაციას დღემდე შავ-თეთრი ეკრანიდან იღებს,
 ტელეგადაცემებს ვეღარ უყურებს. მას უკვე დღეს უნდა
 ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ სამი წლის განმავლობაში
 ნაკონინები პენსიით, ქალაქში ჩამოსულმა სწორედ ისე-
 თი ტელევიზორი იყიდოს, რომლითაც 4 წლის შემდეგ
 ციფრული მაუწყებლობის ყურებას შეძლებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ციფრულ ფორმატზე
 გადასვლა განვითარებულმა ქვეყნებმა 5-7 წლის წინ
 დაიწყეს და დღემდე არ დაუსრულებიათ, როგორ ვა-
 პირებთ ჩვენ მომავალ 4 წელიწადში ყველა პრობლემის
 მოგვარებას?

ეკონომიკის სამინისტროსთვის 2011 წელი, ამ მიმარ-
 თულებით, მხოლოდ კონცეფციის შემუშავების წელია.
 იქნება თუ არა სუბსიდიები რეგიონული მაუწყებლების-
 თვის? როგორ დაიყოფა ზონები? იქნება ერთი თუ რამ-
 დენიმე გადამცემი? ექნებათ თუ არა შინაარსის მწარმო-
 ებლებს სიგნალის გადაცემის უფლება? დაეხმარება თუ
 არა ხელისუფლება მოსახლეობას შესაბამისი ციფრული
 მიმღებების შესყიდვაში? ამისთვის ბიუჯეტიდან რა და-
 ნახარჯები იქნება საჭირო? საერთოდ, რამდენად რენ-
 ტაბელური და დროულია ციფრული მაუწყებლობისთვის
 ხარჯების გაღება ინტერნეტ, სატელევიზიური და საკაბელო
 ტელევიზიების პარალელურად? და, რაც მთავარია, რა
 გავლენას მოახდენს ეს „გადასვლა“ მედიაგარემოზე, სი-
 ტყვის თავისუფლებაზე?

ეს მხოლოდ ნაწილია იმ კითხვების, რომლებზეც პა-
 სუხი არ გვაქვს. რომც გვექონდეს, თუ 2014 წლის ბო-
 ლომდე ჩვენი – რეგიონული ტელევიზიების ცხოვრება
 რადიკალურად უნდა შეიცვალოს, ეს პასუხები უკვე
 დაგვიანებულია.

სივრული მაუწყებლობა

ქართული ტელევიზიის "ბასიფიკაცია"

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად დროის ათვლა დაიწყო.

ნანა საჯია

ილუსტრაციის თაობაზე ნანა საჯია / ფოტოსაბუნების



ერთი კვირის წინ 35 წლის ეკამ საკუთარ ოჯახს საახალწლო საჩუქარი გაუკეთა და 1859 ლარად ახალი ტელევიზორი შეიძინა. ტელევიზორს 102 სანტიმეტრიანი დიაგონალის, თხევადკრისტალური ეკრანი აქვს და უკვე ოჯახის მთავარ სიამაყეს წარმოადგენს.

ეკამ მისი საფასური ხელფასიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა იხადოს. თუმცა არც თვითონ და არც ოჯახის დანარჩენმა წევრებმა ჯერ არ იციან, რომ ძვირადღირებული, სუპერთანამედროვე ტელევიზორის შეძენიდან 4 წლის თავზე, ის შეიძლება, მათ სახლში ყველაზე გამოუსადეგარ ნივთად იქცეს.

2015 წლიდან საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავა. ეს კი ნიშნავს, რომ ამერიკელი, გერმანელი თუ შვედი მაყურებლების მსგავსად, 2015 წლიდან ქართველებსაც შეეძლება ტელევიზორის ცქერისას კადრის შეჩერება, დროის უკან გადაწევა და ეთერში გასული მასალის სასურველ დროს ყურება.

თუმცა ამ ციფრული სიკეთებით სარგებლობა შეუძლებელი იქნება თუნდაც იმ სუპერთანამედროვე ტელევიზორებისთვის, რომლებიც დღეს საქართველოში იყიდება. 2015 წლიდან ვერც ერთი ტელევიზორი, ფასის, მწარმოებლის და დიაგნოზის მიუხედავად, ციფრულ სიგნალს ვერ მიიღებს. შესაბამისად, თუ სახლში ციფრული ტელევიზორი ან სპეციალური დეკოდერი არ გაქვთ, რომელიც ციფრულ სიგნალს თქვენი ტელევიზორისთვის გარდაქმნის, 2015 წლის პირველ იანვარს ჩაბნელებული ეკრანის ამარა დარჩებით.

ის, რომ ქართველი მაყურებლის უმრავლესობას არაფერი სმენია ამ გრანდიოზული სიახლის შესახებ, რომელიც თითოეულ მათგანს ეხება, სახელმწიფო უწყებების პასიურობის ბრალია: ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პრობა საქართველომ 2006 წელს დადო, მაგრამ წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულა. შესაბამისად, ინფორმაციის

გარეშე რჩებიან როგორც მაუწყებლები, ასევე – მაყურებლები.

ტელეკომუნიკაციათა საერთაშორისო კავშირმა (ITU) ციფრულ მაუწყებლობაზე გადამსვლელი ქვეყნების სამი ზონა და გრაფიკი რამდენიმე წლის წინ შექმნა. საქართველო პირველ ზონაში მოხვდა, მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან, თურქეთთან და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ერთად. გეგმის მიხედვით, ამ ზონის ქვეყნების ყველა ტელევიზია 2015 წლის პირველ იანვრამდე ციფრულ მაუწყებლობაზე უნდა გადავიდეს.

პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონკრეტული ქვეყნისთვის მაუწყებლობისთვის გამოყოფილი სი-

■ **პირველი, რაც უკვე უნდა მომხდარიყო, საკანონმდებლო ცვლილებებია. თუმცა სახელმწიფოს პოლიტიკა ამ ნუთამდე ბუნდოვანი რჩება.**

ხშირეები დაუცველი აღმოჩნდება – ძველი სიხშირეები მეზობელი ქვეყნების ციფრული სიგნალით გადაიფარება და ქვეყანა მაუწყებლობის გარეშე დარჩება.

ამ და სხვა საფრთხეების გათვალისწინებით, ხელისუფლებას უკვე უნდა ჰქონდეს დეტალურად განერილი გეგმა, თუ როდის რის გაკეთებას აპირებს და უნდა მიმდინარეობდეს საინფორმაციო კამპანია, რათა მოსახლეობამ გაიგოს, თუ რა არის ციფრული მაუწყებლობა.

თუმცა ჩვენთან ციფრულ მაუწყებლობაზე საჯარო დისკუსია ოთხი წლის დაგვიანებით, მხოლოდ 2010 წლის მიწურულს დაიწყო. 29-30 ნო-

ემბერს, ევროკავშირის დახმარებით, ტელე-რადიო მაუწყებლობებისთვის ორდღიანი სემინარი გაიმართა, რომელზეც ევროპელი ექსპერტები ქართველ მონაწილეებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ.

ციფრული ტელესიგნალის გადამცემებისა და საჭირო აღჭურვილობის შეძენა და ამ პროცესში სახელმწიფოს სუბსიდია, ტელემაყურებლების ციფრული ტელევიზორებით აღჭურვა, ანდა მათი დეკოდერებით მომარაგება – კონფერენციაზე ციფრული მაუწყებლობის დაწყებისთვის ეს პრიორიტეტები გამოიკვეთა.

დაზუსტდა ისიც, რომ ციფრული მაუწყებლობისთვის თანაბრად მოსამზადებელი ორივე მხარე – მაუწყებელიცა და მაყურებელიც: ტელევიზიებმა აღჭურვილობის სრული მოდერნიზაცია და გადამცემების შექმნა რომც შეძლონ, მათ მიერ გაგზავნილ ციფრულ სიგნალს მაყურებელი ციფრული ტელევიზორის ან დეკოდერის გარეშე მაინც ვერ მიიღებს.

პირველი, რაც უკვე უნდა მომხდარიყო, საკანონმდებლო ცვლილებებია. თუმცა სახელმწიფოს პოლიტიკა ამ ნუთამდე ბუნდოვანი რჩება. შესაბამის უწყებას ჯერ არ გადაუწყვეტია არც მნიშვნელოვანი საკითხი – თუ ვინ იქნება სიგნალის გამაგრებელი – თვითონ ტელევიზია თუ საგანგებოდ ამ ფუნქციით შექმნილი პროვაიდერი.

„როგორ უნდა მოემზადოს ტელეკომპანია, რომელსაც წარმოადგენა არ აქვს, რას აპირებს ხელისუფლება?“ – სვამს კითხვას რეგიონული მაუწყებლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ნათია კუპრაშვილი, რომელიც რეგიონულ ტელე-რადიო კომპანიებთან ერთად, ბოლო ერთი წელია, ცდილობს, მთავრობის გეგმებში გაერკვეს.

კუპრაშვილი იხსენებს რეგიონული მაუწყებლების შეხვედრას კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, სადაც კომისიის თავმჯდომარე – ირაკლი ჩიქოვანი მაუწყებლებს ურჩევდა, დარჩენილიყვენ მხოლოდ შინაარსის მწარმოებელ სტუდიებად, სიგნალის

საბსიდიზა



ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მაყურებლის მხრიდან ფინანსურ ინვესტიციას მოითხოვს. მაყურებლებისთვის დამატებითი ხარჯების ასაცილებლად რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლებამ ტექნიკის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიები გამოყო.

აშხიზა:

ამერიკული მედია ციფრულ მაუწყებლობაზე მთლიანად 2009 წლის ზაფხულში გადავიდა. სუბსიდიების პროცესს ნაციონალური ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციის ადმინისტრაცია (NTIA) ხელმძღვანელობდა, რომელმაც 1,3 მილიარდი დოლარი დახარჯა. ამერიკის მთავრობამ მოსახლეობას ორმოცდოლარიანი კუპონები დაურიგა კონვერტირების საყიდლად, რითაც ციფრული სიგნალის მიღებას შეძლებდნენ. სუბსიდიების პროგრამა ასევე ითვალისწინებდა ციფრულ მაუწყებლობაზე ინფორმაციის გავრცელებას დაბალი შემოსავლების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების, ემიგრანტი და სოფლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის.

საფინანსო:

საფრანგეთის მთავრობამ აქტიური საინფორმაციო კამპანია 2005 წელს დაიწყო, კამპანიის სამიზნე მოსახლეობის ის 22% იყო, რომელიც ციფრულ მედიაზე გადასვლის შესახებ იმ დროისთვის საკმარის ინფორმაციას არ ფლობდა.

საინფორმაციო კამპანიისთვის მთავრობამ 20 მილიონი ევრო გამოყო. სახელმწიფომ მთლიანობაში 355 მილიონი ევრო დახარჯა. ამ თანხით დაფინანსდა: დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის აპარატურის შეძენა, მიმღებების უფასო დამონტაჟება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსახლეობისთვის და ხანდაზმულებისთვის.

იტალია:

იტალიის მთავრობამ მოსახლეობას, შემოსავლების და ფიზიკური შესაძლებლობების მიუხედავად, მთლიანად დაუფინანსა მიმღებების შეძენა. სამთავრობო სუბსიდიებით ასევე იხიერეს მაუწყებლებმაც, რომლებმაც მთავრობისგან გრანტები, უპროცენტო სესხები და შემცირებული გადასახადები მიიღეს.

ენი ბიზნესი:

2010 წლის აპრილის მონაცემებით, ბრიტანული მედიის 25% უკვე გადასული იყო ციფრულ ფორმატზე. პროცესი მთლიანად 2012 წელს უნდა დასრულდეს. გაციფრულების პროცესის კოორდინატორი ორგანიზაცია „ციფრული ბრიტანეთი“, რომელსაც BBC ფლობს. ორგანიზაციის ბიუჯეტი 201 მილიონი ფუნტია, რომლის დიდი ნაწილი საინფორმაციო კამპანიაში იხარჯება – მოსახლეობის დარწმუნებაში, რომ ანალოგური ტელევიზორები ციფრულით, რაც შეიძლება მალე შეცვალონ.

გავრცელებისთვის კი ცალკე პროვაიდერის შექმნის ვარიანტს განიხილავდა: „რად გინდათ გადამცემებზე ფიქრი, ეს ხომ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ცალკე თავის ტკივილია, ამიტომ იქნებ ჯობდეს, იყოთ კონტენტის მწარმოებლები და სხვა იყოს პროვაიდერი!“

ამ შეხვედრის შემდეგ მთავრობის გეგმაში კონკრეტულად არაფერი გამოკვეთილა, მაგრამ წინადადება ერთი პროვაიდერი უწყების შექმნის შესახებ რეგიონულ მაუწყებლებს ძალიან აშინებთ, რადგან მათი წარმომადგენლების თქმით, შესაძლოა, პროვაიდერმა მათი გადაცემების ტრანსლაციაზე უარი თქვას.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკების საფრთხეს ხედავს ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილიც: „ვხედავ საშიშროებას, რომ ციფრულ მედიაზე გადასვლა ჩვენთვის დიდი პრობლემების სათავე გახდება, რადგან ხელისუფლება უკვე ამკარად გამოთქვამს სურვილს, სინშირები გარკვეული ჯგუფების ხელში მოექცეს. ეს არ უნდა დავეშვათ, რათა არსებულ მაუწყებლებს შეუნარჩუნდეთ სინშირები და ამით ამ სფეროს ლიბერალიზაციაც მოხდეს“.

ბორის ბერგანტი – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მედიაორგანიზაციის პრეზიდენტი – ამბობს, რომ თავისუფალი ბაზარი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა: „დღეს საქართველოსთვის მთავარი პრობლემა არის, თუ ვინ გაავრცელებს სიგნალს. სხვა პრობლემებს რაც შეეხება, გამოცდილება უჩვენებს, რომ მთავარი პრობლემა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის უქონლობა, სტრატეგიის არქონა, ინფრასტრუქტურა და ტექნიკის ფასია. ეს რთული პროცესია, ამიტომაც პროცესი წინასწარ უნდა დაიგეგმოს“.

ციფრული მაუწყებლობის პირობებში რეალურად ჩნდება უფრო მეტი სამაუწყებლო სინშირე, რაც ახლა შეზღუდულ და ამონურგად რესურსად

ითვლება. ასევე, ერთ ციფრულ სინშირეზე შესაძლებელი ხდება, რამდენიმე არხმა ერთდროულად იმაუწყებლოს. იმის დასაგეგმად, თუ რომელ რეგიონში რომელ არხზე უნდა იმაუწყებლონ, ტელევიზიებს კომისიამ უნდა გამოუყოს კონკრეტული სინშირები.

„ლიცენზიების პირობები ჩამოყალიბდება შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნის საფუძველზე. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიას, სტანდარტებს და ლიცენზიის გაცემის წესებს“, – აცხადებენ მარეგულირებელ კომისიაში, თუმცა ჯერ მსგავსი სტრატეგია მზად არ აქვთ.

„მარეგულირებელმა კომისიამ სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები სინშირების გამოყოფაზე, რომ ამ ქსელის მშენებლობა დაიწყოს. სხვანაირად ჩვენ ვერ მოვასწრებთ მომზადებას, ძალიან ცოტა დროა დარჩენილი“, – ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში მეორე მნიშვნელოვანი თემა ტელემაუწყებლების ტექნიკის მოდერნიზაციაა. თუმცა შიდა ტელეტექნიკის მოდერნიზაცია ამ პროცესის უფრო მარტივი ნაწილია, რადგან საქართველოს თითქმის ყველა ნაციონალურ მაუწყებელს დღეს უკვე შეუძლია ციფრული პროდუქტის წარმოება.

„ჩემთვის შიდა მეურნეობის გადაყვანა ციფრულ ხარისხზე არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ჩვენ უკვე ორი წელია აპარატურის ინტეგრირება დავიწყეთ და აღარ ვყიდულობთ აპარატურას, რომლის ციფრულზე გადაყვანაც არ შეიძლება“, – ამბობს „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი.

შიდა ტექნიკის ციფრული მაუწყებლობისთვის მომზადებას უმნიშვნელო პრობლემად მიიჩნევს ტელეკომპანია „იმედის“ ტექნიკური დირექტორი დავით მენაბდეც. ამის მიუხედავად, „იმედს“ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად სამზადისი ჯერ არ

დაუწყია: „ჯერჯერობით, სათანადოდ ვერ ვემზადებით, რადგან გაურკვეველია სახელმწიფოს პოზიცია. არ ვიცით, ტელეკომპანიები დამოუკიდებლად შექმნიან ქსელებს, შეიქმნება კორპორატიული ქსელები რამდენიმე ტელევიზიისგან, შემოვა ინვესტორი, თუ სახელმწიფო დააფინანსებს ამ ქსელს“, – ამბობს მენაბდე. მისი თქმით, დამოუკიდებლად გადამცემის შექმნა ყველა კომპანიას გაუჭირდება, ბაზრის სიმცირიდან გამომდინარე კი, ერთზე მეტი ინვესტორის შემოსვლის პერსპექტივას ვერ ხედავს.

ნაციონალური მაუწყებლებისთვის გაციფრულების პროცესში მთავარ თემად გადამცემის პრობლემა რჩება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო სულ 10 სამაუწყებლო ზონად დაიყო, 10 გადამცემის დამონტაჟებაა საჭირო.

პროექტის მაღალი ფასიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყე-

სიფიჯი მაუწყებლობაზე ბაზისური მოდელები



FREEVIEW BUSINESS MODEL

ამ მოდელის მიხედვით, რამდენიმე ტელევიზია ერთიანდება და საერთო გადამცემს აშენებს. მოდელი პირველად 2002 წელს ბრიტანეთში გამოიყენეს, როცა კონსორციუმი სამმა სამაუწყებლო კომპანიამ – BBC, BSkyB და Crown Castle International-მა შექმნა. კონსორციუმმა ციფრული მაუწყებლობის ლიცენზიები მოიპოვა. მოდელს მოგვიანებით კიდევ ორი ტელევიზია შეუერთდა.

კონსორციუმის მიზანი იყო, თავიდან აეცილებინათ ყველა ტელევიზიისთვის ცალკე გადამცემის აშე-

ბლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე ვარაუდობს, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ტელევიზიას დაახლოებით 5-7 მილიონი ლარი დაუჯდება.

ლევან გახელაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის რეგიონულ ტელევიზიებთან შესაძლო თანამშრომლობაზეც საუბრობს: „მაგალითად, ლოკალური ანტიდან გორში შესაძლებელია, ერთი გადამცემით ვრცელდებოდეს როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსი – მაგალითად, პირველი არხი, მეორე არხი, ასევე იქ ჩავსვით გორის ტელევიზია „თრიალეთიც“, – ამბობს გახელაძე.

ამ შემთხვევაში, გადამცემებზე პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი მაუწყებელი აიღებს და რეგიონულ ტელევიზიებს სინშირებს უფასოდ შესთავაზებს: „საზოგადოებრივ მაუწყებელს არა აქვს პირდაპირი საკანონმდებლო ვალდებულება, რომ რე-

ნების აუცილებლობა. ეს მოდელი კონკურენტ არხებს გადამცემი ინფრასტრუქტურის გაზიარების და შესაბამისად, თანხების დაზოგვის საშუალებას აძლევს. Freeview მოდელი ბრიტანეთის შემდეგ საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაშიც გამოიყენეს.

საზოგადოებრივი - კერძო არხები

ავსტრალია ციფრულ მაუწყებლობაზე 2013 წელს გადადის, აქტიური სამზადისი ქვეყანამ 2009 წელს დაიწყო, რისთვისაც მთავრობამ საჭირო თანხები სამი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა. ციფრული მაუწყებლობისთვის მთავრობამ სულ 140 მილიონი გამოყო.

ბიუჯეტის ფარგლებში ავსტრალიის მთავრობა დააფინანსებს საზოგადოებრივ მაუწყებელს – ABC-ს და ასევე ბავშვებისთვის განკუთვნილ ცალკე არხს. დანარჩენი კერძო არხები კი ქსელში გაერთიანდებიან და ასე გადასცემენ ციფრულ სიგნალს.



ანალოგური ტელევიზია

- 1. სიხშირეების შეზღუდული რაოდენობა
2. შედარებით დაბალი ხარისხის გამოსახულება და ხმა

ციფრული ტელევიზია

- 1. ერთ სიხშირეზე რამდენიმე არხი
2. მაღალი ხარისხის გამოსახულება
3. მკვეთრი ხმოვანი სიგნალი
4. კადრის უკან გადახვევის და ნებისმიერ დროს ნახვის შესაძლებლობა

ბაქოში ტელევიზია

ციფრულ მაუწყებლობაზე მასობრივი გადასვლა 2015 წელსა დაგეგმილი, თუმცა ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო გაერთიანებამ (ITU) აფრიკის და შუა აღმოსავლეთის 34 ქვეყანას დედლიანი სუთი წლით, 2020 წლამდე, გადაუწია.

მიზეზად გაერთიანებამ ამ ქვეყნებში მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა, ტექნიკური ბაზის სიმცირე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად საჭირო ინფრამრეწვის უქონლობა და მოსახლეობის მხრიდან ინვესტიციისთვის არასაკმარისი რესურსები დაასახელა.

მოუშვადებული ქვეყნების სიაში ისეთი ქვეყნები შედის, როგორცაა ეგვიპტე, ტუნისი, მოროკო, ნიგერია. ITU-ს გადანაწილებით, ამ ქვეყნების წარმომადგენლებს სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდებათ, რაც მათ 2020 წლისთვის უკეთ მოამზადებს.

გიონული ტელევიზიების განვითარებას ხელი შეუწყოს, მაგრამ არსებობს მორალური ვალდებულებები“, – განმარტავს გახელაძე.

გახელაძის თქმით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ პროექტის ფულს ბიუჯეტში ეტაპობრივად ჩადებს და სახელმწიფოსგან დამატებით სუბსიდიას არ მოითხოვს: „მარტივად რომ ვთქვათ, შევიძენთ პროდუქციას განვადებით, ჩვენ ასევე ვიმუშავებთ საგრანტო მიმართულებითაც“.

თუმცა თუ საზოგადოებრივ მაუწყებელთა თანამშრომლობა არ შედგა, რეგიონული მაუწყებლებისთვის სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა თითქმის შეუძლებელი იქნება. ღარიბი ტექნიკური ბაზა – ეს ის პრობლემაა, რაც გადამცემის საკითხის მოგვარების მიუხედავად, ამ ტელევიზიების გაციფრულების პროცესს მაინც შეაფერხებს.

გამოდის, რომ სახელმწიფომ ციფრული მაუწყებლობის მთელ საქართველოში გავრცელებისთვის სუბსიდირების რამდენიმე პაკეტზე უნდა იზრუნოს და განსაკუთრებული ყურადღება რეგიონულ მაუწყებლებს დაუთმოს.

ციფრულ ტელევიზიაზე გადასვლა ფინანსურ პასუხისმგებლობას არა მარტო ტელევიზიებს, არამედ მათგან ბლებსაც აკისრებს. ზოგიერთ ქვეყანაში ციფრულ მედიაზე გადასვლის პროცესი საბაჟო კანონმდებლობის ცვლილებით დაიწყო, რომელიც ციფრული ტელევიზორების შემომტან კომპანიებს საგადასახადო შეღავათებს უწესებდა. ჩვენთან ჯერ მსგავსი გეგმა არ არსებობს. ეს მაშინ, როცა მათ რეგულაციებს ან ციფრული ტელევიზორის ყიდვა მოუწევთ, რომლის საწყისი ფასი ევროპაში 300 ევროდან იწყება, ანდა სპეციალური დეკოდერების შექმნა, რომლებიც 20-30 ევროდ იყიდება.

იქიდან გამომდინარე, რომ ჯერჯერობით არ არსებობს კონკრეტული გეგმა, არც ის არის ცნობილი, გამოყოფს თუ არა სახელმწიფო სუბსიდიებს ტელემაყურებლების დასახმარებლად.

ამერიკაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას – 2009 წლის ზაფხულში, მთავრობამ მოსახლეობისთვის 40-დოლარიანი კუპონები დაარიგა, რითაც ამერიკელებმა კონვერტერები იყიდეს, ციფრული ტელევიზორების მისაღებად.

მოსახლეობის სუბსიდირების განსხვავებულ ფორმას მიმართა შვედეთის მთავრობამ. შვედეთში, ტელევიზორის საყიდლად მაღაზიაში შესულ მოქალაქეს ერთმანეთის გვერდი-გვერდ თუ ერთი და იგივე ზომის ანალოგური და ციფრული ტელევიზორი განსხვავებულ ფასებად ხვდებოდა, ციფრული ტელევიზორის მყიდველს, ფასის სხვაობას სახელმწიფო უნაზღაურებდა. ასე ნაახალისა შვედეთის მთავრობამ ციფრული ტელევიზორების მყიდველები.

ნახალისების მსგავსი სქემა საქართველოში რეგიონების მოსახლეობისთვის კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. სამტრედიის ტელევიზია „ზარის“ დირექტორი გია თევზაძე ტელევიზიების ფინანსურ პრობლემებთან ერთად რეგიონების მოსახლეობის უსახსრობაზეც საუბრობს: „როგორ დავავალდებულო ადამიანი რეგიონში, როცა ჩვენი რაიონის ოც პროცენტს ჯერ კიდევ შავ-თეთრი ტელევიზორი აქვს სახლში? როგორ ვაყიდინო ასეთ ადამიანს ციფრული ტელევიზორი?“

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე დროის ათვლა დაიწყო. 2010 წლის ბოლოს კი, არ არსებობს სახელმწიფო სტრატეგია, ჯერ ისე გაურკვეველია, როგორ გადანაწილდება სიხშირული პარამეტრები, ვინ იქნება შინაარსის შემქმნელი და ვინ – სიგნალის გამავრცელებელი, უცვლელია საკანონმდებლო ბაზაც და რაც ყველაზე მთავარია, ტელევიზორის რიგითმა მფლობელებმა ჯერ არც იციან, რომ 2015 წელს შესაძლოა, სახლში ჩაბნელებული ტელევიზორის ეკრანი შერჩეთ: „თუ დროზე არ იქნა გადაწყვეტილებები მიღებული, 2015 წლის პირველი იანვარს დიდი შანსია იმისა, რომ საქართველო ტელევიზიის გარეშე დარჩეს,“ – ამბობს ლევან გახელაძე.

მზადება 2015-თვის

ინტერვიუ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარესთან, ლევან გახელაძესთან



ფოტო: ლევან გახელაძე

როგორ ემზადება საზოგადოებრივი მაუწყებელი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად?

ჩვენ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, რომ დამოუკიდებელი პროექტი გვაკეთოთ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსებიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია, რომელიმე კომერციულ ბანკში ავიღოთ ვალი აპარატურის შესაძენად. საკუთარი, არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან, რაშიც გაქირავება და შეზღუდული რეკლამა შედის, საზოგადოებრივ მაუწყებელს მინიმალური თანხა შემოსდის. წელიწადში მილიონ – მილიონახევარი ლარით ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას ვერ დაგეგმავ. ამიტომ, ტექნიკის მწარმოებლებთან ჩვენ უნდა დავდეთ ისეთი ტიპის კონტრაქტები, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ მრავალწლიანი შესყიდვით შევიძინოთ აპარატურა.

დაახლოებით თუ არის დაანგარიშებული, რა თანხა დასჭირდება საზოგადოებრივ მაუწყებელს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად?

მარტო გადამცემების პარკის შექმნა, ჩვენი ვარაუდით, შეიძლება 5-7 მილიონ

ნი დოლარი დაჯდეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა ტექნიკის მოდერნიზაციას კი დაახლოებით 10 მილიონი დოლარი დაჭირდება.

რამდენი გადამცემი დაჭირდება საზოგადოებრივ მაუწყებელს?

დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელი მოსახლეობის 70-75 პროცენტს მოიცავს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემთხვევაში ჩვენი მიზანი იქნება, ეს მონაცემი 90 პროცენტამდე გაიზარდოს, რისთვისაც ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა დამონტაჟედს. მთელი მოსახლეობის მოცვას ორჯერ მეტი თანხა და, მთავარი რელიეფიდან გამომდინარე, დამატებითი ანტიპეის მშენებლობაც დაჭირდება.

დამოუკიდებლად აპირებთ ამ გადამცემების შექმნას თუ სხვა ტელევიზიებთან ერთად?

ჩვენ ყველა ტელევიზიას შევხვდით, შევთავაზეთ საერთო ყულაბის შექმნა და გადამცემის ერთად ყიდვა, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე რეალურად არავინ ფიქრობს. ისინიც დაბნეულები არიან, რაღაცას ელოდებიან.

ჩვენ შეგვიძლია ამ პრობლემის დამოუკიდებლად მოგვარება, მაგრამ თუ ვინმე შემოგვიერთდება კონტრიბუციით, გავიხარდება. თუ დამოუკიდებლად შევისყიდით ამ აპარატურას, ჩვენ რეგიონულ ტელევიზიებთან ერთად შევექმნით ქსელს, რომლისგანაც მოხდება როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ტრანსლაცია, ასევე ლოკალური არხების გავრცელებაც.

ერთხელ იყო შეხვედრა მარეგულირებელ კომისიაში და ბატონმა ჩიქოვანმა წარმოადგინა იდეა ერთი ინვესტორის შესახებ, რომელიც მოანესრიგებს გადამცემების სისტემას და გაავრცელებს ყველა ქართული არხის სიგნალს. არც ეს არ არის პრობლემა, ოღონდ ამაზეც ჩვენ გვინდა პასუხი დროულად ვიცოდეთ. ვთქვათ, ეს იდეა ვერ განხორციელდა და ჩავარდა, მერე რა ვქნათ?

არსებობს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად საჭირო ღონისძიებების გრაფიკი?

მომავალი წლის დასაწყისში ჩვენ ვგეგმავთ პირველი გადამცემი შევიძინოთ, დავაყენოთ თბილისის ანძაზე და დავიწყოთ ტესტირება. მომალ წელსვე გვინდა, მოვამზადოთ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გრაფიკი. ერთი წელი დასჭირდება მხოლოდ დაპროექტებას, რათა ვნახოთ რომელი ანძიდან, რა სიმძლავრის გადამცემი იქნება ყველაზე ოპტიმალური. ეს არის ძალიან სერიოზული საინჟინრო ამოცანა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ამ საკითხის სრული სიმწვავე ჯერ არ არის გააზრებული. მარეგულირებელმა კომისიამ დღემდე ვერ მოგვცა პარამეტრები, რომლის მიხედვით ჩვენ ტექნიკა უნდა შევუკვეთოთ. სასწრაფოდ უნდა გავკეთდეს გეგმა იმისა, თუ ვინ როდის გადადის 2015 წლამდე.

ესაუბრა ნანა საჯავაი.



ფოტო: სპოტს ანალიტიკა / REUTERS

უმალესი სასამართლოს კიბეებზე შემომდგარი ჯულიან ასანჟი ესაუბრება მედიას, ლონდონი, 16 დეკემბერი 2010

WIKILEAKS პირობითი თავისუფლება

ჟურნალ Time-ის წლის ადამიანად აღიარებამდე მას სულ ცოტა დააკლდა. თუმცა ბოლო დროს ჯულიან ასანჟის საქმიანობის მიმართ გამოჩენილი ყურადღების გათვალისწინებით, „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი ამ სტატუსისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

დიანა ჩაჩუა

„რა ბედნიერებაა ლონდონის გრილი ჰაერის კიდევ ერთხელ ჩასუნთქვა,“ – 16 დეკემბერს გიროს სანაცვლოდ გათავისუფლებულმა „ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა ჯულიან ასანჟმა, 10

დღიანი პაუზის შემდეგ, პირველად მიმართა საზოგადოებას.

„მე კვლავაც გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას და ჩემი უდანაშაულობის დამტკიცებას შევეცდები. მე შევეცდები

მოვიპოვო სამხილები, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობას დაამტკიცებს“.

ქალბატონ A-სთან დაუცველი სექსუალური ურთიერთობის და მძინარე

ქალბატონ W-სთან კავშირის დამყარების ბრალდებით დაკავებული ასანჟის ინტერესებს მედია სამართალსა და ადამიანის უფლებებში განაფული ორი ცნობილი ადვოკატი – მარკ სტივენსი და ჯეფრი რობერტსონი იცავს.

სასამართლოს წინ შეკრებილი საზოგადოებისადმი მიმართვის შემდეგ ჯულიან ასანჟი „ფრონტლაინ კლუბის“ დამფუძნებლის – ვონ სმიტის – ქალაქგარეთ მდებარე სახლისკენ გაემართა. ბრიტანეთში საცხოვრებელი მისამართის წარმოდგენა ავსტრალიელი ასანჟისთვის გიროს სანაცვლოდ გათავისუფლების ერთ-ერთი წინაპირობა იყო. დაცვის მხარეს გიროს სანაცვლოდ

■ ვესტმინსტერის სამაგისტრო სასამართლომ ასანჟს განაჩენი ჯერ კიდევ 14 დეკემბერს გამოუტანა:

„თავისუფლება 240 ათასი ფუნტის ოდენობის გიროს სანაცვლოდ.“

საკმაოდ რთულ პირობებზე მოუწია დათანხმება: ჯულიან ასანჟი ვალდებულია, ყოველდღე 22:00-დან 02:00 საათამდე და 10:00-დან 16:00 საათამდე სახლში იმყოფებოდეს, ელექტრონულ ჩიპიანი სამაგისტრო ატაროს და ყოველ საღამოს პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში გამოცხადდეს. ასანჟის პასპორტი სასამართლომ დაიტოვა. საქმის განხილვა იანვარში გაგრძელდება. ვესტმინსტერის სამაგისტრო სასამართლომ ასანჟს განაჩენი ჯერ კიდევ 14 დეკემბერს გამოუტანა: „თავისუფლება 240 ათასი ფუნტის ოდენობის გიროს სანაცვლოდ“.

თუმცა მოსამართლის დასკვნას, ზუსტად 15 წუთში, გასაჩივრების მოთხოვნით შევდეთის მხარე გამოეხმაურა. მათ აპელაციისთვის 48-საათიანი ვადა მისცეს, რამაც ასანჟის გათავისუფლება ორი დღით გადაავადა.

მეორე დღეს გაირკვა, რომ საჩივრის ავტორი არა შევდეთის მხარე, არამედ თავად ბრიტანეთის პროკურატურა იყო. ასანჟის გაკვირვებული ადვოკატების განცხადებით, სასამართლოს წარმომადგენლებმა მათ პირადად მოახსენეს, რომ მათი კლიენტის ციხეში დატოვებით შევდეთის მხარე იყო დაინტერესებული.

„ასანჟის გიროს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე აპელაციის შეტანა მთლიანად ბრიტანეთის პროკურატურის გადაწყვეტილებაა. შევდეთის ხელისუფლებას მასთან საერთო არაფერი აქვს“, – განაცხადა შევდეთის პროკურატურის პრესმდივანმა კარინ როსანდერმა.

ბრიტანელი პროკურორები ამბობენ, რომ გიროს გაპროტესტების მიზეზი ის არის, რომ დიდია რისკი, გათავისუფლებული ჯულიან ასანჟი მართლმსაჯულებას დაემალოს. თუმცა მოსამარ-

თლემ მათ შეახსენა, რომ ბრალდებულ პოლიციას საკუთარი ნებით ჩაბარდა.

„ეს არ ჰგავს იმ ადამიანის საქციელს, რომელსაც მართლმსაჯულებისგან თავის არიდება სურს“, – მიმართა მოსამართლემ პროკურორებს.

ბრიტანეთის ვესტმინსტერის სასამართლო, ბოლო კვირის განმავლობაში, მსოფლიო მედიის ცენტრად იქცა. საქმის განხილვის დღეებში ჟურნალისტები აქ ადგილს დილის 6 საათიდან იკავებდნენ.

„სასამართლოში თავმოყრილი ამდენი ჟურნალისტი სადამ ჰუსეინის გასამართლების შემდეგ არ მინახავს,“ – წერდა დარბაზიდან ABC-ს ჟურნალისტი ჯიმ შუტო.

დამსწრეთა რეკორდული რაოდენობის გამო მოსამართლე ჰოვარდ რი-

ბან ჯი მუნი ხუშიობს

„ვიკილიქსის“ მიერ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მამხილებელი დოკუმენტის გამოქვეყნებას, სადაც ის დიპლომატებს გაეროს წევრებზე ჯამუშობას ავალბედა, თავად გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი გასულ კვირამდე პირადად არ გამოხმაურებია.

15 დეკემბერს გაეროს კორესპონდენტების ასოციაციის ყოველწლიურ ვახშამზე, რომელსაც ამერიკელი დიპლომატი სიუზან რაისიცი ესწრებოდა, გენერალური მდივანი საზოგადოებას ორიგინალურად მიესალმა: შესავალი სიტყვის პარალელურად ეკრანზე საკრედიტო ბარათის ნომერი, ფეხსაცმლის და საქორწინო ბეჭდის ზომები გამოჩნდა. ეს სწორედ ის დეტალებია, რის შეგროვებასაც ჰილარი კლინტონი თავის დიპლომატებს სთხოვდა.

დღომ გამოწვევის დაუშვა: დამსწრეებს ფეხზე დგომის უფლება მისცა.

ასანუის საქმის განხილვის პირველი პროცესი კიდევ ერთი ფაქტორის გამოა მნიშვნელოვანი – სასამართლოს არსებობის ისტორიაში, მოსამართლემ ჟურნალისტებს მობილურებიდან „ტვიტერზე“ ინფორმაციის გავრცელების უფლება დართო, მხოლოდ იმ შემთხვევაში „თუ ეს მშვიდად მოხდება და ხელს არ შეუშლის სასამართლო პროცესს.“ განაჩენის შესახებ პირველი ინფორმაცია სწორედ „ტვიტერის“ საშუალებით გავრცელდა. ბრიტანეთის სასამართლოებში ნებისმიერი სახის ჩამწერი ან გამცემი მონაწილეობების გამოყენება აკრძალულია.

მედიასთან ერთად სასამართლო პროცესებს ასანუის მხარდამჭერთა მთელი არმია ადევნებდა თვალს – შენობის გარეთ „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის გათავისუფლების მოთხოვნის აქციები იმართებოდა, დარბაზში კი ავსტრალიელ ექვმიტიანის თანადგომას ბრიტანეთის მაღალი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, რეჟისორები, მწერლები და ვეტერანი ჟურნალისტები უცხადებდნენ. ცნობილი ქალბატონები ჯემიმა ხანი და ბიანკა ჯაგერი, ბენაზირ ბჰუტოს ქალიშვილი ფატიმა ბჰუტო და რეჟისორი მაიკლ მური – თითოეული მათგანი მზად იყო, ასანუის გასათავისუფლებლად 20 ათასი ფუნტი გადაეხადა. ასანუმა იცის, რომ ყველაზე დიდი საფრთხეს ახლა ამერიკისგან უნდა ელოდეს. Channel 4-თან საუბარში ასანუმა საკუთარ თავს შეთქმულების მსხვერპლი უწოდებდა, რომელსაც აშშ შედეგის დაზვერვის სამსახურის დახმარებით ახორციელებს.

„ჩემს ამერიკაში ექსტრადაციაზე და შპონაჟის მუხლით გასამართლებაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ისინი ვარაუდობენ, რომ ჩემი აშშ-ში ექსტრადაცია შედეგითი ყოფნის შემთხვევაში უფრო იოლად მოხდება,“ – განაცხადა ასანუმა.

„ვიკილიქსის“ მიერ დიპლომატიური არხების გამოქვეყნების პირველივე საათიდან იუსტიციის დეპარტამენტი ჯულიან ასანუისთვის ბრალის წასაყენებლად აქტიურად მუშაობს. New York Times წერს, რომ აშშ-ში „ვიკილიქსის“ დამფუძნებელსა და შპონაჟის მუხლით დაკავებულ რიგით ბრედლი მენინგს შორის თანამშრომლობის დამამტკიცებელ სამხილებს ეძებენ. ოფიციალური ვაშინგტონი ცდილობს დაადგინოს, რომ ასანუი მენინგს ინფორმაციების მოპარვაში ეხმარებოდა და მას აქეზებდა. ასეთი თანამშრომლობის დამამტკიცების შემთხვევაში, შეერთებული შტატები ავსტრალიელს „გაყოფის შეთქმულების მონაწილედ გამოაცხადებს“.

თუ ეს ასე მოხდა, ნებისმიერი ახალი

**HUMAN RIGHTS WATCH
ჯეიან ასანუის დახმარების
წინააღმდეგ**

Human Rights Watch-ი აშშ-ის პრეზიდენტის და იუსტიციის მინისტრისთვის გაგზავნილ წერილში მთავრობას ჯულიან ასანუის დევნიდან თავის შეკავებას ურჩევს. ორგანიზაციის შეფასებით, „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნების მოტივით დაკავება მედიის თავისუფლებას საფრთხეში ჩააგდებს.

Human Rights Watch-ი ამერიკის მთავრობას ასევე მოუწოდებს, უარი თქვას ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ისეთ ინტერპრეტაციებზე, რაც აშშ-ის კონსტიტუციით და საერთაშორისო კანონებით უზრუნველყოფილ გამოხატვის თავისუფლებას ეწინააღმდეგება.

– „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის დაპატიმრება ძალიან ცუდ პრეცედენტს შექმნის, რომელსაც მრავალი ქვეყნის ხელისუფალი მედიის ჩასახშობად გამოიყენებს,“ – აცხადებს **Human Rights Watch-ის** გენერალური მდივანი დინა პოკემპერი.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია ასანუის „ტერორისტად“ მოხსენიების წინააღმდეგია. **Human Rights Watch-მა** ის კომპანიებიც გააკრიტიკა, რომელთაც „ვიკილიქსს“ საკუთარი მომსახურებებით სარგებლობა აუკრძალეს.


ამბების სააგენტო და გამომძიებელი ჟურნალისტი, რომელიც სახელმწიფოს საიდუმლო დოკუმენტებს აქვეყნებს, მსგავსი პასუხისმგებლობის ქვეშ ავტომატურად დადგება. ჟურნალისტები შიშობენ, რომ შეთქმულების თეორიის ამოქმედებით მათ, როგორც პოტენციურ „დამნაშავეებს“, საფრთხე ელით. ამერიკული მხარის თავდასხმებისთვის ემზადება „ვიკილიქსი“. ორგანიზაცია ცდილობს, გააქარვოს მოსაზრებები, თითქოს ხალხს საიდუმლო დოკუმენტების გაგზავნიდან აქტიურად მოუწოდებს. ვებსაიტის პირველ გვერდზე ასეთი წარწერა გაჩნდა: „ვიკილიქსი“ სხვადასხვა სახის დოკუმენტებს იღებს, თუმცა ჩვენ ამას დაჟინებით არ ვითხოვთ“.

ფრაზის „კონფიდენციალური მასალების“ „ვიკილიქსისთვის“ მიწოდება უსაფრთხოა, იოლია და დაცულია კანონით“ ნაცვლად, ახლა საიტზე პოტენციურ პარტნიორებს ასე მიმართავენ: „ჩვენი ჟურნალისტებისთვის დოკუმენტების გამოგზავნა ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფოებში კანონით არის დაცული“.

„ვიკილიქსის“ ყველაზე დიდი სახეცვლილება იმ ფრაზებში იგრძნობა, სადაც ის თავის უპირველეს საქმიანობად არა უბრალოდ დოკუმენტების მექანიკურ გამოქვეყნებას, არამედ მათ გაფილტვრასა და ანალიზს მიიჩნევს.

„ჩვენი ჟურნალისტები მასალებზე დაყრდნობით ამბებს ქმნიან. შემდეგ მათი უტყუარობის დასამტკიცებლად თან დოკუმენტებს ურთავენ,“ – ნათქვამია „ვიკილიქსის“ ვებსაიტზე.

ეს „ვიკილიქსს“ იმისთვის სჭირდება, რომ როგორც მედია, ამერიკის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ლიბერალური ნორმებით ისარგებლოს.

ჯულიან ასანუს ამ ტრანსფორმაციის არსი და მიზანი ყველაზე კარგად ესმის. ვონ სმიტის მამულში, სადაც მის განკარგულებაში 10 საძინებელი ოთახი, დარბაზები, მოსამსახურე, გარშემორტყმული ბალები და, რაც მთავარია, ინტერნეტი და ტელეფონია, ასანუმა აშშ-ს შეტევებისგან „ვიკილიქსის“ დაცვის ეფექტური გზები უნდა ეძიოს. 

არაულოზა რუსეთში

ქაოსი მოსკოვის ქრებში

როგორ იქცა ქუჩის გარჩევა ანტიკავკასიურ ომად.

ქეთი ქანთარია



ფოტო: მხარა, ვიკილიქსი / REUTERS

პოლიციელების შეტაკება დემონსტრანტებთან, მოსკოვი, 11 დეკემბერი 2010

ათიოდე წლის წინ პრეზიდენტ ელცინის დროინდელ, თითქოს იმედის მომცემ რუსეთში, რომელიც დღეს თავად რუსებსაც აღარ ახსოვთ, დაუდგენელი ჟანრის პერფორმერი და მხატვარი, ირონიული ვლად მამიშევ-მონრო სოციალურ თემაზე არტებს ამზადებდა და ცნობილ ადამიანებს აშარჟებდა. ე.წ. „ოქროს ახალგაზრდობის“ კარნავალზე იგი ჩეჩენი ქვრივი ქალის სამოსით წარდგა.

ამ კარნავალიდან ზუსტად ორიოდე თვეში, როცა ტერორისტები „ნორდ-ოსტში“ შეიჭრნენ, ინტერნეტში ჩეჩენი თვითმკვლეელი ტერორისტი ქალის სტერეოტიპული ფოტო გაჩნდა – ეს ქალი მამიშევის წარმოსახვაში ნაშობი პერსონაჟის ზუსტი ასლი იყო. „ყველაფერი ემთხვეოდა, იარაღზე ჩაბლაუჭებული ხელი და ჩემი ოქროსფერბურთულებიანი ქამარიც კი – რომელიც ხელისუფლების ვერსიაში შაჰიდის ქა-

მრად იქცა. ჩემი პერფორმანსი ზუსტად იყო გამეორებული. ხელისუფლებამ თავისი მიზნებისთვის უკვე მზა მასალა გამოიყენა,“ – წერს მამიშევი თავის ბლოგზე.

„კავკასიურ-სლავური“ დაპირისპირება, რომელმაც გასულ კვირას რუსეთში პიკს მიაღწია, ხელისუფლების მიერ გამოგონილი „არტი“ სულაც არ არის. ანტიკავკასიური განწყობა ის „მზა პროდუქტია“, რომელიც რუსულ

საზოგადოებაში არსებობს და ნებისმიერ დროს შეიძლება, იფეთქოს.

როგორც ჩანს, გასულ კვირას სწორედ ეს დრო დადგა.

6 დეკემბერს მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში ახალგაზრდების ორ ჯგუფს შორის შელაპარაკება მოხდა. ერთ მხარეს ეთნიკური რუსები იყვნენ, მეორე მხარეს – კავკასიელები. ჩხუბის დროს ყაბარდოელებმა ასლან ჩერკესოვმა საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის“ გულშემამტკივარი, ეგორ სვირიდოვი ტრავმატული პისტოლეტით მოკლა. სვირიდოვის მეგობრები, რომლებიც შემთხვევის ადგილას მასთან ერთად იყვნენ, ამბობენ, რომ კავკასიელებს მათი ხმამაღალი სიცილი არ მოეწონათ, „რადგან ჩათვალეს, რომ მათ დაეცინოდით“. არსებობს ვერსია, რომ ახალგაზრდებმა ტაქსივერ გაიყვეს.

უკვე მეორე დღეს რუსეთის ბევრ ქალაქში მემარჯვენე-ნაციონალისტურმა დაჯგუფებებმა და მათმა მხარდამჭერებმა საპროტესტო აქციები მოაწყვეს. მთავარი ლოზუნგი, რომელიც ამ აქციებზე ისმოდა, ასეთი იყო: „რუსეთი რუსებისთვის“.

მოსკოვში პირველი ფართომასშტაბიანი აქცია 11 დეკემბერს გაიმართა.

პროფამისტურ-მოვინისტური ახალგაზრდული ორგანიზაციები შურის საძიებლად თუ „სამართლიანობის“ მოთხოვნით მანუჟის მოედანზე შეიკრიბნენ.

ჩვეულებრივ, როცა დინჯი და სოლიდური ადამიანები – რუსი უფლებათა დამცველები ან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მართავენ მიტინგს, კორუფციაში ჩაფლული და უუნარო რუსული მილიცია, უჩვეულო „პროფესიონალიზმს“ იჩენს მათგან საზოგადოების დასაცავად და არასანქცირებულ მიტინგს სხვადასხვა ხერხით ერთ საათში შლის.

11 დეკემბრის აქციაზე კი მილიციელების აშკარა ნაკლებობა იყო. ვინც იყვნენ, ისინიც უმწეოდ ცდილობდნენ, დაეშოშმინებინათ რუსი ნეო-ფაშისტები, რომლებიც კავკასიელებს იქვე ფიზიკურად უსწორდებოდნენ.



ფეხბურთის ფანების და მემარჯვენეების დემონსტრაცია, მოსკოვი, 11 დეკემბერი 2010

„სამწუხაროდ, ხელისუფლება სულ სხვანაირად აზროვნებს: ეს ხალხი (ულტრამემარჯვენე და ფაშისტური დაჯგუფებები) მათთვის სოციალურად უფრო ახლობელია, ჩვენ კი – საშობო ხალხად მივაჩნევართ,“ – ამბობს ლუდმილა ალექსეევა, რუსი უფლებადამცველი ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც თავადაც გამხდარა მსგავსი ორგანიზაციების მსხვერპლი.

მეორე, უფრო ფართომასშტაბიანი აქცია მოსკოვში 15 დეკემბერს, კიევის სადგურთან გაიმართა. იმავე დღეს „რუსეთი რუსებისთვის“ ლოზუნგით აქციები რუსეთის ბევრ სხვა ქალაქშიც ჩატარდა. რუსეთი ანტიკავკასიური ისტერიის ზღვარზე დადგა. მილიციამ, რომელიც ამ დღეს უფრო მხნედ გამოიყურებოდა, 1 700-მდე ადამიანი დააკავა, აგრესიული ბრბო მეტროებში შერეკა, რასაც სახიფათო ინციდენტები მოჰყვა.

პარალელურად, იმავე დღეს სავაჭრო ცენტრ „ვეროჟისკისთან“ აქცია მოაწყვეს კავკასიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც.

„ხვალ იქნება ძალიან მძიმე დღე. სისხლი დაიღვრება,“ – წერდნენ ერთი დღით ადრე რუსი და კავკასიელი ბლოგერები.

საბედნიეროდ, 15 დეკემბერს სერიოზული დაპირისპირება არ მომხდარა. სავარაუდოდ, ანტიკავკასიური გამოსვლების აქტიური ფაზა რუსეთში რამდენიმე დღეში ჩაცხრება, თუმცა აშკარაა, რომ დეკემბრის დასაწყისში განვითარებული მოვლენები უკვალოდ არ ჩაივლის. „ეს უკვე ტენდენციაა,“ – აცხადებდნენ რუსი ექსპერტები და ჟურნალისტები რადიოსადგურ „ეხო მოსკვი“-ს ეთერში.

რუსეთის დემოკრატიული ძალები, რომლებიც აქამდე მოვლენებს მხოლოდ პრესისა და რადიოს მეშვეობით გამოეხმაურნენ, 26 დეკემბერს საპროტესტო აქციის მოწყობას გეგმავენ. როგორც კომენტატორმა ვიქტორ შენდეროვიჩმა აღნიშნა, აქცია მოსკოვის ცენტრში, კიდევ ერთი „ჩურკას“ – პუშკინის ძეგლთან გაიმართება.

პრეზიდენტი მედვედევი მილიციის კვალიფიციური ქმედებებით კმაყოფილია. „ტვიტერში“, რომელიც კომენტარების გასაკეთებლად მედვედევის საყვარელ ადგილად იქცა, მან დაწერა, რომ ეთნიკური შუღლის გაღვივებაც ისევე, როგორც მძიმე დანაშაულის ჩადენა, უნდა დაისაჯოს.

პრემიერ-მინისტრი თავდაპირველად ამ მოვლენების კომენტირებას თავს

არიდებდა. 15 დეკემბერს კი, ნაციონალური ლიდერი – პუტინი ტელემაყურებლების კითხვებს პირდაპირ ეთერში პასუხობდა. ეს პუტინისთვის მოსახლეობასთან ურთიერთობის ტრადიციული ფორმაა, რომელსაც იგი უკვე მეცხრედ მიმართავს ხელისუფლებაში ყოფნის განმავლობაში. ამჯერად პუტინმა საკუთარი რეკორდი მოხსნა და პირდაპირ ეთერში ოთხსაათნახევრის განმავლობაში ლაპარაკობდა. მას ისევე, როგორც მაყურებლების დიდ ნაწილს, აშკარად დააინყნა, რომ რუსეთს დღეს სხვა პრეზიდენტი ჰყავს.

„ჩვენ მკაცრად უნდა აღვკვეთოთ ექსტრემიზმის ნებისმიერი გამოვლინება... ჩვენს საზოგადოებას, მათ შორის, ლიბერალურსაც, უნდა ესმოდეს, რომ წესრიგი და მისი დაცვა აუცილებელია. სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ უმრავლესობის ინტერესები დაიცვას“, – განაცხადა მან.

მაინც ვინ არის ის უმრავლესობა, რომელზეც საუბრობდა პუტინი?

მანუჟნაიზე გამართული აქციის ფოტოებში ორი დამახასიათებელი ტიპაჟი ფიგურირებს: „კავკასიელები“ – დაჩივებული იერის, შავგვრემანი ჯმუხი ბიჭები, რომლებიც „კავკაზ გარიანაი კროვ“-ის, „კავკაზ – სილა“-ს გაჰყვირიან და დროდადრო მოსკოვის მეტროში „ლუზგინკას“ შემოსახებენ ხოლმე რუსების გასაღიზიანებლად და რომლებსაც თითქმის არაფერი აქვთ საერთო ჩრდილოეთ კავკასიის თავდაჭერილ და ღირსეულ ხალხთან. და მეორე მხარეს – ზომიერად ჩაპუტკუნებული, ვარდისფერლოყება რუსი ახალგაზრდა „პატრიოტები“, რუსეთის გეო-პოლიტიკური „მისიები“ გატაცებული ნაცისტები, რომლებიც ხშირად თავიანთ გამოსვლებში მართლმადიდებლურ სიმბოლიკასა და ფორმულირებებს ურევენ, თუმცა სახეებზე ლოცვისა და მარხვის კვალი ჯიუტად არ ეკითხებათ.

ეს ორი მხარე პირველად არ დგას ერთმანეთის პირისპირ. თუმცა დღეს, დაპირისპირებამ, რომელიც 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩეჩნეთში სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა,

კრემლის კედლებთან, მოსკოვში გადაინაცვლა.

შორეულ 2000-იანებში, როცა რუსეთი თავისი ისტორიის ყველაზე მღელვარე პერიოდს განიცდიდა, ელცინის მემკვიდრე პუტინმა ანტიკავკასიური განწყობები ხელისუფლებაში მოსასვლელად გამოიყენა და რუსეთს ილუზორული სტაბილურობა მოუტანა.

პუტინის მიერ შექმნილი ეს სტაბილურობა დღეს საფრთხეშია და ამას მოსახლეობასთან მისი ტრადიციული ტელე-დიალოგი მონშობს. მაყურებლების კითხვები, ცხადია, წინასწარ იყო გადარჩეული, მაგრამ ამ კითხვებიდანაც კი ნათლად გამოჩნდა, რომ სისტემა – ვერტიკალი, რომელსაც პუტინი ამ ხნის განმავლობაში ქმნიდა, კრახს განიცდის. მიყრუებული სოფლებიდან ადამიანები პრემიერს მათ სოფელში პირადად ჩასვლას და სხვადასხვა წვრილმანი პრობლემის მოგვარებას სთხოვდნენ, რადგან მათი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება სრულიად უუნაროა.

რუსმა პოლიტიკურმა კომენტატორებმა შენიშნეს, რომ კითხვებზე პასუხისას პუტინი აღარ იყო ისეთი თავდაჯერებული ლიდერი, როგორც – ადრე.

დღეს ანტიკავკასიური განწყობებით ყველაზე ეფექტურ მანიპულატორს – ვლადიმირ პუტინს აშკარად ცუდი დღეები უდგას.

კორუფციაში ჩაფლულ და ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ქვეყანაში სულ უფრო ხშირად იმართება ფართომასშტაბიანი აქციები, სადაც მოქალაქეები „პრემიერ პუტინის“ გადადგომას ითხოვენ.

პუტინი კი მესამედ მოსვლას აპირებს და ანტიკავკასიური განწყობები ის მზა პროდუქტია, რომელსაც, მამეშოვის „ჩეჩენი ქვრივის“ მსგავსად, ნებისმიერ დროს ეფექტურად გამოიყენებს. და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ადამიანი გამოვიდა მანუჟნაიზე „რუსეთი რუსებისთვის“ ლოზუნგით. მთავარია, რამდენი ფიქრობს ასე. აშკარაა, რომ პუტინმა იცის მათი რიცხვი. [1]

აფხაზეთის ყახაულის შესვლა

შს მინისტრი ლეონიდ ძიაპშბა – აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი?

ინალ ხაშიგი

აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე სამთვიანი მოღვაწეობის განმავლობაში ლეონიდ ძიაპშბა უბრალო ჩინოვნიკიდან გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად იქცა, რომელსაც პოსტ-ბალაფშურ ეპოქაზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

მან ძირფესვიანად განმინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი, რესპუბლიკაში სადღელამისო პატრულირება შემოიღო, სხვადასხვა სამართალდარღვევისათვის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის შვილი 15 დღით გისოსებს მიღმა ჩასვა. ეს აფხაზეთისთვის გაუგონარი „თავხედობა“ იყო.

ძიაპშბამ მნიშვნელოვნად გაამკაცრა პოლიტიკა კანონიერი ქურდების წინააღმდეგ, რაც ასევე უცხოა აფხაზეთისთვის. აქ „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტს ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა.

ძიაპშბამ „ქურდებს“ მიმართა – ან საქმეების გარჩევაზე ხელი აიღეთ, ან გირჩევთ, აფხაზეთის საზღვრები დატოვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქურდი ციხეში იჯდება,“ – თქვა ძიაპშბამ.

შს ახალი მინისტრის ხსენების გარეშე ამ ბოლო დროს აფხაზეთში არც ერთი ქორწილი თუ სხვა სადღესასწაულო სუფრა არ ჩაივლის. ვიდრე აფხაზი მძღოლები ჭიქას ხელს დაავლებენ და სასმელს მიეძალებიან, ასჯერ დაფიქრება უნევთ – ღირს თუ არა საჭის მართვა ნასვამ მდგომარეობაში? აქამდე მსგავსი დილემა აფხა-

ზი მძღოლებსთვის არ არსებობდა, რადგან საგზაო მოძრაობის წესებს თითქმის არავინ აკონტროლებდა და პრობლემის მოგვარება ნაცნობ მილიციელთან ყოველთვის შეიძლებოდა. დღეს კი „გაი“-სგან თავის დაღწევა მეტისმეტად ძვირი სიამოვნებაა.

შესაძლოა, აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ვინმეს ეს ცვლილებები უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ არა ქვეყანაში, სადაც დღიდან დამოუკიდებლობის კანონის აღსრულება ნათესაურ, მეგობრულ, ბიზნეს და სხვა კავშირებზე, ასევე სატელეფონო ზარებზე თუ ბრძანებაზე იყო დამოკიდებული.

შს ახალი მინისტრის მიერ წესრიგის დამყარების მცდელობა აფხაზეთში საზოგადოების დიდმა ნაწილმა თითქმის რევოლუციად აღიქვა.

ამჟამად, რომ ქვეყანას სიახლეები და წესრიგი მოენატრა და ნებისმიერი ქმედება ამ მიმართულებით, სანამ ეს უშუალოდ შენ არ შეგეხება, საკმაოდ პოზიტიურად ფასდება.

მიუხედავად იმისა, რომ ძიპშა პოლიტიკური განცხადებებით არ გამოდის – ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე კომენტარებს არ აკეთებს, რუსულ-აფხაზეთი ურთიერთობების რთულ რეალიებზე არ საუბრობს, შენევის მოლაპარაკებების შესახებაც კი (ეს დღეს აფხაზი პოლიტიკოსებისთვის ყველაზე უსაფრთხო თემაა, რომლის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს) არაფერი განუცხადებია – პოლიტიკური აურა მის გარშემო დღითიდღე ძლიერდება.

სამი თვის წინ აფხაზეთში თითქმის არავის აინტერესებდა, თუ ვის დაუჭერდა მხარს მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებზე გადასახადებისა და მოსაკრებლების მინისტრის მაშინდელი მოადგილე ლეონიდ ძიპშა.

ამ მოკლე ხანში ბევრი რამ შეიცვალა. ვის დაუჭერს მხარს ახალი მინისტრი და რა პოლიტიკური გეგმები აქვს მას – ამ კითხვებზე პასუხს აფხაზეთში დღეს ყველა ეძებს – დაწყებული ჩინოვნიკებით, დამთავრებული

ვრებული სოხუმის სანაპიროზე, ყავის დასალევად შეკრებილი რიგითი მოქალაქეებით.

ზოგიერთები კითხვას უფრო თამამად სვამენ: თავად ხომ არ სურს ძიპშას აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი გახდეს?

ეს ყველაფერი ჯერ ყავის ნალექზე მკითხაობას ჰგავს. თუმცა ლეონიდ ძიპშას უკვე აქვს გარკვეული მიღწევები. ამ სამი თვის განმავლობაში, წესრიგის დამყარებისკენ მიმართული ღონისძიებების წყალობით, ძიპშამ უკვე თითქმის „დაკანონებული მემკვიდრეს“ – ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვას მნიშვნელოვანი

■ შს ახალი მინისტრის მიერ შედარებით წესრიგის დამყარების მცდელობა აფხაზეთი საზოგადოების დიდმა ნაწილმა თითქმის რევოლუციად აღიქვა.

ქულები წაართვა.

ანქვას გავლენა აფხაზეთში ჯერ კიდევ პირველი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას დროსაც თვალშისაცემი იყო. ანქვებით მაშინ დაუდევარ ჩინოვნიკებს, ქურდებსა და ხულიგნებს აშინებდნენ: „აი, მოვა ანქვები და ყველას გიჩვენებთ სეირს,“ – ამბობდნენ არძინბას დროს არსებული მდგომარეობით უკმაყოფილონი.

ანქვებიც, როგორც შეეძლო, უკანონობასთან მებრძოლის იმიჯს ირგებდა. მისი ცნობილი ფრაზა: „ყველა დამნაშავეს შეეთავაზებთ საკნებს ზღვაზე ხედი“ – ბევრზე ახდენდა შთაბეჭდილებას.

მაგრამ როცა 2005 წელს ალექსანდრე ანქვა იხევ ხელისუფლებაში

დაბრუნდა, ჯერ პრეზიდენტ ბალაფუმის მთავრობის ხელმძღვანელის, ხოლო 5 წლის შემდეგ – ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე, იძულებული გახდა ყველა ეს დაპირება დაევიწყებინა. ანქვამ აფხაზეთს წესრიგი ვერ მოუტანა.


ხალხში ვრცელდებოდა ხმები, რომ ანქვას რეფორმების განხორციელებაში ხელს პრეზიდენტი ბალაფუმი უშლიდა. ბევრის აზრით, ბალაფუს ანქვას ნარმატებების და რეიტინგის ეშინოდა.

ზოგიერთ აფხაზ ექსპერტსაც სჯეროდა, რომ ბალაფუმის წასვლისა და ანქვას გაპრეზიდენტების შემდეგ, რეალური ძალაუფლების ანქვა და ნაპირების შესრულებას შეუდგებოდა და ყველას ჯეროვან ადგილს მიუჩენდა.

ეს ძალზე მოხერხებული ჭორები იყო, რომლებსაც ანქვა ამჟამად იფერებდა.

სავარაუდოდ, ანქვას ეს იმიჯი კიდევ დიდხანს იქნებოდა აქტუალური, უცებ, ყოველგვარი პიარშესავლების გარეშე, ლეონიდ ძიპშა რომ არ გამოჩენილიყო.

ძიპშა დღეს რეალურად ცდილობს წესრიგის დამყარებას და ამით „კანონის დამცველის“ სახელს იხვეჭს. ნიშანს, რომელიც ანქვას წლების წინ ავანსად ერგო, დღეს ძიპშა რეალურად იკავებს.

ანქვა კი ძალიან ჰგავს ცნობილი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობის გმირების – „ჩეგემლეების“ წარმოდგენაში არსებულ ლენინს: „მას, ვისაც უნდოდა ხალხისთვის კარგი გაეკეთებინა, მაგრამ ვერ მოასწრო“. 



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

ეკონომიკური პოლიტიკა

"ახალი ხუხსი" და ძველი ჰიობრები

ხელისუფლება ამბობს, რომ სახელმწიფოსა და მენარმეებს შორის ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს, თუმცა საამისოდ საჭირო ნაბიჯებს ვერ დგამს.

მანანა ვარდიაშვილი



აქამდე ვიცოდით, რომ საქართველოში საუკეთესო ბიზნეს-გარემო იყო. ყველასთვის მოულოდნელად, 4 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა აღიარა, რომ მენარმეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის გარკვეული პრობლემებია: „ძალიან ბევრ მენარმეს აქვს განცდა, რომ სახელმწიფო მას სათანადოდ არ უსმენს და უსამართლოდ ექცევა; ჯერაც ხშირად შემთხვევა, როდესაც სასჯელი უფრო დიდია, ვიდრე ამას არსებული დარღვევა იმსახურებს. მენარმეებს ხშირად სამართლიანად უჩნდებათ განცდა, რომ სახელმწიფო არ აკეთებს საკმარის იმისათვის, რომ ბიზნეს-გარემო კიდევ უფრო უკეთესი იყოს“.

მენარმეებსა და ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურებს შორის არსებული პრობლემები, პრეზიდენტის კვალდაკვალ, ფინანსთა მინისტრმა აღიარა. კახა ბაინდურაშვილი ამბობს, რომ ხარვეზები, ძირითადად, გადასახადების ადმინისტრირების სირთულეს და საურავების დარიცხვებს უკავშირდებოდა. „იყო კომუნიკაციასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები“.

მენარმეებთან მიმართებაში სახელმწიფო სამსახურების მიდგომის შეცვლის მიზნით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეკონომიკის „ახალი კურსი“ გამოაცხადა და პრიორიტეტებიც განსაზღვრა.

„ახალი კურსი“ ითვალისწინებს:
▶ ახალი საგადასახადო კოდექსის ამუშავებას, რომელიც შეამცირებს სა-

გადასახადო ადმინისტრირების წნეხს მენარმეზე; დარღვევის პატიებისა და წინასწარი გაფრთხილების მექანიზმის შემოღებას; ასევე, საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედებას, რათა მენარმე უფრო დაცულად გრძნობდეს თავს.

▶ დარიცხვის ისეთი მექანიზმის შემოღებას, რომ ბიზნესის შეცდომის გამო, დარიცხულმა თანხამ საწარმოს გაჩერება და დანგრევა არ გამოიწვიოს; მაშინაც კი, თუ საწარმოს მფლობელი შეგნებულად არღვევს კონკრეტულ ნორმებს, საწარმო კი არ უნდა დაიხუროს, არამედ გადარჩეს და მუშაობა გააგრძელოს, რათა კონკრეტული ადამიანები ლუკმაპურის გარეშე არ დარჩნენ.

▶ ახალი, კვალიფიციური კადრების

მომზადებას და ძველების გადამზადებას ისე, რომ ყოველი მათგანი, უპირველესად, ბიზნესის წარმატებასა და ხელშეწყობაზე იყოს ორიენტირებული; ისე, რომ მათთან მუშაობა მენარმისათვის იყოს კომფორტული და გასაგები; ისე, რომ მათგან მოდიოდეს სამართლიანობის განცდა.

▶ ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რომელიც მკვეთრად გამარტივებს პროცედურებს და მომსახურებას, შეამცირებს ბიუროკრატიას და მომსახურების ვადებს მინიმუმამდე დაიყვანს.

„სახელმწიფომ გადამხდელს ხელი კი არ უნდა წაუჭიროს ყელში, არამედ ხელი უნდა ჩაჰკიდოს და როგორც ჭეშმარიტი პარტნიორები, ერთად უნდა გავიდნენ სამშვიდობოს,“ – აცხადებს პრეზიდენტი.

ბიზნესთან პარტნიორულ ურთიერთობის აუცილებლობაზე საუბრობს ფინანსთა მინისტრიც. „მთავრობის მხრიდან ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ბიზნესმა საგადასახადო ორგანოები არა ჩასაფრებულ სუბიექტებად,

დან გარეთ ველარ გამოვლიოდი. რა საჭირო იყო ჩემი დაკავება, რეკვიზიტის ვიყავი? უსამართლოდ მომექცნენ და სამართლიანი დამოკიდებულების იმედი არც მომავალში მაქვს. მალაზია დავტოვე. არ მინდა ისეთი სამსახური მქონდეს, რომ საგადასახადოსთან სისტემატური ურთიერთობა მიხდებოდეს“.

მთავრობას იმედი აქვს, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტისა და სხვა საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების პოზიტიურ შედეგებს 3-4 თვეში ვიგრძნობთ. კარდინალური ცვლილების მთავარ საფუძვლად ახალი საგადასახადო კოდექსი სახელდება.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიზნესთან სახელმწიფოს მიდგომის რადიკალური შეცვლა ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის. „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი ამბობს, რომ სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორული ურთიერთობის გარეშე საქართველოს განვითარება წარმოუდგენელია. „ეს მომავლის განვითარების სასურველი სცენარია. ჯერჯერობით

■ „ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება თუ გვინდა, ტელედაპირებებიდან

ქმედებებზე უნდა გადავიდეთ და ბიზნესმენტა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ“.

არამედ საკუთარ პარტნიორად აღიქვას“, – ამბობს ბაინდურაშვილი.

ნინო გ. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა, სხვა ინდემწარმებთან ერთად, სავაჭრო ცენტრ „კიდობანში“ 5 ოქტომბერს დააკავეს. მოგვიანებით ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ნინო ამბობს, რომ პრეზიდენტის ახალი ინიციატივა მისთვის „უკან მიდევნებული ლამპარია“. მას საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებთან პარტნიორული თანამშრომლობის არ სჯერა. „მონმის სტატუსით ვიყავი დაბარებული და დამაკავეს. გირაო რომ გადაგვეხადა, ჩემმა ოჯახმა ვალი აიღო. დაკავების ფაქტმა ფინანსურადაც გამანადგურა და მორალურადაც. ერთი თვე სახლი-

კი, რეალობა ასეთია: არის „უფროსი“ მთავრობა და მორჩილი გადასახადის გადამხდელი, რომელიც მთავრობის ნებისმიერ მოთხოვნას უპირობოდ უნდა დაემორჩილოს. ძალიან მნიშვნელოვანია საგადასახადო სამსახურების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა. მაგრამ, მთავარი საგადასახადო კოდექსია. მოქმედ კოდექსში არსებული ყველა სერიოზული პრობლემა ახალ კოდექსში უცვლელად გადავიდა. ბიზნეს-გარემოს რეალური გაუმჯობესება თუ გვინდა, ტელედაპირებებიდან რეალურ ქმედებებზე უნდა გადავიდეთ და ბიზნესმენტა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ – შევამციროთ საგადასახადო ტვირთი და პრიორიტეტად ბიუჯეტის

შევისების სანაცვლოდ ბიზნესის ხელშეწყობა დავისახოთ“.

ჯანდიერი მიიჩნევს, რომ პარტნიორობა გადასახადის გადამხდელის და საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლის თანაბარ პირობებში ყოფნას უნდა ნიშნავდეს და თუ საკუთარი შეცდომის გამო ბიზნესმენი ისჯება, მკაცრად უნდა ისჯებოდეს მთავრობის ის წარმომადგენელიც, რომლის ქმედებაც ბიზნესს ზიანს მიაყენებს.

ეკონომიკის ექსპერტთა აზრით, პრეზიდენტის ახალ ინიციატივას არ ნაადგება უკვე განხორციელებული ის ცვლილება, რომლის თანახმადაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნა. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ხელფასის სახით მათ მიერ მენარმებზე დარიცხული და ამოღებული თანხის გარკვეულ პროცენტს იღებენ: ორგანო, რომელსაც გადასახადების ამოღება ევალება, კანონით არის ნახალისებული, რომ ბიზნესიდან, რაც შეიძლება მეტი თანხა ამოიღოს.

ექსპერტი ირაკლი შავიშვილი მიიჩნევს, რომ 2011 წლის ბიუჯეტის შესრულებას ისევ მკაცრი ადმინისტრირება დასჭირდება. ეს კი პრეზიდენტის ინიციატივის განხორციელებას და ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამკვიდრებას ხელს არ შეუწყობს. მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის თანახმად, საგადასახადო შემოსავლები წლევანდელთან შედარებით 748 მლნ ლარით იზრდება. „ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 4,5 პროცენტია, საგადასახადო შემოსავლები კი 15-20 პროცენტით იზრდება. ეკონომიკისა და საგადასახადო შემოსავლების ასეთი ასიმეტრიული ზრდა ნიშნავს იმას, რომ გადასახადებიდან ამოსაღები საბიუჯეტო შემოსავლების ოდენობა ბიზნესის ზრდის პირდაპირპროპორციული არ იქნება. მარტივად რომ ვთქვათ, მომავალ წელს მენარმებს უფრო მეტ ფულს გამოართმევენ. ასე, რომ ბიზნესის მდგომარეობა გაუმჯობესების მაგივრად გაუარესდება“, – ამბობს შავიშვილი. ■

თხილის ბიზნესი სამეზობლოში

"ფეხეხო ხოშეხის" მებეხედი ისტორია

როგორ ხვდება ქართული თხილი იტალიური შოკოლადის ოქროსფერ ბურთულაში.

მონიკა ელენა

ეს 1990-იანი წლების საკულტო რეკლამა იყო – ელჩის მიღება ლანგარზე დაწყობილი „ფერერო როშერის“ ოქროსფერი პირამიდებით: „ის საზოგადოებაში ჩინებული გემოვნებით იყო ცნობილი“. მაგრამ ამ პატარა შოკოლადების მწარმოებლები, სინამდვილეში, მალალი საზოგადოების მოყვარულები სულაც არ არიან. იტალიელი ძმები პიეტრო და ჯიოვანი ფერეროები ხალხმრავლობისგან გარიდებას ამჯობინებენ. ეს ეხება „ფერეროს“ პოლიტიკასაც – ის ერთ-ერთი ყველაზე დახურული ფირმაა ამ ტიპის კომპანიებს შორის.

შოკოლადის მწარმოებელ კომპანიას საფუძველი ჩრდილოეთ იტალიაში, ალბაში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჩაეყარა და, თავდაპირველად, ის ერთი პატარა საკონდიტრო მალაზია იყო. პიეტროს და ჯიოვანის ბაბუამ საიდანდაც სპეციალური კრემის რეცეპტი ამოქექა და ომის გამო დეფიციტური შოკოლადის ნაცვლად ადგილობრივი თხილით ამ კრემის წარმოება დაიწყო. კომპანიამ „ნუტელა“ 1963 წელს დაარეგისტრირა. პირველი ქილა „ნუტელა“ 1964 წელს გაიყიდა – მას შემდეგ, რაც მიშელ ფერერომ წინაპრების რეცეპტი ოდნავ შეცვალა.

ფერეროს ოჯახის წევრები დღემდე კომპანიის ერთადერთი მენილეები არიან. 2007 წელს მიშელ ფერერომ იტალიის ყველაზე მდიდარ მოქალაქეთა სიაში პირველი ადგილი დაიკავა და ბერლუსკონის გაუსწრო. ჟურნალ „ფორბსის“ შეფასებით, მისი ოჯახის ქონება 9.5 მილიარდი ევროა. მაგრამ იგი კვლავ მჭიდრო კავშირებს



ინარჩუნებს სოფელთან, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა – ადგილობრივები ამბობენ, რომ მიშელი მონტე კარლოსა და ალბას შორის დროს თანაბრად ანაწილებს. კომპანიის ძველ თანამშრომლებთან მას უშუალო და მეგობრული ურთიერთობა აქვს.

შეიძლება, ფესვებისადმი ასეთი ერთგულება არის იმ საოცარი თავდადების მიზეზი, რითაც კომპანიის თანამშრომლებში არიან ცნობილი: „ფერეროში“ არასდროს ყოფილა გაფიცვა ან პროტესტი. „ფერეროს“ არასდროს უყიდა ან შემოუერთებია სხვა კომპანია. არსებობის 60 წლის მანძილზე კომპანიას არასდროს გაუმართავს პრესკონფერენცია, არც ერთ მის დამფუძნებელს არ მიუცია

ინტერვიუ მედიისთვის. წარმოება იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ „ფერეროს“ ყველა პროდუქტი კომპანიის საკუთარი, ფერეროების გვარის წარმომადგენელი ინჟინრის მიერ აწყობილი დანადგარებით მზადდება. როგორც ყველა კარგ ფერეროს, პრესასთან საუბარი მასაც არ სურს.

ასეთ „ჩაკეტულ“ პოლიტიკას კომპანიის საწინააღმდეგოდ ნამდვილად არ უმუშავია: 1940-იანი წლების პატარა საკონდიტრო მალაზიიდან „ფერერო“ მსოფლიოში სიდიდით მეოთხე საკონდიტრო კომპანიად გადაიქცა, რომლის გაყიდვების მოცულობამ შარშან 9 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.

2007 წელს „ფერერო“ საქართველოში შემოვიდა. კომპანიამ სამე-

გრელოში თხილის პლანტაციების გასაშენებლად და ორი გადამამუშავებელი საწარმოს ასაშენებლად მიწა შეისყიდა. ყოველ წელს „ფერერო“ 75 ქვეყანაში 180 000 ტონა „ნუტელას“ ყიდის. ეს თხილიანი შოკოლადის კარაქი იტალიაში ერთგვარ „ბედნიერების მომტან“ საკვებად აღიქმება, რომელიც მრავალ სიმღერაში, მოთხრობაში, ნახატსა თუ ფილმში ფიგურირებს. „ნუტელაზე“ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, „ფერეროს“ ყოველწლიურად 25 000 ტონაზე მეტი თხილი სჭირდება.

საქართველოში ბიზნესი „ფერერომ“ შვილობილი კომპანიის – აგრიჯორჯის – დაარსებით დაინყო, რომელშიც წილის 100%-ს თავად ფლობს. ამჟამად კომპანიის საკუთრებაში 3 000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო

რი უკვე აითვისა და დანარჩენის გაშენებას მომავალი ორი წლის განმავლობაში გეგმავს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, „ფერერო“ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელია. „დაახლოებით 170 ადამიანი მუდმივად არის დასაქმებული და სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებებისათვის კომპანია დამატებით 500-მდე დროებით მუშას ქირაობს“, – განუცხადა investor.ge-ს მარკეტინგული კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე ზვიადაძემ. „კომპანია ასევე დიდ ინვესტიციას დებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის – გზებისა და ხიდების – რეაბილიტაციაში“. ადგილობრივ თემში ინვესტირება კომპანიის კორპორა-

თველოს კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს შეუძლია, მეზობელ ქვეყანას ბევრ რამეში გაუწიოს კონკურენცია – იქნება ეს შრომის ანაზღაურება, მიწის ღირებულება, შედარებით მოქნილი ტარიფები იმპორტზე თუ კლიმატი. კლიმატის კონტროლისა და ირიგაციისათვის მხოლოდ მცირე ინვესტიციაა საჭირო.

საქართველოში თხილის მოყვანაში 5000-ზე მეტი ოჯახია ჩართული, არსებობს 20-ზე მეტი გადამამუშავებელი საწარმო. ეს კი ნიშნავს, რომ თხილის მოყვანისთვის საჭირო უნარჩვევები მეტ-ნაკლებად განვითარებულია. თუმცა რაც საქართველოს არ აქვს, ეს არის თხილის მოყვანისა და გადამამუშავების ბოლო ტექნოლოგიებისა და სტანდარტების ცოდნა. შედე-

■ ყოველ წელს „ფერერო“ 75 ქვეყანაში 180 000 ტონა „ნუტელას“ ყიდის. ეს თხილიანი

შოკოლადის კარაქი იტალიაში ერთგვარ „ბედნიერების მომტან“ საკვებად აღიქმება, რომელიც

მრავალ სიმღერაში, მოთხრობაში, ნახატსა თუ ფილმში ფიგურირებს.

დანიშნულების მიწაა, რომლის ნაწილი პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მთავრობის აუქციონზე შეიძინეს, ნაწილი – კერძო მესაკუთრეებისგან.

„ჩვენ რჩევებს ვაძლევდით და მიწის ნაკვეთების შერჩევაში ვეხმარებოდით, რადგან კომპანიას უკვე გადამყვებილი ჰქონდა, საქართველოს რომელ ნაწილში შეიძენდა მიწას“, – ამბობს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის რეგიონული პროექტის კოორდინატორი თემურ ზუმბაძე. „აგრონომებმა ხობისა და ზუგდიდის რაიონებს შორის მდებარე მიწა შემოსაზღვრეს – მიწის ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ნაწილი – კერძო პირებს, ხოლო ნაწილიც თვითნებურად იყო დაკავებული – ანუ რეგულარულად მუშავდებოდა, მაგრამ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ იყო“. დღეისათვის კომპანიამ 1200 ჰექტარ-

ტიული სოციალური პასუხისმგებლობისადმი ძლიერი მხარდაჭერის გამოხატულებაა.

რამდენს აბანდებს „ფერერო“ საქართველოში, უცნობია. მედიაში გავრცელებული ცნობებით, 2007 წელს ინვესტიციები 6 მილიონ ევროს შეადგენდა. შარშან კი საქართველოში „ფერეროს“ წარმომადგენლის – მერაბ მურღულიას – განცხადებით, კომპანია ინვესტიციის მოცულობის 20 მილიონ ევრომდე გაზრდას გეგმავდა.

თხილის წარმოება ერთადერთი სექტორია, სადაც საქართველო მსოფლიოს 10 წამყვან მწარმოებელს შორის სახელდება: 2008 წელს – 18 700 ტონა თხილით მას მე-6 ადგილი ეკავა. ეს ბევრად ჩამორჩება მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლის – თურქეთის მაჩვენებელს, რომელიც 800 000 ტონაზე მეტს აწარმოებს. თუმცა მსოფლიო ბანკის 2009 წლის საქარ-

გად, ხარისხი თურქულზე დაბალია – ეს „ფერეროს“ თხილის განვითარების მთავარმა მენეჯერმა მაურიზიო კორტესმა შარშან თბილისში გამართულ კონფერენციაზეც დაადასტურა. საშუალოდ, ერთი კილოგრამი დაკრეფილი თხილი თურქეთში 500 გრამ თხილის გულს იძლევა. იგივე მაჩვენებელი საქართველოში 400 გრამზე ნაკლებია.

სწორედ აქ ჩანს „ფერეროს“ მნიშვნელობა საქართველოსთვის. „ფერერო ჩვენი ერთ-ერთი წარმატებული ისტორიაა“, – ამბობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ირაკლი მატკავა. „კომპანიას, დასაქმების თვალსაზრისით, დიდი გავლენა აქვს რეგიონის ეკონომიკაზე და თან, ტექნოლოგიები და ცოდნა შემოაქვს“. □

სოფლის მეურნეობა

იმპროხბუდი ხუცხუხა

სახელმწიფოს იმპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გამო ხორბლისა და სიმინდის ადგილობრივ ჯიშებს გადაშენების საფრთხე ემუქრება.

ეკა ჭითანავა

შემოდგომაზე, სანამ აცივდება, დედოფლისწყაროში, ერთ ჰექტარ ნაკვეთზე ხუთ მილიონამდე მარცვალს თესავენ. მზესუმზირისხელა მოყვითალო-მოყავისფრო მარცვლებს მინას აყრიან, საგულდაგულად ტკეპნიან და შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში, გალვივებას ელოდებიან.

ოქტომბერ-ნოემბერში მიწიდან პირველი ფოთლები ამოდის, ჯეჯილი ყოველდღიურად იზრდება, გამოიზამთრებს და ზაფხულში ოქროსფერ თავთავებს იკეთებს.

ასე იღებენ ხორბალს.

სელექციონერი ნანა ჩხუტიაშვილი ხორბლის მეურნეობაში მუშაობს. აქ ხორბალ „ლომთაგორას“ სამი ადგილობრივი ჯიში მეცნიერებმა საზღ-

ვარგარეთიდან შემოტანილი თესლიდან გამოიყვანეს. სელექციონერები უკვე 10 წელია, ამ ჯიშების გამოცდაზე მუშაობენ. ჩხუტიაშვილი ამბობს, რომ ჰექტარზე საშუალოდ 5-6 ტონა მოსავალი მოდის. ეს ნიშნავს, რომ მათი ჯიშები უხვმოსავლიანია.

18 ოქტომბერს, ყვარულში ფერმერებთან შეხვედრისას, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ხორბლის მოთხოვნის 40 პროცენტსაც კი ვერ აკმაყოფილებს. პრობლემის მოგვარებას კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო „გარედან“ ცდილობს.

ოქტომბერში ამერიკიდან საქართველოში 2 ათასი ტონა „ჯაგერის“ ხორბლის თესლი შემოიტანეს. წინასწარი გათვლით, „ჯაგერის“ შემოტანის შემდეგ ხორბლის

მოსავალი, მინიმუმ, ორჯერ უნდა გაიზარდოს.

მეცნიერები ამბობენ, რომ ხორბლის თესლის ერთჯერადი შემოტანა მიზანშეწონილია, თუმცა მიუღებელია, ქვეყანა მუდმივად იმპორტირებულ თესლზე იყოს დამოკიდებული. მით უფრო, რომ ხორბლის ერთ-ერთი სამშობლო სწორედ საქართველოა.

ჩვენთან ხორბლის 5 ენდემური სახეობაა აღმოჩენილი, თუმცა ამ უნიკალურ სახეობებს, მაგალითად, მახასა და ზანდურს, დღეს ფერმერები დაბალმოსავლიანობის გამო საერთოდ ვეღარ თესავენ. შესაბამისად,, მასობრივი წარმოების ნაცვლად, კოლხური ასლის, დიკასა და ჟუკოვსკის მარცვლები, როგორც სამუზეუმო ექსპონატი, მინათმოქმედების ინსტიტუტის



გენეტიკურ ბანკში შუშის კოლბებსა და ფოლგის პაკეტებში ინახება. იმისათვის, რომ სახეობები არ გადაგვარდეს, ყოველ ექვს წელიწადში მეცნიერები ამ ხორბალს მხოლოდ მინის პატარა ფართობზე თესავენ.

ძველი ჯიშების აღდგენა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის პრიორიტეტი არასდროს გამხდარა. ამ საქმით მხოლოდ ერთეული არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ინტერესდებიან. მაგალითად, ახალციხეში წითელი დოლი „ელკანამ“ აღადგინა. ამ ფქვილისგან განსაკუთრებულად გემრიელი პური ცხვება, ამიტომაც დღეს უკვე თავისი ერთეული მომხმარებელიც ჰყავს.

თუმცა წითელი დოლი დაბალმოსავლიანია და ჰექტარზე სულ 3 ტონამდე ხორბალი მოდის, მაშინ როცა თანამედროვე ჯიშებისგან მიღებული მოსავალი 6 ტონაზე მეტია.

ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამბობენ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბაზარზე მოთხოვნას მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები ვერ დააკმაყოფილებს.

იგივე არგუმენტი გამოიყენა სამინისტრომ საქართველოში სიმინდის ჰიბრიდული თესლის შემოსატანადაც. სიტყვა „ჰიბრიდი“ თავიდან კონსპირაციული თეორიების წყაროდ იქცა, თუმცა პრობლემა ამ სიტყვაში არაა.

სიმინდის ჰიბრიდის შექმნა მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. თუკი ერთი სიმინდი ყინვაგამძლეა, მეორე კი – გემრიელი და ამ ორს შევავარებთ, მივიღებთ ჰიბრიდულ სიმინდს, რომელსაც ორივე „მშობლის“ საუკეთესო თვისებები მემკვიდრეობით გადაეცემა და „მშობლებზე“ მაღალმოსავლიანიც იქნება.

სწორედ უხვი მოსავლის აღების იმედით, ზესტაფონელი ფერმერი, მიშა ჭანკოტაძე გაზაფხულამდე 30 000 ლარის სიმინდის თესლისა და კიდევ 40 000 ლარის სასუქების ყიდვას აპირებს. „ამას 140 ჰექტარზე დავთესავ და თუკი ამინდიც ხელს შეუწყობს, ჰექტარზე, მინიმუმ, 6-7ტონა მოსავალი მოვა“, – ამბობს ჭანკოტაძე.

თუმცა ჭანკოტაძის გათვლებმა შეიძლება, მხოლოდ წელს გაამართლოს. გაი-

სად მას, ბევრი სხვა გლეხის მსგავსად, თესლის შექმნა და ორმაგი ხარჯის გაღება თავიდან მოუწევს.

ჰიბრიდული სიმინდის თესლი დათესვიდან მეორე წელს გენეტიკურად ითიშება და გაუმჯობესებულ თვისებებს, რაც ჰიბრიდიზაციის შემდეგ შეიძინა, კარგავს. შესაბამისად, მისგან მიღებული მარცვლით ფერმერი ისეთსავე უხვ მოსავალს მეორედ ვეღარ მიიღებს. უხვმოსავლიანობის შესანარჩუნებლად, მას ყოველწლიურად სასუქთან ერთად, ახალი თესლის ყიდვა მოუწევს. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი მეთესლეობა განვითარებული არაა, მოსახლეობა იმპორტირებულ პროდუქტზე დამოკიდებული ხდება.

საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანაა. სათესლე მეურნეობების ცენტრალიზებული სისტემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაუქმდა. მაშინ სელექციონერები ჯიშის გამოყვანასა და შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ. ხორბალი და სიმინდი დიდი ფართობის მიწებზე ითესებოდა, მისგან მიღებული თესლი კი მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდა. დღეს არც ჯიშთა გამოცდის სამსახური აღარ არსებობს, და არც – მეთესლეობის განვითარების გეგმა.

„საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღარ გვჭირდება ასეთი ცენტრალიზებული სისტემა, თუმცა საჭიროა სამსახურები, რომლებიც იზრუნებენ მეურნეობების განვითარებაზე, თუკი თესლს ადგილობრივად ვანარმოებთ და გავამრავლებთ, შესაძლოა, შემოტანა საერთოდ არ დაგვჭირდეს“, – ამბობს მინათმოქმედების ინსტიტუტის მეცნიერი მირიან ჩოხელი.

მეთესლეობისა და ქართული ჯიშების შენარჩუნება ნოსტალგიური აკვიტება სულაც არ არის. თუკი საქართველოში ადგილობრივი მეთესლეობა განვითარდება, ფერმერი თესლს უფრო იაფადაც იყიდის და მოსახლეობაც დასაქმდება. მაგალითად, „ლომთავორაში“ 1 კგ ხორბლის თესლის ფასი 1 ლარიდან 1,50 ლარამდე მერყეობს. იმპორტირებული „ჯვაგერი“ კი 1 აშშ დოლარი ღირს.

„ჩვენ ძალიან პატარა სეგმენტზე ვმუშაობთ“, – ამბობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი კახა ლაშვი, „მთელ ქვეყანას ვერ დავაკმაყოფილებთ


საკმარისი რაოდენობის თესლით, მეცნიერება ძვირი სიამოვნებაა, აუცილებელია ადგილობრივი ჯიშების ნახალისება, მაგრამ ჩვენს გარდა მეორადი რგოლიც უნდა არსებობდეს, რომელიც შემდეგ თესლს გაამრავლებს“.

სიმინდის ჰიბრიდული თესლის შემოტანას ერთი საფრთხეც ახლავს თან. იმპორტირებული ჰიბრიდული ჯიშის ადგილობრივისგან 300-400 მეტრის დაშორებით უნდა დაითესოს, რომ ახალმა ჯიშმა შეიძლება ადგილობრივმა სიმინდმა უნიკალური თვისებები დაკარგოს.

საქართველოში პირველად სამი საუკუნის წინ შემოსული სიმინდი „ენდემურ“ მარცვლად არ ითვლება ისევე, როგორც არ არსებობს „ძირძველი პომიდორი“, ან „მამაპაპისეული კარტოფილი“. თუმცა მინათმოქმედების ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი ზურაბ ჯინჯისაძე ამბობს, რომ „ჩვენი ჰიბრიდები კარგადაა შეგუებული კლიმატურ პირობებს, ამიტომ სიმინდის ადგილობრივ ჯიშებს თავისი სფეციფიკური გემო აქვს“ და მისი შენარჩუნებაა საჭირო.

„თუ ამაზე არ ვიფიქრეთ, მჭაღსა და ლომს ძველებური გემო აღარ ექნება“, – ამბობენ მეცნიერები.

მათი ნაწილი კი იმასაც შიშობს, რომ ამერიკიდან სიმინდის იმპორტთან ერთად გენეტიკურად მოდიფიცირებული თესლის გავრცელების რისკიც გაიზრდება. კომპანია „პიონერი“, რომლისგანაც მთავრობა თესლის ყიდვას აპირებს, ბევრ ქვეყანაში სწორედ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს ყიდის. თუმცა იმპორტიორი კომპანიის, „გარემო და ანალიტიკას“ დირექტორი რობერტ რეგია ამბობს, რომ იგი „პიონერისგან“ 15 ჯიშის სიმინდს აქამდეც ყიდულობდა, გენმოდიფიცირებული პროდუქტი კი არასდროს შემოუტანია. თუმცა რეალურად, ქართულ ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის გავრცელება კანონით არ რეგულირდება.

მომავალ წელს მთავრობა მარცვლეულის თესლის შესაძენად დამატებით 30 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავს. თუმცა ეს სოლიდური ინვესტიცია ქართველი ფერმერებისთვის პრობლემას მხოლოდ დროებით გადაჭრის. 



საქართველოში ბიზნესის დეველოპმენტი

სახელმწიფო და მოქალაქეების საერთაშორისო

სახელმწიფო და მოქალაქეების საერთაშორისო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ კვლევს საქართველოში საპროცესო გარეგნობის ინსტიტუტის ხარვეზებს ავლენს.

ნინო ბუქიშვილი

2010 წლის 15 დეკემბერს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც საქართველოში საპროცესო შეთანხმების ექვსწლიან ისტორიას სწავლობს.

80-გვერდიან ანგარიშში განხილულია ქართული და უცხოური კანონმდებლობა, გათვალისწინებულია უფლებადამცველებ-

ბისა და ადვოკატების მოსაზრებები, თბილისის საქალაქო სასამართლოს 43 საქმეზე დაყრდნობით საუბარია იმაზე, თუ როგორ ხორციელდება გარეგნობის პრაქტიკაში და მოცემულია რეკომენდაციები ამ ინსტიტუტის დასახვეწად.

საპროცესო გარეგნობა სწრაფი მართლმსაჯულების ფორმაა, როდესაც განაჩენი ბრალდებულსა და სამართალდამცველებს

შორის საქმის არსებითი განხილვის გარეშე, მხარეების შეთანხმების შემდეგ გამოაქვთ.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი 2004 წლის თებერვალში რეფორმით გათვალისწინებული სხვა ცვლილებების პარალელურად ამოქმედდა. თუმცა მანამდე, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საზოგადოება ტელეკრანებიდან

სამართალი

თითქმის ყოველდღე ხედავდა, როგორ იჭერდნენ შევარდნაძისდროინდელ ჩინოვნიკებს, შემდეგ კი აცხადებდნენ, რომ მათ ბიუჯეტში მოპარული მილიონები დააბრუნეს და ყოველგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე უშვებდნენ.

კორუფციაში მხილებული ჩინოვნიკების ქონების კონფისკაცია „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირებული „ათი ნაბიჯიდან“ ერთ–ერთი იყო. თუმცა დღემდე არ არის ცნობილი, იმდროინდელი გახმაურებული საქმეები საპროცესო გარიგებით დამთავრდა თუ რაიმე სხვა გზით; გაურკვეველია, კონკრეტულად რა თანხა შევიდა ბიუჯეტში; მით უმეტეს, უცნობია, რამდენი იყო და როგორ დაიხარჯა ეს თანხები. არც ის ვიცით, ამგვარი პროცედურა ნასამართლეობის სტატუსის მინიჭებით მთავრდებოდა თუ არა.

ანგარიშზე მუშაობისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ვერ მოახერხა 2004–2005 წლებში მიღებული საპროცესო გარიგებების შესწავლა, რადგანაც სასამართლოდან შესაბამისი დოკუმენტაცია ვერ მიიღო. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც საპროცესო გარიგების ინსტიტუტი მკვიდრდებოდა. ავტორების თვალსაზრისით, საზოგადოებას ყველაზე მეტი კითხვა სწორედ ამ პერიოდთან დაკავშირებით აქვს: „გახმაურებული კორუფციული საქმეები სწორედ საპროცესო შეთანხმებასთან არის ასოცირებული. სამართლიანად თუ უსამართლოდ, სწორედ აქედან გამომდინარეობს საპროცესო შეთანხმების, როგორც დამნაშავის მიერ თავისუფლების ყიდვის ინსტრუმენტის რეპუტაცია“.

2004 წლის შემდეგ, განსაკუთრებით კი 2006 წელს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის კვალდაკვალ, საქართველოში სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, და მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტენდენციამ წელს ოდნავ იკლო, 2010 წლის ზაფხულისათვის ქართულ ციხეებში სასჯელს 22 628 ადამიანი იხდიდა.

დღეს საქართველოში ყოველ 100 000 ადამიანზე 514 მსჯავრდადებულია. ამიტომაც, მოსამართლეებს არაადეკვატურად ბევრი საქმის განხილვა უწევთ. საქართვე-

ლოში სულ 281 მოსამართლეა, ანუ ერთ მოსამართლეზე საშუალოდ 15 ათას ადამიანზე მეტი მოდის.

საინტერესოა ისიც, რომ 2009 წლის პირველ კვარტალში საპროცესო შეთანხმებით დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა 56.5 პროცენტი, 2010 წლის პირველ კვარტალში კი – 71.6 პროცენტი. 2009 წელს 9073 საქმეზე 11027 პირი გათავისუფლდა საპროცესო შეთანხმებით და მხოლოდ 17 საქმე დაბრუნდა გამოძიებაში.

„საპროცესო შეთანხმების ასეთი ფართო გამოყენების ერთ–ერთი საფუძველი, ეჭვგარეშეა, რომ სასამართლოს მიმართ დაბალი ნდობაა. ეს არცაა გასაკვირი. თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკას გადავხედავთ, ქართულ სასამართლო სისტემაში გამართლების შანსი 2007 წლიდან უცვლელად 0,1 პროცენტია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეთა 99.99 პროცენტის შემთხვევაში სასამართლო ბრალდებულებს დამნაშავედ ცნობს“, – მიაჩნიათ ანგარიშის ავტორებს.

ფაქტია, რომ საპროცესო შეთანხმების შემოღების შემდეგ მართლმსაჯულება უფრო სწრაფი და მოქნილი გახდა. ამ ინსტიტუტის გარეშე მოსამართლეებს ნამდვილად გაუჭირდებოდათ საქმეებისთვის თა-

ვის გართმევა, ციხეები კი ვერ აუვიდოდა უამრავ პატიმარს.

მოხდა ერთი დადებითი ცვლილებაც: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2004 წლის რედაქციით, საპროცესო შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში ფორმდებოდა, თუ ბრალდებული ითანამშრომლებდა გამოძიებასთან, აღიარებდა ბრალს და პროკურატურას მიაწვდიდა ისეთი ინფორმაციას, რაც დამაშაულის გახსნას ხელს შეუწყობდა. დღეს კი, საპროცესო შეთანხმებისას გამოძიებასთან თანამშრომლობა სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როცა საქმე სასჯელისგან სრულიად გათავისუფლებას ეხება. ასეთ დროს საქართველოს მთავარი პროკურორი უფლებამოსილია, ბრალდებულის სასჯელისგან სრულად გათავისუფლების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართოს.

თუმცა ქართულ კანონმდებლობაში გვხვდება ხარვეზებიც: მაგალითად, ზუსტად არაა განსაზღვრული, კონკრეტულად რომელი კატეგორიის დამაშაულის ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება. არც ის თანხაა განერილი, რაც ბრალდებულმა სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს.

2006 წლამდე საპროცესო გარიგებით შემოსული თანხა სპეციალურ ფონდში

სსხილი 1. საჰოლსასო მეთანხმების დაბახისახის სბახისბიბა

ბახბოჰიბი	2007		2008		2009	
	სახე	ბიბი	სახე	ბიბი	სახე	ბიბი
გამობანილია განაჩენი საპროცესო მეთანხმებით	3432	10459	9207	11513	9073	11027
უარი ეთქვა და დაუბრუნდა პროკურატურას	15	15	15	19	17	20

სსხილი 2. ბამახისთიბაბი ბანაჩენის ეინაბიბა (2003-2009) მონასამბი ბიბიბი ინსბანსიის სასამახისთიოუბიბან

წლი	სა	ბსახბიბაბაბიბი		ბამახისთიბაბი	
	ბიბი	ბიბი	%	ბიბი	%
2003	8402	8110	96.5	61	0.7
2004	9359	9071	96.9	38	0.4
2005	9595	9168	95.5	79	0.8
2006	17155	16911	98.6	37	0.2
2007	21532	21170	98.3	13	0.1
2008	21132	20804	98.4	30	0.1
2009	18637	18354	98.5	18	0.1

ირიცხებოდა, არასამთავრობოთა მძაფრი კრიტიკის შემდეგ ფონდი გააუქმეს, მაგრამ თანხების რაოდენობაც და განკარგვაც უცნობია: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სახელმწიფო ხაზინიდან ვერ შეძლო იმის გაგება, თუ სულ რამდენი ლარია შესული წლების მანძილზე, რადგან ეს თანხები ცალკე არ აღირიცხებოდა და 2009 წლამდე მათ არც პროკურატურა აღრიცხავდა. დღეს მთავარ პროკურატურას ინფორმაცია მხოლოდ დაკისრებული ჯარიმის რაოდენობაზე აქვს და არა – რეალურად გადახდილ თანხებზე. პროკურატურის ცნობით, 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით ბრალდებულებს 61.144.311 ლარი დააკისრეს.

საპროცესო შეთანხმების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ გარიგება ხშირად ისეთ საქმეებზეც ფორმდება, რომლებიც საზოგადოებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მაგალითად, „რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევასთან დაკავშირებით ბრალდებულ პირებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და სრულად გაათავისუფლეს ბრალდებისგან მაშინ, როდესაც შენობის ჩამონგრევას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ნაწილობრივ საპროცესო შეთანხმებით დასრულდა ე.წ. მუხროვანის ამბოხის საქმეც. 28 განსასჯელიდან შვიდმა აღიარა ნაყენებული ბრალი და პროკურატურამ ისინი საპროცესო გარიგებით გაათავისუფლა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ფორმალურად აღარ მოითხოვს

ბრალის აღიარებას, მუხროვანის ამბოხში ბრალდებულ 21 სამხედრო მოხელეს საპროცესო გარიგება არ გაუფორმეს. სასამართლო პროცესზე ეს ფაქტი პროკურორმა სწორედ იმით ახსნა, რომ დანარჩენებმა თავი დამნაშავედ არ ცნეს.

ანგარიშში საუბარია იმაზეც, რომ ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ დაკნინდა მოსამართლის და გაიზარდა პროკურორის როლი.

უფლებადამცველები და ადვოკატები ფიქრობენ, რომ მოსამართლეები ხშირად კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებენ და განაჩენის დამოუკიდებლად გამოტანის ნაცვლად, პირდაპირ პროკურატურის პოზიციას ადასტურებენ. პროკურორებს კი, იმის გამო, რომ შეუზღუდავად და სუბიექტურად მოქმედებენ, – „თვითშემოქმედების საშუალება ეძლევათ“.

კანონი პირდაპირ არ მოითხოვს ჯარიმის დანესებას საპროცესო შეთანხმების დასადებად. თუმცა ანგარიშის ავტორების აზრით, „ჩვენთან ეს დაუნერვლი კანონია“. შემთხვევათა 99 პროცენტში საპროცესო შეთანხმება საჯარიმო თანხის გადახდის სანაცვლოდ იდება. „ამას ჩვენს ხელთ არსებული მასალებიც ადასტურებს, რომლებშიც ჯარიმის გარეშე დადებული სულ რამდენიმე საპროცესო შეთანხმება გვხვდება“.

კვლევისთვის თბილისის საქალაქო სასამართლომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მხოლოდ 43 საქმე მიანოდა, ისინიც – საკუთარი შერჩევით. მიზეზად სასამართლოს არქივის მოუწესრიგებლობა დასახელდა. ამიტომაც, არასა-


სამართალი

მთავრობო ორგანიზაციას ზუსტი სურათის აღწერა უჭირს. თუმცა ზოგადი პრობლემები ამ 43 საქმეშიც იკვეთება. ხდება ისე, რომ სასჯელი ან შეუსაბამოდ მკაცრია, ან შეუსაბამოდ – ლიიალური.


ანგარიშში დეტალურადაა განხილული სამი საქმე: ზულიგნობაში პირველად ბრალდებულ ვ.ა–ს სასამართლომ სასჯელის ყველაზე მაღალი ზომა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. საპროცესო გარიგების დადების შემდეგ 1 წელი მან საპატიმროში გაატარა, 4 – პირობითად მოიხადა და 2000 ლარის ჯარიმაც დაფარა. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა– შენახვაში ბრალდებულ ზ.ს–ს კი – მხოლოდ 6 თვით პატიმრობა, 5 წლით გამოსაცდელი ვადა და 5 000 ლარის გადახდა დააკისრეს. ანგარიშში განხილულია კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისთვის გ.–ს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, მაგრამ მთავარი პროკურორის შუამდგომლობით სასჯელისგან სრულად გათავისუფლდა.

ეს სამი მაგალითიც ადასტურებს, თუ როგორი მოუწესრიგებელია საპროცესო გარიგების ინსტიტუტი და მთლიანად – ქართული სასამართლო სისტემა. ანგარიშის ავტორები თვლიან, რომ „უმეტეს შემთხვევაში, სამართალი ქრთამზე დამოკიდებულის ნაცვლად სახელმწიფოზე დამოკიდებული გახდა. სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხს გარკვეულწილად სახელმწიფოც აღიარებს, როდესაც სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის გასაზრდელად რეფორმებს გეპირდება“.

ბახბიბიბა ხისხოვბება (2001-2009)



სახხოლსასო მეთანხმება (2005-2009)



თქვენ ბჯახათ იმის, ხასას მეხითსებით?

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, დიმიტრი შაშკინთან

მანდატურების როლი, პატრიოტიზმი სკოლაში, თვითმმართველობა და მისი კონტროლი – დიმიტრი შაშკინი „ლიბერალის“ კითხვებს პასუხობს.

ბატონო დიმიტრი, განათლების რეფორმის ამ ეტაპზე რა კონკრეტული პრიორიტეტებით ხელმძღვანელობთ?

ჩვენი ამოცანა იყო, სკოლაში შეგვექმნა უსაფრთხო გარემო და მასწავლებლებისთვის სწავლების საშუალება მიგვეცა. ჩვენი ამოცანა ბავშვის სკოლაში დაბრუნება იყო, ზოგადი განათლება არ შეიძლება, უმაღლესი განათლების დანამატი იყოს.

ეს ამოცანა ჩვენ წარმატებით შევასრულეთ, ასევე ძალიან სერიოზულად ვიზრუნეთ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. გადაამზადდა 10 000 მასწავლებელი. მომავალ წელს გადაამზადდებიან 20 000-ს. მაგრამ განათლების სისტემაში 70 000 მასწავლებელი მუშაობს, ამიტომ სამი-ოთხი წელი მინიმუმ დაგვჭირდება, რომ ეს პროცესი დავესრულოთ.

მასწავლებლობა სულ უფრო და უფრო არაპოპულარული პროფესია ხდება. განათლების სამინისტროს კვლევის მიხედვით, დაახლოებით 10 წელიწადში საქართველოს საჭიროზე რამდენიმე ათასით ნაკლები პედაგოგი ეყოლება. როგორ აპირებთ ამ პრობლემის გადაწყვეტას?

მთავარი პრინციპი ადამიანის თავისუფლებაა. თუ ადამიანს არ უნდა, რომ იყოს მასწავლებელი, დაძალება არ უშველის. სახელმწიფომ უნდა გამოიმუშაოს სტიმულის სისტემა, რომ პედაგოგს მოტივაცია მისცეს.

როგორ აპირებთ ამ მოტივაციის მიცემას? ყველას და, განსაკუთრებით, მასწავლებელს სჭირდება პერსპექტივა,

ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მისი შრომა ფასდება. ამავე დროს, ჩვენი ამოცანაა, რომ მასწავლებელმა იზრუნოს საკუთარ განათლებაზე. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის მასწავლებელი, რომელიც ერთდროულად ჩააბარებს ინგლისურისა და სოციალური მეცნიერებების გამოცდებს, მარტის ბოლოს ხელფასზე დამატებით 125 ლარს მიიღებს.

თუ ინგლისური იცი, შეგიძლია თვითგანათლებაზე იმუშაო, წარმატებული მასწავლებლები კი უნდა წახალისდნენ. მაგალითად, იანვარში ინგლისური ენის გამორჩეული მასწავლებლები ოქსფორდში მიემგზავრებიან, ფიზიკის მასწავლებლები კი – ცერნში.

თუმცა მასწავლებლებს, სერტიფიცირების გავლის შემდეგ, ხელფასი მხოლოდ 75 ლარით მოუმატეთ. ამავე დროს ათმილიონიანი პროექტი დაიწყეთ და ინგლისურენოვანი მასწავლებლები ჩამოიყვანეთ. ეს ხომ მიუთითებს თქვენს პრიორიტეტებზე?

ეს შედარება არარელევანტურია, რადგან მასწავლებლების ერთი თვის სახელფასო ფონდი დაახლოებით 30 მლნ ლარია, ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანით კი ჩვენ ქართველი პედაგოგების კვალიფიკაცია ავამაღლებთ, ნებისმიერ დაელაპარაკეთ – რამხელა ცვლილებები მოხდა სკოლებში მათი ჩამოსვლის შემდეგ.

ყველაზე მეტად ამ პროექტს ის ადამიანები აკრიტიკებენ, რომლებსაც შეუძლიათ შეიღებონ კერძოდ მოამზადონ. მაგალითად, რეგიონებში კრიტიკა მე არ გამიგონია. განათლება თანაბრად

ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც თბილისის, ასევე, მაგალითად, შამგონის მოსწავლეებისთვისაც.

2010 – 2011 წლებში თქვენს ერთ-ერთ გამონკვევად სკოლების თვითმმართველობის განვითარება დაასახელეთ, რატომ არ შესრულდა ეს დაპირება?

რატომ თვლით რომ სკოლის თვითმმართველობა არ გაძლიერდა?

სკოლას მართავს სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება, მასწავლებლებისგან და მშობლებისგან. ეს არის რეალური თვითმმართველობა. სკოლა დამოუკიდებელი ინსტიტუციაა, სადაც გადანყვეტილებებს სამეურვეო საბჭო იღებს.

როგორ დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭოებს აქვთ სკოლის დამოუკიდებლად მართვის რეალური ბერკეტი? მაგალითად, მე-14 სკოლის სამეურვეო საბჭოსა და მისი დირექტორის – ზვიად მიმინოშვილის – მაგალითი რომ გავიხსენოთ ... ვინ არის ზვიად მიმინოშვილი?

მე-14 სკოლის დირექტორი. ზაფხულში ფარული ჩანანერი გამოაქვეყნა, როგორ აიძულებდნენ მას გენერალურ ინსპექციაში დირექტორობიდან წასვლას. არ მახსოვს.

ამ სკოლაში თქვენი პირადი ბრძანებაც მივიდა მიმინოშვილის გადაყენებაზე. მას შემდეგ, რაც სამეურვეო საბჭომ არ გადააყენა დირექტორი, თქვენ ორივე დაითხოვეთ. ეს მაგალითი არ ნიშნავს იმას, რომ სამეურვეო საბჭოები რეალურად ვერ მართავენ სკოლას?

მე ვარ პასუხისმგებელი განათლების სისტემაში კანონის იმპლემენტაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არის ავტონომიური ორგანო, მინისტრის მოვალეობაა, კანონიერება უზრუნველყოს.

სამეურვეო საბჭოც ხომ კანონის მიხედვით მოქმედებდა?

როდესაც სახელმწიფო 329 მილიონს ხარჯავს სკოლების ვაუჩერულ დაფინანსებაზე, ამ თანხაზე პასუხისმგებელი მინისტრია. მას ექვემდებარება

მივცემ უფლებას, რომ ბავშვების კუთვნილი ფული მიითვისოს. თუ ვინმე არ იზიარებს ინსპექციის დასკვნას, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს.

მინისტრად თქვენი მოსვლის შემდეგ, მასწავლებლები, დირექტორები, მშობლები და ხშირად მოსწავლეებიც განათლების სისტემას ლიად აღარ აკრიტიკებენ. მათ სამსახურის დაკარგვის ან სხვა ტიპის ანგარიშსწორების ეშინიათ.

თქვენ გჯერათ იმის, რასაც ახლა

არსებობს ადამიანი, რომელმაც შეიძლება დააშინოს მილიონი მშობელი, 70 000 მასწავლებელი და 2200 დირექტორი? ვინმეს სჯერა ამის?

თუნდაც ერთი რომ იყოს ასეთი დაშინებული ადამიანი, ეს პრობლემად არ მიგაჩნიათ?

ჩემთვის გულდასაწყვეტია, ერთი მხრივ ის, რომ ამაზე დროის დაკარგვა და საუბარი მინევს, თუმცა მეორე მხრივ, სასიხარულოა, რადგან, სხვა არანაირი



ფოტო: ლევან ხარაიშვილი

გენერალური ინსპექცია. თუ არსებობს კონკრეტული შემთხვევა, ინსპექცია იკვლევს ამ პრობლემას. თუ არის სისხლის სამართლის ხასიათის დარღვევა, მაშინ იგზავნება გენერალურ პროკურატურაში. ეს არის ჩვენი ვალი.

ბევრი ინტერპრეტაცია მოჰყვა ჩემს სიტყვებს, მაგრამ კომპლექსები არ მანუხებს წინა სამინისტროში [პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამინისტრო-ავტ.] მუშაობის გამო. არცერთ დირექტორს არ

მეკითხებით? **ამ ყველაფერს საკუთარი გამოცდილებიდან გიყვებით – მათ, პირველ რიგში, უურნალისტებთან საუბრის ეშინიათ. მე, პირადად, რამდენიმე ათეულ ასეთ ადამიანს შევხვედრივარ ბოლო ერთი წლის განმავლობაში.**

სკოლაში მუშაობს 70 000 მასწავლებელი, დაახლოებით, 18 000 ადმინისტრაციული მუშაკი, სწავლობს 600 000 მოსწავლე. თქვენ მართლა გჯერათ, რომ

მხოლოდ იმიტომ, რომ მე მინისტრი ვარ, იმიჯისა და პიარისთვის ხომ არ მივიყვანდი ბავშვებს საჯარო სკოლაში?

საზოგადოება

პრეტენზია არ არსებობს განათლების სამინისტროს რეფორმების მიმართ და ახლა თქვენ მელაპარაკებით იმაზე, მქონ-და თუ არა უფლება გამეთავისუფლებინა მე-14 სკოლის დირექტორი.

ჩემი კითხვა სკოლებში არსებულ შიშს შეეხებოდა.

რაც შეეხება შიშს, ამის ბრწყინვალე მაგალითია სამეგრელოში ინგლისუ-რენოვან მასწავლებელთან დაკავში-რებული ამბავი. იქ ვილაც გაუგებარი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ სკოლაში არის მონსტრი, ინგლისიდან ჩამოსუ-ლი, რომელიც არის ჰომოსექსუალი. ამ დროს ზუგდიდის მოსახლეობას არანაი-რი შიში არა აქვს, რადგან იქ არანაირი პრობლემა არ არის.

ეს სხვა ტიპის მაგალითია და იმას არ გულისხმობს, რაც მე გკითხეთ.

ეს ერთი და იგივეა. გვეუბნებიან, რომ ხალხს ეშინია, რომ გამოთქვას თავისი პროტესტი, ვის ეშინია? მშო-ბელს? თქვენ მშობელს ეუბნებით, რომ თქვენს სკოლაში არის მონსტრი, პედოფილი, ჰომოსექსუალი, რა აღარ მოიფიქრეს. კიდევ ერთი მაგალითი, გაზეთიდან ამონარიდი – თითქოს სკოლაში ბავშვს მანდატურმა არ მისცა ინსულინის გაკეთების უფლება და ბავში ჩავარდა კომაში. მაჩვენეთ ეს სკოლა, მომეცით კონკრეტული მაგალითი.

მე სხვა პრობლემაზე ვლაპარაკობ, მაგალითად: 161-ე სკოლის მოსწავლეების თქმით, იმის გამო, რომ მათი თანასკოლე-ლები წავიდნენ საპროტესტო აქციაზე, ზოგთან სკოლაში,ზოგთან კი – სახლში მივიდნენ პოლიციელები, გამოჰკითხეს მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?

ეს თემაც გაცვეთილია. მე გთხოვთ, მითხარით კონკრეტულად ამ ბავშვების სახელები, მე თვითონ დაველაპარაკები მათ და ამის შემდეგ ვისაუბროთ.

როგორც უკვე გითხარით, ბავშვებსაც და მათ მშობლებსაც საკუთარი ვინაობის დასახელების ეშინიათ.

ტყუილია, როცა ამბობენ, რომ შაშკინმა დააშინა მშობლები და ბავშვებიო. მე ხომ „სისხლს ვსვამ“, „ბავშვებს ვჭამ“. კიდევ რას ვშვები? ამაზეც გეტყვით: ეს ცნობილი ფრაზა კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო. ჩვენი კანონმდებლობით პოლიტი-კოსი ვერ უჩივლებს ჟურნალისტს ტყუილისთვის, ეს არის დემოკრატიის ფასი. ყველა პოლიტიკოსი ამისთვის მზად უნდა იყოს, მაგრამ განგიმარტა-ვთ: ერთ-ერთი შეხვედრისას დირე-ქტორებს ვუთხარი, რომ ზაფხულში თქვენ ჩემი „სისხლი დალიეთ“, როცა სპორტული დარბაზებისთვის თანხების სწრაფად გადმორიცხვას ითხოვდით და ახლა, როცა ფულს მოგცემთ, მე „დავლევ თქვენს სისხლს“ -მეთქი.

შეიძლება, ეს თქვენითვის სიურპრიზი იყოს, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მხოლოდ ასეთი ფრაზების გამო მაკრიტიკებენ.

თუ შეიძლება, პოლიციის ამბავს დაფუ-ბრუნდეთ, როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ პოლიციელმა ბავშვები დაკითხოს იმის გამო, რომ მათ აქციაში მონაწილე-ობა მიიღეს?

თუ ასეთი კონკრეტული შემთხვევა იქნება, მითხარით და მერე შევაფასებ. ადამიანის თავისუფლება ჩემი იდეო-ლოგიაა. სისტემა დიდა და უამრავი შეთქმულების თეორია ვრცელდება.

ბატონო დიმიტრი, იცით თუ არა იმის შე-სახებ, რომ მანდატურებს მასწავლებლე-ბისა და მოსწავლეების დიდი ნაწილი აღიქვამს სკოლაში სამინისტროს მიერ დანიშნულ მაკონტროლებელ ძალად?
მსოფლიო ბანკის კვლევამ აჩვენა რომ, მოსახლეობის 83 % სკოლე-ბში მანდატურების შეყვანას მხარს უჭერს. მათ, ვინც ახლა გვაკრიტიკე-ბს, ავინყდებათ, რომ შარშან, სექტემ-ბერ-ოქტომბერში, როცა ჩემი მეგო-ბარი ნიკა გვარამია ამ სამინისტროს ხელმძღვანელობდა, ყველაზე ბევრს საუბრობდნენ სკოლაში არსებულ ძალადობაზე.დეკემბერში რომ დავი-ნიშნე, მახსოვს, ერთ-ერთი მშობელი ამბობდა: ჩემს პირველკლასელ შვილს

მეთორმეტეკლასელი საქმელს ართმე-ვს სასადილოშიო. მაშინდელ სკოლაში მასწავლებლებს აყენებდნენ შეურა-ცხყოფას და პირიქით. მანდატურების შეყვანის შემდეგ, ძალაღობა 80 პრო-ცენტზე მეტად შემცირდა. ჩვენ გვა-ქვს ფაქტები, როდესაც მანდატურის მიერ დაფიქსირებულ დარღვევის გამო დირექტორმა ზოგი მოსწავლე სკო-ლიდან გარიცხა,ზოგ მასწავლებელს კი კონტრაქტი შეუწყვიტა. თუმცა მე არასდროს მითქვამს, რომ მანდატური ყველა პრობლემას მოაგვარებს.

მანდატური ახალი ინსტიტუციაა, რომელიც სკოლაში შევიდა, როგორც უცხო სხეული. შეგუებას დრო სჭირ-დება.

როგორ ფიქრობთ, რატომ აღიქვამენ ზოგიერთ სკოლაში მანდატურს ნეგა-ტიურად?

ასეთი განწყობა ადამიანთა მხოლოდ იმ წრეშია, რომელსაც სამინისტროს პოლიტიკასთან აქვს პრობლემები. როდესაც ტელევიზორში ვისმენ, რომ მანდატურმა ჩაიდინა ამაზრზენი რამ, ვითხოვ, რომ მოგვცენ ეს ფაქტი და რეაგირება ძალიან მკაცრი იქნება. მან-დატურები განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან, თორემ ცოლებად კი არ გვყავს მოყვანილი. რამდენი-მე მანდატური მხოლოდ იმის გამო გათავისუფლდა სამსახურიდან, რომ ნაბახუსევი მივიდა სკოლაში. დალევა გინდა? შაბათს დალიე.

ბატონო დიმიტრი, მალე სკოლაში შე-მოვა ახალი სახელმძღვანელო რუსული ოკუპაციის შესახებ. ასევე, ბოლო დროს გახშირდა კონკურსები ისეთ თემებზე, როგორიცაა: სამხედრო პატრიოტიზ-მი, პოლიციის სიყვარული, რუსეთის აგრესია. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ამ საკითხების ზაზგასმა სკოლის მოსწავ-ლეებისთვის საჭიროა?

პატრიოტიზმი არ ისწავლება ერთი სახელმძღვანელოთი და მოდის სისხლით და ხორცით. პატრიოტიზმი თუ არ არის ადამიანში, მას ვერცერ-თი საგანი ვერ ასწავლის. ჩვენ გვაქვს უფლება და ვალდებულება, რომ ეს

ინფორმაცია მივცეთ ბავშვებს.

ორი წელი გავიდა რუსეთის აგრე-სიიდან, რომელიც ისევ გრძელდება. თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ახლა ჩუმად უნდა ვიყოთ და ამაზე არ ვილაპარაკოთ? შამგონის სკოლიდან 200 მეტრში დგას რუსული საოკუპა-ციო ჯარი და მიმართულ ავტომატებს ბავშვები საკუთარი თვალით ხედავენ. უნდა დავხუჭოთ თვალები და ვთქვათ „ვაიმე, როგორ გვიყვარს რუსეთი?“ ჩვენი ვალი ხომ არის, რომ მათემატიკა ვასწავლოთ ბავშვებს, ქართული ენა ვასწავლოთ, ასეთივე ვალია, მოსწა-ვლეებს მივანოდოთ ინფორმაცია ამ აგრესიის შესახებ.

სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი, ახალი წესების გათვალისწი-ნებით, უკვე გამოცხადდა. გამომცემლე-ბი კი ამბობენ, რომ ცვლილებების და ახალი წესების შემუშავების პროცესში ჩართულები არ არიან. რატომ არ ჩარ-თეთ ისინი ამ პროცესში?

რა პროცესში უნდა ჩაერთონ? გა-მომცემელს არ აქვს უფლება, სახელ-მნიფოს უკარნახოს, როგორ ვასწა-ვლოთ ბავშვებს. ეს სახელმწიფოს კომპეტენციაა. გამომცემლებს აქვთ უფლება, მოამზადონ სახელმძღვანე-ლოები.

სახელმწიფოს მიერ სახელმძღვანელოე-ბის თანამესაკუთრეობასა და თანაავტო-რობაში რა იგულისხმება და რატომ არის საჭირო მისი ჩართვა წიგნების ბიზნესში?

სახელმწიფომ თავისუფალი ბაზრის-თვის სათანადო გარემო უნდა შექმნას. მე – სახელმწიფო – თუ სახელმძღ-ვანელოს მესაკუთრე ვარ, მოგება არ მაინტერესებს. მასში ფულს ვდებ და ვამბობ, ვისაც გინდათ, დაბეჭდეთ, ოღონდ თანაავტორს ამის მოგების 25 პროცენტი უნდა გადაუხადოთ.

აქამდე გამომცემლებს ვეხვეწებოდი, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ სამასპროცენტიანი მოგებით და სახელ-მძღვანელოს ფასი რეაას პროცენტამდე აღარ გაეზარდათ. ახალი წესით, თქვენ ვერ გაყიდით 5 ლარიან სახელმძღვანე-ლოს 30 ლარად.

გამომცემლობები ამბობენ, რომ, სამწუ-ხაროდ, თქვენს მიერ დასახელებული რი-ცხვები არარეალურია და ამდენი მოგება არ აქვთ.

სტამბაში ერთი წიგნი 2,5 დოლარი ჯდება, ასეთ წიგნებს ზოგი 32 ლარად ყიდის. ზოგმა კეთილსინდისიერმა გამომცემელმა პირობა შეასრულა და თანხა არ გაზარდა.

როდესაც სკოლას ვეუბნებოდით, რომ არჩეული სახელმძღვანელო მხოლოდ ერთი გამომცემლობიდან უნდა ყციდა, იქ საბაზრო ეკონომიკა მთავრდებოდა. გამომცემლობასა და სკოლას შორის იყო კორუფციული გარიგების შემთხვევებიც.

■ **მანდატურები განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან, თორემ ცოლებად კი არ გვყავს მოყვანილი. რამდენიმე მანდატური მხოლოდ იმის გამო გათავისუფლდა სამსახურიდან, რომ ნაბახუსევი მივიდა სკოლაში.**

რატომ არ გამოავლინეთ და აქამდე რატომ არ საუბრობდით კორუფციული გარიგების ასეთ შემთხვევებზე სკოლასა და გამომცემლობებს შორის?

თქვენ ხედავთ აისბერგის ერთ ნაწილს და ვერ ხედავთ მთლიანად აისბერგს, სამინისტრო ასრულებს რუტინულ სამუშაოს და თითოეულ ასეთ ფაქტზე პრესკონფერენციის ჩატარება სწორი არ არის.

დირექტორებთან ცნობილი შეხვედრის დროს, მართლაც მოვისმინეთ თქვენი მუქარა კერძო სკოლების მისამართით. რატომ ფიქრობს სახელმწიფო, რომ მას აქვს უფლება, ჩაერიოს კერძო სკოლების საქმიანობაში?

თუ სახელმწიფო გაძლევთ ავტორიზა-ციას, მისი ვალია, იყოს დარწმუნებული

საზოგადოება

და საზოგადოებას ანგარიში ჩააბაროს, როგორ მუშაობს სკოლა. იმ ლოგიკით, რომ „სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს“, ელიავაზე „ბუტკებში“ დღესაც იარსებე-ბდა უნივერსიტეტები. თუ ვინმეს აქვს პრეტენზია და ხსნის სკოლას, უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნას.

ბატონო დიმიტრი, თქვენ ამდენს მსჯე-ლობთ, იბრძვით, ემოციურად ამტკიცე-ბთ, რომ საჯარო სკოლები სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდება. ამავე დროს, შვილები კერძო სკოლაში დაგყავთ. ანუ ისეთ სკოლაში სადაც არც მანდატურები არიან, არც სამხედრო და პატრიოტულ თემებზე წერენ თავისუფალ თემებს, სადაც განათლების სამინისტროს მინი-მალურად ექვემდებარებიან და ნაკლებად არიან თქვენს მიერ განხორციელებული რეფორმების გავლენის ქვეშ. რატომ?

მე 11 წელი ვმუშაობდი ამერიკულ ორგანიზაციაში, დროის დიდ ნაწილს ვატარებდი ევროპის ქვეყნებსა და ამერი-კის შეერთებულ შტატებში. მე შემიძლია ვთქვა, რომ ვარ ადამიანი, რომელსაც, გარკვეულწილად, მატერიალური პრო-ბლემები მოგვარებული მაქვს.

5 წლის წინ, როდესაც მე და ჩემი მეუღლე ვფიქრობდით, რომელ სკო-ლაში უნდა შეგვეყვანა ჩვენი უფროსი შვილი, გადავწყვიტეთ, რომ ეს ფრანგუ-ლი სკოლა უნდა ყოფილიყო. შეიძლება იმის გამო, რომ მე ფრანგული არ ვიცი და სუბიექტურად მინდოდა, ჩემს შვილს ფრანგული სცოდნოდა. იმის გამო, რომ მე მინისტრი გავხდი, არ მინდა მას ცხო-ვრება შევუცვალო.

წელს სკოლაში ჩემი უმცროსი შვილიც წავიდა. მხოლოდ იმიტომ, რომ მე მინისტრი ვარ, ბავშვები რატომ უნდა გაეყო? იმიჯისა და პიარისთვის ხომ არ მივიყვანდი საჯარო სკოლაში? ბავშვებს საერთო არაფერი აქვთ იმასთან, თუ რას აკეთებს მამა და რატომ უნდა შევუცვალო ცხოვრება. ამერიკულ კომპანიაში მუშაობამ მომცა იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ ინვესტიცია ჩემი შვილების განათლებაში ჩამედო.

ესაუბრა რუსუდან ფანოზიშვილი.

ასათიანის ქჩჩა N10

მარია ქოჩიაშვილი



ფოტოპროექტი მარია ქოჩიაშვილი



■ მიხეილ ასათიანის სახელობის ინსტიტუტის ფსიქიატრიული კლინიკა გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენდა. კლინიკა მაშინდელი სტანდარტებით კარგად გამართული იყო, თუმცა თითქმის ნახევარი საუკუნეა, აქ ბევრი არაფერი შეცვლილა – ინვენტარიც კი. დღეს აქ ფსიქიკური აშლილობის მქონე 242 ადამიანს მკურნალობენ. მათ უმეტესობას აშლილობის მწვავე ფორმა აქვს, დანარჩენები „ქრონიკების“ განყოფილებაში უკვე წლებია, ცხოვრობენ.



■ 2011 წლის ბოლომდე, ქალაქის ყველაზე ცნობილი ფსიქიატრიული კლინიკა დაიხურება და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს ძირეული რეფორმა დაიწყება. თბილისის სამ საავადმყოფოში გამწვავებული მდგომარეობის მქონე პაციენტებისთვის 30-ადგილიანი განყოფილებები გაიხსნება. ქავთარაძეზე მდებარე კლინიკაში კი, ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის ინსტიტუტს გადაიტანენ. ოთხ რეგიონში თავშესაფრები მოეწყობა. აქ ის ადამიანები იცხოვრებენ, ვისაც საცხოვრებელი არ აქვს, მაგრამ დამოუკიდებლად ცხოვრება შეუძლია.



■ „ინტეგრირებული ფსიქიატრიული განყოფილებები ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი, ჩვენს ქვეყანაში. ასათიანის კლინიკას უკვე აქვს კლიმე. იქიდან რომ გამოეწერები, გრჩება იარლიყი – „ასათიანზე ნაწილი“. მაგალითად, იმავე ლუდუშაურის კლინიკაში რომ იყოს ფსიქიატრიული განყოფილება, მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ ვედარაფერს მოგაკერებენ,“ – ამბობს საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის თავმჯდომარე, ფსიქიატრი მანანა შარაშიძე.

■ დასავლური სტანდარტის მიხედვით, საჭიროა, ქრონიკული პაციენტებისთვის ე.წ. ხანგრძლივი მოვლის სამსახურები შეიქმნას და დაინერგოს შინ მოვლის პრაქტიკაც, რომლის დროსაც ექთანი და სოციალური მუშაკი პაციენტზე სახლში იზრუნებს. ასეთი პაციენტები ყოველდღე ე.წ. დღის ცენტრში დადიან, სადაც მათ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში ეხმარებიან და ფსიქო-სოციალურ ჩვევებში ავარჯიშებენ: ასწავლიან დაბანას, ფულის განაწილებას, საკვების მომზადებას და იმასაც კი, თუ როგორ ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებელში.




■ დღეს ასათიანის კლინიკაში პაციენტებს მხოლოდ მედიკამენტებით მკურნალობენ და მათი სოციალური ჩვევების აღდგენასა და განვითარებაზე არ ზრუნავენ. დასავლური ტიპის დღის ცენტრების განვითარება რეფორმის პირველად გეგმაში არ დევს. არ გაუთვალისწინებიათ არც საავადმყოფოს გარეთ მომუშავე ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების გადამზადება. ამ და სხვა მიზეზების გამო, ექსპერტები ასკვნიან, რომ მნიშვნელოვანი რეფორმა ნაჩქარევად იგეგმება. „ჩქარა უნდათ ძალიან კარგი რაღაცის გაკეთება. არასწორად დაგეგმვის საფრთხე კი ისაა, რომ ბოლოს ისევ ერთი დიდი „ასათიანი“ არ მივიღოთ“, – შიშობენ ექსპერტები.



■ შეიცვლება ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების დაფინანსების სისტემა. რეფორმის შედეგად, პაციენტები სახელმწიფო ვაუჩერს მიიღებენ. შესაბამისად, მათ ახლოებელ-ნათესავებს უფლება ექნებათ თავად აირჩიონ სასურველი კლინიკა. სრულ დაფინანსებას მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პაციენტები მიიღებენ, შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს ნაწილობრივ დააფინანსებენ, დანარჩენებს მკურნალობის ხარჯების დაფარვა თავად მოუწევთ.



■ საერთაშორისო სტანდარტით, ფსიქიატრიაზე ჯანდაცვის ბიუჯეტის ერთ-პროცენტზე ნაკლები არ უნდა იხარჯებოდეს. ჩვენთან წლიური 350 მილიონიანი ბიუჯეტიდან ფსიქიატრია და ნარკოლოგია თითქმის სამი პროცენტი ხმარდება. თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს თანხა ძირეული რეფორმის გატარებისთვის მაინც მიზერულია.



■ რეფორმის შემდეგ ადარ იარსებებს მაღალი მესერი, რომლის მიღმაც სახელმწიფო ფსიქიკურად აშლილ პაციენტებს გადამალავს. ეს ადამიანები საზოგადოების ნაწილი გახდებიან. როგორ მიიღებენ რიგითი მოქალაქეები ჰუმანურობის ეგიდით დაგეგმილ ამ რეფორმას, ამ კითხვას ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერავინ უძებნის. ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა უფლებათა დამცველებიც მხრებს იჩიჩავენ.

სიმახთოც _ ნაბისმიუხ ფასად

ინტერვიუ Sunday Times-ის ომის რეპორტიორთან,
მარი კოლვინთან

ჩვენი, ჟურნალისტების მისიაა, ძალაუფლების მქონე ადამიანებს ვუთხრათ სიმართლე ომის თანმდევი საშინელებების შესახებ.

ერაყის ომის გაშუქებას ჟურნალისტების ისტორიაში ყველაზე სახიფათო დავალებას უწოდებენ. შეიძლება ომს 230 ჟურნალისტის სიცოცხლე შეენირა. ერაყის ომი ერთ-ერთია იმ შეიარაღებულ კონფლიქტებიდან, რომელიც ბრიტანელი ჟურნალისტი, Sunday Times-ის ომის რეპორტიორი მარი კოლვინი თვეების განმავლობაში აშუქებდა. შრი ლანკაში, სამოქალაქო ომის გაშუქებისას კოლვინი დაიჭრა, მან ცალი თვალი დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ დაუცველობის გრძნობა დღემდე არ ტოვებს, 44 წლის ჟურნალისტი ომების გაშუქებას განაგრძობს.



ფოტო: მარია სოფიანაძე

ომის ჟურნალისტიკა ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო პროფესიად იქცა, რომელსაც ყოველ წელს ასობით ჟურნალისტის სიცოცხლე ეწირება. რას ნიშნავს 21-ე საუკუნეში ომის რეპორტიორობა?

ჩემი პროფესიული ცხოვრება თითქმის სრულად დავუთმე ომების გაშუქებას. რატომ უნდა გავაშუქოთ ომი? – იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს უფლება – იცოდეს, რას აკეთებს მისი მთავრობა, შეიარაღებული ძალები. ჩვენი, ჟურნალისტების მისიაა, ძალაუფლების მქონე ადამიანებს ვუთხრათ სიმართლე ომის თანმდევი საშინელებების შესახებ. ჩვენ მათ სახლში ვუგზავნი ისტორიის პირველ ესკიზებს. ომის გაშუქება სიმართლის ძიებაა – სამხედროების, პარამილიტარული დაჯგუფებების და ტერორისტების შეტაკებების, და სამთავრობო პროპაგანდის ფონზე. ჩვენი მისია კომპარის ობიექტურად და ცრურწმენების გარეშე გაშუქებაა. ამ ქაოსით და სიკვდილით მოცულ ადგილებში ჟურნალისტი ყველაფერს

მონმე თავად ხდება. მე შემეძლო, მშვიდად მეცხოვრა პარიზში და ბოკალი ღვინით ხელში, მაგალითად, ლიტერატურაზე მესაუბრა, მაგრამ არჩევანი ომის ჟურნალისტის სასარგებლოდ გავაკეთე. ამ საქმისადმი ახლაც თავდადებული ვარ, ეს გრძნობა არ გამნელებია.

20 წელია, ომის გაშუქებით ხართ დაკავებული. ამ პერიოდის მანძილზე როგორ შეიცვალა თავად ომი და კონფლიქტების გაშუქება?

ადრე ჟურნალისტებს კონფლიქტების გაშუქების მეტი თავისუფლება გვექონდა. ომის დროს ორივე მხარესთან ურთიერთობა იყო შესაძლებელი, მუშაობისთვის უკეთესი გარემო იყო. მთავარია, ობიექტური და ზუსტი ყოფილიყავი – ეს

■ **ახალგაზრდა როცა ხარ, გგონია, რომ უკვდავი ხარ, მაგრამ როცა ხედავ, თუ რას უკეთებს ტყვია და ნაღმი ადამიანებს, ხვდები, რომ ყველაფერი სხვაგვარადაა. დროთა განმავლობაში სწავლობ, როგორ იმოქმედო, როცა გეშინია.**

დაცულობის გარანტია ხდებოდა. დღეს სხვა სიტუაციაა – ჟურნალისტები სამიზნეებად იქცნენ. იმისთვის, რომ ამბავი შექმნა, პირველ რიგში, ცოცხალი უნდა იყო. ავღანეთში სულ იმაზე უნდა იფიქრო, არ გაგიტაცონ,

ან მანქანა არ დაგინაღმონ, ან შენი სასტუმრო აფეთქებუბის სამიზნე არ გახდეს. თვალში ზედმეტად არავის უნდა მოხვდე, თან კი ინფორმაცია უნდა შეაგროვო. თანაც, ბალანსი არსად ისე საჭირო არ არის, როგორც ომის გაშუქებისას. ომის ჟურნალისტობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დიდი რისკის შემცველი საქმეა.

მე ცალი თვალი შრი ლანკის ომის გაშუქებისას დაგვკარგე. ტამილის რეგიონის იმ მონაკვეთზე გადავედი, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო და ჰუმანიტარული კატასტროფის მომსწრე გავხდი. უკან გადმოსვლისას ჯარისკაცმა ყუმბარა მესროლა. მერწმუნეთ, მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რასაც აკეთებდა.

მას შემდეგ დაუცველობის შეგრძნება არ მტოვებს. გონებიდან რთულად იშლება ძალადობა და მისი შედეგი – გარდაცვლილების სახეები, მათი გვამები. სტრესი სულ თან მდევს – ახლახან ავღანეთში ფოტოგრაფ ჟუაო სილვასთან ომის ჟურნალისტიკაზე, დაუცველობის შეგრძნებაზე, ტერორზე ვსაუბრობდი. ჩვენი შეხვედრიდან ორ დღეში ჟუაუ ნაღმზე აფეთქდა და ფეხის ორივე კიდური დაკარგა. ომის რეპორტიორობა არასოდეს ყოფილა ასეთი სახიფათო.

რამ გამოიწვია მოულოდნელად ჟურნალისტების სამიზნედ ქცევა?

ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მაგალითად, თუ შენ ჟურნალისტს იტაცებ, უმალ ახალი ამბების ეპიცენტრში ხვდები, რაც გამტაცებლებისთვის მომგებიანი სცენარია. ჩვენ ისლამურ ექსტრემისტულ საზოგადოებაში დასავლეთის ერთგვარ დამატებად აღვიქმებით. არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად, დასავლეთის რომელი ქვეყნიდან ხარ: ეს მათში ავტომატურად გალიზიანებას და აგრესიას იწვევს. ჟურნალისტების გატაცება და მკვლელობა იმ სამყაროში ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა. ისინი მიიჩნევენ, რომ ღმერთი მათ მხარესაა, ჩვენ

კი მათი ცივილიზაციისა და ღმერთის წინააღმდეგნი ვართ.

ამ პირობებში მედია ორგანიზაციები სულ უფრო ნაკლებს ხარჯავენ ომის რეპორტიორებზე და ზოგადად უცხოეთის კორესპოდენტებზე. ეს რამდენად გამართლებულია?

ამასთან დაკავშირებით მართლაც დიდი დებატებია. ერთ მხარეს დგანან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ნიუსი უფასო უნდა იყოს. მაგრამ თუნდაც ინტერნეტ-ბლოგერებმა ინფორმაცია საიდანმე უნდა მიიღონ. მოვლენათა ეპიცენტრში სანდო ინფორმატიორის ყოლა აუცილებელია. მაგალითად, ავღანეთში სიცრუე მეფობს: ტყუის ყველა – მთავრობაც და სამხედროებიც. იმისთვის, რომ რეალური სურათი შექმნა და სიმართლე გაიგო ადგილზე უნდა ჩახვიდე და, ოფიციალური წყაროების გარდა, სხვებსაც მოუსმინო.

ოდესმე თუ გიფიქრიათ, ღირს კი ამბისთვის სიცოცხლის საფრთხეში ჩადება?

ამაზე ყველაზე სერიოზულად შრი ლანკაში დაშავების შემდეგ, საავადმყოფოში დავფიქრდი. ერთ-ერთმა გაზეთმა ასეთი სტატიაც კი დაბეჭდა: „რამდენად შორს წავიდა ამჯერად მარი კოლვინი?“ მაშინაც ამ დასკვნამდე მივედი, და ახლაც ვამბობ, – ეს ამაღ ღირდა. მნიშვნელოვანია, რომ ახალი ამბების ორგანიზაციებმა კვლავაც დააფინანსოს ჟურნალისტების ომებში გაგზავნა.

დღეს ბევრი საუბრობს ერაყში შეჭრის აბსურდულობაზე და იმ გაუმართლებელ ზარალზე, რომელიც აშშ-ს 7 წლიანი ომის განმავლობაში მიაღდა. თქვენი გადმოსახედიდან რამდენად გამართლებული იყო ეს ომი?

ვერ გეტყვით, უნდა შეჭრილიყო თუ არა აშშ ერაყში, ერთი რამ კი ზუსტად ვიცი: სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა დადებითი მოვლენა იყო. თუმცა ამის შემდეგ ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკამ ქვეყანა სრულ სასონარკვეთილებამდე მიიყვანა. ერაყი ჩემთვის არ ყოფილა უბრალოდ

ადგილი, სადაც ამერიკული ჯარები შეიჭრნენ. მე წლებია, ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ვაშუქებ. ერაყელ ხალხს ძალიან კარგად ვიცნობ. იქ არ არსებობს ადამიანი, რომლის ოჯახის წევრი ნანამები ან მოკლული არ იყოს. ჩემი სტატიების გამო სადამ ჰუსეინის შავ სიაში მოხვდები, რადგან მის შვილს „ფსიქოპატი მოძალადე“ ვუწოდებ.

პიროვნულად თუ შეგცვალათ ომის გაშუქებამ?

დროთა განმავლობაში, მეტ ინფორმაციას ფლობ და უფრო ფრთხილი ხდები. ახალგაზრდა როცა ხარ, გგონია, რომ უკვდავი ხარ, მაგრამ როცა ხედავ, თუ რას უკეთებს ტყვია და ნაღმი ადამიანებს, ხვდები, რომ ყველაფერი სხვაგვარადაა. დროთა განმავლობაში არ ხდები უშიშარი, უბრალოდ, სწავლობ, როგორ იმოქმედო, როცა გეშინია.

რას ნიშნავს ომის ჟურნალისტიკისთვის ის, რომ ქალი ხართ? თქვენ უბრალოდ მამაკაცების საქმეს აკეთებთ, თუ თქვენს სქესს ამ შემთხვევაში რაიმე უპირატესობა აქვს?

ფიქრობ, ამბის მოპოვების კუთხით, მე ისეთივე სამუშაოს ვაკეთებ, როგორც ნებისმიერი მამაკაცი რეპორტიორი. ძირითადი განსხვავება, ალბათ, გულისხმობს მიერებაა, რომელიც ქალბატონ ჟურნალისტებს უფრო ახასიათებთ. ახლახან ერთი მამაკაცი კოლეგა კოსოვოს სოფელში ჟურნალისტების ჩასვლას იხსენებდა. ის ამბობდა, რომ აღფრთოვანებული იყო იმით, თუ როგორ გავხდი ერთადერთი ჟურნალისტი, რომელსაც მთავარი გმირი მთელი ორი საათის განმავლობაში გულახდილად ესაუბრა, შემდეგ ატირდა და ბავშვების საფლავებზეც კი წაიყვანა. ამ ადამიანმა ჩემი თანაგრძნობა დაინახა და ამიტომაც გაიხსნა. მე მას, პირველ რიგში, თანავუგრძნობდი, როგორც ადამიანს და არ ვუყურებდი მხოლოდ როგორც ამბის წყაროს. თუმცა ბუნებრივია, ამ ემოციებს მართვა სჭირდება. ომის დროს ყველაფერზე ტირილი და ამბების გულთან მიტანა უბრალოდ შეუძლებელს გახდის ჟურნალისტის მუშაობას. 📍

ვინ ნყვებს, ვინ ვაჩო ჩვენ?



ქართველებს სურთ გაიგონ, მოცემული პიროვნება ეთნიკური გამყოფი ხაზის რომელ მხარეს იმყოფება და ამის გასარკვევად ბევრ კითხვას სვამენ.

მარკ მალენი

სულ მათგან, რამდენად მნიშვნელოვანი და ცხადია ზოგი ქართველისთვის, რომ ის ქართველია. ამერიკა დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც სხვა ქვეყნებისგან მოშორებით მდებარეობს და, უმეტესად, იმიგრირებული ადამიანებითაა დასახლებული. ამერიკელები ამასობაზე თავიანთი ამერიკელობით, მაგრამ ეს სხვა ტიპის, უმანკო სიამაყეა, დაახლოებით ისეთი, ვიღაც რომ სასკოლო ღონისძიებაში, კლასის სახელით გამოსვლისას ამაცობს. საქართველო პატარა და ძირძველი ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო იმპერიებს შორის მდებარეობს. ქართველები საკუთარი თავით ძალიან ამაცობენ, და ზოგ შემთხვევაში, გამორჩეულადაც, რაც გასაგები მიზეზებიდან გამომდინარეობს.

ყველაზე მეტად მათგან, რომ ქართველების უმრავლესობისთვის ქართველობა „ან-ან“ ლოგიკით განისაზღვრება – ან ქართველი ხარ, ან – არა. ყველაფერი გარკვეულია. ამერიკელებისთვის ამგვარი მიდგომა ცოტა უცნაურია, რადგან ისინი იმიგრანტებს ყოველწლიურად მილიონობით პასპორტს ურიგებენ. ამიტომ, ამერიკელობა, პირველ რიგში, ნიშნავს, გქონდეს ამერიკის შეერთებული შტატების პასპორტი. ამ სახის სამოქალაქო ნაციონალური იდენტობის უპირატესობა ის არის, რომ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია, გვქონდეს რამდენიმე იდენტობა. მე შემძლია, ვალიარო ნებისმიერი რელიგია, რომელიც მინდა და ჩემი წინაპრები ნე-



ბისმიერი ქვეყნიდან შეიძლება იყვნენ. მე, შეიძლება, თავს გარკვეულწილად ვგრძნობდე ირლანდიელად და, ამავე დროს, ვიყო 100 %-ით ამერიკელი. ასეთი დეტალები სერიოზულად არავის ანალვლებს.

ბევრი ქართველი კი, ნაციონალიზმის და იდენტობის ეთნიკური გაგებიდან გამომდინარე, მკვეთრი გამყოფი ხაზების არსებობას ითხოვს. ხშირად ქართველებს სურთ გაიგონ, მოცემული პიროვნება ამ ეთნიკური გამყოფი

ტყობდი, მათში ნამდვილი ქართველები დანახვას ცდილობდნენ.

ამერიკელი მეგობარი, რომელსაც ქართველი მეუღლე ჰყავს და ქართული ენაც საკმაოდ კარგად იცის, ჯდება ტაქსიში და მძღოლს ქართულად ეუბნება მიმართულებას. შედეგად, გრძელი დაკითხვის მსხვერპლი ხდება. ტაქსის მძღოლის შეკითხვაზე ქალი პასუხობს, რომ ქართველი ქმარი ჰყავს. მძღოლი ქმრის გვარს ეკითხება. ქალი ეუბნება გვარს, რო-

ლიღაც ქვეყნიდან – საქართველოდან იყვნენ, მაგრამ თავად წარმოდგენა არ აქვს, სად არის საქართველო და ამის გაგების დიდი ინტერესიც არ აქვს. ჩაითვლება ჯეკი ქართველად?

ან, თუ შენი წინაპრები არიან თბილისიდან, ერთი მშობელი თავს ქართველად თვლის, მეორე – სომეხად. შენ საუბრობ ქართულად და სომეხურად, და თან ხარ ათეისტი, რად ჩაითვლები?

და თუ შენ ქართულად საუბრობ,

■ წარმოვიდგინოთ – ხონში (ან ვერაზე!) მცხოვრებ წვეილს არ ჰყავს შვილი და ბავშვს აფრიკის რომელიმე ომით გაჩანაგებული ქვეყნიდან იშვილებს. ეს ბავშვი მოინათლება მართლმადიდებელ ეკლესიაში, დაამთავრებს, ვთქვათ, 53-ე სკოლას და საუბრობს ბრწყინვალე ქართულით. შეიძლება, ის ქართველად ჩაითვალოს?

ხაზის რომელ მხარეს იმყოფება და ამის გასარკვევად მას ბევრ კითხვას უსვამენ. ამერიკას და საქართველოს ძალიან განსხვავებული ისტორია აქვთ. სწორად გამოგეთ, იმას კი არ ვამბობ, რომ ამერიკა უკეთ გამოხატავს თავის ნაციონალურ იდენტობას. უბრალოდ, გარკვეული აზრით, ამერიკული იდენტობა უფრო მსუბუქია და ნაკლებ კონფლიქტს იწვევს.

მე ვიცნობ ადამიანს კალიფორნიიდან, ვისი დიდი ბაბუა და ბებია ჩინეთიდან იყვნენ. როდესაც ის საქართველოში ჩამოვიდა, ქართული ენა ისწავლა. ხშირად ხალხი ეკითხებოდა, თუ საიდან იყო და ის პასუხობდა, რომ ამერიკიდან. შემდეგ კი უფრო დეტალებში ჩაეკითხებოდნენ ხოლმე, იმის გასარკვევად თუ „სინამდვილეში“ სადაური იყო. ქართული გადმოსახედიდან ამგვარი დაკითხვა სრულიად გასაგებია, მაგრამ ამერიკელისთვის ცოტა – უხერხული.

ჩემს შვილებს ამერიკელი მამა და ქართველი დედა ჰყავთ. ხალხი შეხედავს მათ და, პირველ რიგში, სურთ იმის გაგება, თუ „ვინ“ არიან ისინი. ჯერ კიდევ სულ პატარები იყვნენ, როცა მნახველები მოდიოდნენ და ვა-

მელიც რუსულია, რადგან მისი ქმრის დიდი დიდი ბაბუა რუსეთიდან იყო. მძღოლი პასუხობს – არა, შენი ქმარი ქართველი არ ყოფილა. ჩემი მეგობარი გიჟდება – როგორ შეიძლება, ვინმე იყოს ისეთი თავხედი, რომ უთხრას, ვინ არის მისი ქმარი!

ამ ყველაფერთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა მაქვს.

წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: ხონში (ან ვერაზე!) მცხოვრებ წვეილს არ ჰყავს შვილი და ბავშვს აფრიკის რომელიმე ომით გაჩანაგებული ქვეყნიდან იშვილებს. ეს ბავშვი მოინათლება მართლმადიდებელ ეკლესიაში, დაამთავრებს, ვთქვათ, 53-ე სკოლას და საუბრობს ბრწყინვალე ქართულით. შეიძლება, ის ქართველად ჩაითვალოს? და თუ ის მონაზვნად აღიკვეცება? ან ცნობილი ქართველი პოეტესა გამოვა? მისი შვილები, ისინი მაინც იქნებიან ქართველები? შვილიშვილები? რა მოხდება, თუ ის გოგონა კი არა, ბიჭი იქნება? რამე შეიცვლება, თუ მას იტალიიდან აიყვანენ და არა აფრიკიდან?

ვთქვათ, არიზონას შტატში ცხოვრობს ვინმე ჯეკ ჯაფარიძე, რომელმაც კი იცის, რომ მისი წინაპრები რომე-

საქართველოდან ხარ, მაგრამ ამავე დროს ხარ კათოლიკე, ან მუსლიმი? ან თუ დაიბადე მართლმადიდებლად და შემდეგ გადახვედი იუდაიზმზე? ისეთივე ქართველი იქნები, როგორც მართლმადიდებელი ქართველები? ბაგრატიონი უფრო მეტად ქართველია, ვიდრე ჭრელაშვილი? წერეთელი უფრო ქართველია, თუ თუმანიშვილი? რატომ?

ქართულ ფორმულაში, რამდენ „ღირსებას“ იძენ, თუ საუბრობ ქართულად, დაიბადე საქართველოში, ხარ მართლმადიდებელი? მამა უფრო მეტად განსაზღვრავს შენს ეროვნებას, ვიდრე დედა, როგორც ეს საბჭოთა დროს იყო? რატომ?

და ბოლოს, რამდენად უნდა განსაზღვრონ სხვებმა შენი იდენტობა? საიდან აქვთ მათ ამის უფლება? სწორია ეს? მომგებიანია? ზრდილობიანია? ეთიკურია?

რა მოხდება, თუ ქართველი საზოგადოება გადანყვეტს, რომ ყველას შეუძლია იყოს ქართველი, რანაირად შეცვლის ეს ჩვენს ურთიერთობებს?

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაია.

პოსტ-იდეოლოგიური თაობა და მისი მემბროსა ბრიტანეთში



15 წლის ედი ქაზინსი და ლონდონის ქუჩებში გამოსული სტუდენტები იდეალების დაბრუნებას ცდილობენ.

გიორგი ცხადაია

ისტორია ასეთია: ბრიტანელი სტუდენტები, მთელი თვის განმავლობაში, ამოდ ცდილობდნენ, კონსერვატორი მთავრობისთვის სწავლის გადასახადების მომატება გადაეფიქრებინათ. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ორგანიზატორი სტუდენტური ჯგუფები ძალადობრივ პროტესტს გამოიყენებდნენ და ხალხს მშვიდობიანი მარშისთვის მოუწოდებდნენ, პოლიციასთან შეტაკება მაინც გარდაუვალი გახდა. პოლიციამ ამ დროს რადიკალური ტაქტიკა „kettling“ გამოიყენა: ახალგაზრდა მომიტინგეები სამი მხრიდან ჩაკეტა და მხოლოდ ერთი გასაქცევი გზა დაუტოვა. იყო შემთხვევები, როცა პოლიცია ახალგაზრდებს ყველა გზას უკეტავდა. განრისხებული სტუდენტები პოლიციის მანქანას და შენობებს ესხმოდნენ თავს.

9 დეკემბერს მომიტინგეებმა ალყა თვით პრინც ჩარზლის მანქანას შემოარტყეს და გაცოფებულნი ყვიროდნენ – „კონსერვატორი ნაძირალა!“ ინციდენტის ამსახველ ვიდეოში გარკვევით ისმის, თუ როგორ ყვირიან სტუდენტები: „ვისია ეს ქუჩები?! ჩვენია! ჩვენია!“ გაისმა რადიკალური მოწოდებებიც: „თავები წავაცალოთ ამათ!“ ბოლო 30 წელია, ბრიტანეთში ასეთი მასშტაბური ახალგაზრდული პროტესტი არ ყოფილა. ეს ნამდვილი შოკია მათთვის, ვისაც ეგონა, რომ რადიკალური, საყოველთაო ახალგაზრდული პროტესტის ხანა წარსულს ჩაბარდა. ბოლო ერთი თვეა, ბრიტანეთის წამყვანი უნივერსიტეტების, მათ შორის – ოქსფორდის, კემბრიჯისა და ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის აუ-



პოლიციელების შეტაკება დემონსტრანტებთან, ვესტმინსტერი, ცენტრალური ლონდონი, 9 დეკემბერი 2010

დიტორიებს სტუდენტები საპროტესტო შეხვედრებისთვის იყენებდნენ. კონსერვატორი მთავრობა და მასთან კოალიციაში მყოფი ლიბერალური პარტია თავის გადაწყვეტილებას ფინანსური პრობლემებით ხსნის. მარგარეტ ტეტჩერის შემდეგ, დევიდ კამერონი 20 წლის მანძილზე პირველ კონსერვატორულ მთავრობას ხელმძღვანელობს. ირონიულია, რომ ამ ხნის მანძილზე მმართველი ლეიბორისტული პარტია სოციალურ პროგრამებს ისე ამცირებდა, რომ ამისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. ახლა კი წვეთ-წვეთად ნაგროვები უკმაყოფილების უზარმაზარი ტალღა

ხელისუფლებაში მყოფ კონსერვატორებს ერთბაშად დაატყდა თავს. სტუდენტები მთავრობას მოუწოდებენ, რომ ფინანსური კრიზისის გამო პასუხი მათ კი არა, მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებს და კორპორაციებს მოსთხოვონ. მემბროსე ახალგაზრდებს „პოსტიდეოლოგიურის“ და „პოსტმოდერნული“ იარლიყი არ მოსწონთ. ისინი მიიჩნევენ, რომ 60-იანი წლების სტუდენტური პროტესტის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. უმთავრესი ცვლილება კი მსოფლმხედველობრივია: ახალგაზრდებმა მაღალი იდეალებისა და იდეოლოგიების რწმენა დაკარგეს.

პროტესტს სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. სწორედ ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეა ედი ქაზინსი, რომელიც ლონდონის ქუჩებში გამოსული სტუდენტების საერთო სათქმელს ამბობს: „ჩვენ აღარ ვართ პოსტ-იდეოლოგიური თაობა, ჩვენ აღარ ვართ თაობა, რომელსაც არაფერი ანალვლებს. ჩვენ მივანდით თაობად, რომელსაც „ფეისბუქის“ გვერდებისა და ტელევიზორის ეკრანის გარდა, არაფერი ანალვლებს;

■ **მემბროსე ახალგაზრდებს „პოსტიდეოლოგიურის“ და „პოსტმოდერნული“ იარლიყი არ მოსწონთ. ისინი მიიჩნევენ, რომ 60-იანი წლების სტუდენტური პროტესტის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. უმთავრესი ცვლილება კი მსოფლმხედველობრივია: ახალგაზრდებმა მაღალი იდეალებისა და იდეოლოგიების რწმენა დაკარგეს.**

ჩვენ მივანდით თაობად, რომლისთვისაც შაბათი საღამო მხოლოდ „იქს ფაქტორს“ (ბრიტანული „ჯეოსტარი“ – გ.ც.) ნიშნავს და სხვას არაფერს. დღეს ნათელია, რომ ამგვარი წარმოდგენები უბრალოდ სასაცილოა!“ თანამედროვე ადამიანმა, რომელსაც აღარც მეოცე საუკუნის მემარცხენე იდეალების სჯერა (ნაწილობრივ იმიტომაც, რომ საბჭოთა კავშირი ტოტალიტარულ მონსტრად ჩამოყალიბდა და შემდეგ დაიშალა) და არც მეტაფიზიკური ღმერთის, თავი „სისტემას“ მიანდო. სისტემა – გლობალური თავისუფალი ბაზარია, რომელიც ტეტჩერისა და რეიგანის შემდეგ უფრო და უფრო

„ღია“, ანუ სახელმწიფოს ჩარევისგან თავისუფალი ხდებოდა. შედეგად, დაიკარგა რწმენა, რომ საზოგადოებრივი სიკეთეების შესანარჩუნებლად წარმატებული კოლექტიური ქმედება შესაძლებელია. დაიკარგა იდეალების და მაღალი ღირებულებების – ადამიანის უფლებების და სოციალური სამართლიანობის რწმენა.

პოსტიდეოლოგიური თაობა ფიქრობდა, რომ ყველაფერი რაც მოცემულია, მაკროეკონომიკის და სოციოლოგიის დიდი კანონზომიერებების შედეგია და მისი შეცვლა ისევე ამაოა, როგორც ფიზიკის კანონების. ეს თაობა, წლების განმავლობაში, აპოლიტიკურ მასად რჩებოდა; მისთვის არამატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთადერთი საშუალება შოუბიზნესის პროდუქტების მოხმარება გახდა.

ღირებულებების გაუფასურებას და იდეოლოგიების მსხვერველს ერთგვარი ფროიდისტული „ტერორიც“ ახლდა. ფსიქოანალიზისთვის სოლიდარობა და პროტესტი ადამიანის ეგოსა და სუპერ-ეგოს ურთიერთქმედების შედეგია, სოციოლოგიისთვის – პრაგმატული საზოგადოებრივი კავშირების დემონსტრაცია.

პოსტმოდერნისტი სოციოლოგები საზოგადოების ყველა სეგმენტს, მათ შორის, მემბროსე ჯგუფებს, ძალაუფლების მატარებელ სუბიექტებად განიხილავენ (რადგან ძალაუფლება ყველგანაა), ამიტომ ზოგჯერ მათ ყალბად და საშიშად თვლიან. დღემდე ფიქრობენ, რომ ნებისმიერი პატარა ჯგუფი (მაგალითად, ჯულიან ასანუი და მისი მეგობრები), რომელიც დომინანტური სისტემის და ისტებლიშმენტის წინააღმდეგ გამოდის, საკუთარ თავში ძალაუფლების ახალ ფორმას შეიცავს, ამიტომ პოტენციურად საშიშია და კერპად ქცევის საფრთხეს ატარებს.

მემარცხენე მემბროსეების მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ და ამორალურად მიიჩნევდნენ ფროიდისტების, პოსტმოდერნისტების და ლიბერტარიანული ეკონომისტების არგუმენტებს ადამიანის ბუნების შესახებ. სინამდვილეში

პოსტმოდერნისტები, ფსიქოანალიტიკოსები და ეკონომისტები არ ცდებიან – ადამიანი ეგოისტი არსებაა და მას მართლაც სურს უფრო მეტი ძალაუფლება. აქ მთავარი ის კი არაა, რომ ადამიანი ეგოისტია, არამედ ის, რომ ამგვარი ეგოისტური ბუნება ალტრუიზმის, მეგობრობის, სოციალური სამართლიანობის, სიყვარულის და ემოციების არსებობას სულაც არ გამოირიცხავს.

დღეს, უკვე ცხადია, რომ იდეალებსა და იდეოლოგიებში, სოლიდარობასა და პროტესტში ცუდი არაფერია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ფსიქოანალიტიკურ თუ სოციოლოგიურ ძირებს შეიცავენ ისინი.

დღეს ნათელია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანების უნარი – გაერთიანდნენ და შეცვალონ გარემო – ცივილიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ეს ძალა ქმნიდა ადამიანთა თანაცხოვრების უკეთეს ფორმებს და ანიჭებდა თავისუფლებას დაჩაგრულ ჯგუფებს. ეს ძალა დღემდე გლობალური საბაზრო ეკონომიკისა და შოუბიზნესის „ეგოისტურმა“ და მატერიალისტურმა კულტურამ შეავინროვა.

ბრიტანეთის მთავრობამ განათლების დაფინანსების შემცირების ინიციატივა მაინც გაიტანა, მაგრამ ყველაფერი მაინც შეიცვალა – მთავრობამ საზოგადოების ქვედა და საშუალო ფენების აქამდე არნახული აქტივობა იგრძნო, დაინახა ახალგაზრდა თაობის – სკოლის და კოლეჯის სტუდენტების კოლექტიური პოტენციალი, გაიზარა, რომ ეს აღარ არის თაობა, რომელსაც არაფერი ანალვლებს. ეს არის თაობა, რომელსაც აქვს იდეალები და ღირებულებები და მზად არის მათ დასაცავად. ეს თაობა აქტიურად მონაწილეობს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, ლონდონსა და ლიონში ქუჩის დემონსტრაციებში და თვითგამოხატვას არ ერიდება. 15 წლის ედი ქაზინსი დარწმუნებულია, რომ დღევანდელი ბრძოლა ისტებლიშმენტის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლაა და საზოგადოებას მისი წარმოებისთვის ადამიანური იდეალების და ღირებულებების დაბრუნება სჭირდება.

აბხაზიანი ჰომოფობი "აუდიტორია" და მისი ნამყვანი



„აქვს თუ არა ჰომოფობს უფლება, იყოს საზოგადოებრივი ტოკ-შოუს ნამყვანი?“

ნინია კაკაბაძე

13 დეკემბერს „პირველი არხის“ ეთერში გავიდა გადაცემა „აუდიტორია“. გადაცემის თემა: „აქვს თუ არა ჰომოსექსუალს უფლება, იყოს მასწავლებელი?“ „აუდიტორიის“ ინსპირაციის წყარო თომას ფლეთჩერის გახმაურებული კეისია – სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, მის პირად პროფაილზე დადებული ფოტოები, (ამ ფოტოების ხილვა ამჟამად შეუძლებელია), სადაც მასწავლებელი (როგორც ამბობენ) შიშველ მდგომარეობაში იყო. თომას ფლეთჩერის ფოტოების ხილვა მის მოსწავლეებსაც შეეძლოთ. ცოტა ხნის შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომ ეს ფოტოები გაყალბებულია. თავად ფლეთჩერს ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. თუმცა ეს შემთხვევა საკმარისი აღმოჩნდა ქსენოფობიური საზოგადოებისათვის და პოლიტიკოსებისათვის, რომ ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მოვლენად ექციათ. ამიტომ ტოკ-შოუ „აუდიტორიაც“, როგორც პოპულარულ საკითხს, მას გადაცემის თემად აქცევს.

გადაცემის სათაური „აქვს თუ არა ჰომოსექსუალს უფლება, იყოს მასწავლებელი“ უკვე დისკრიმინაციულია. ამგვარი კითხვა ცივილიზებულ საზოგადოებაში საერთოდ არ ჩნდება და, მით უმეტეს, არ ხდება საზოგადოებრივი ტოკ-შოუს მთავარი თემა. მაგრამ ჩვენი სიუჟეტი საქართველოში ვითარდება. (აქვე შენიშვნა გადაცემის რამდენიმე მონაწილესთან – არასწორია ჰომოსექსუალისტი! სწორია – ჰომოსექსუალი!)

გადაცემის სტუმრები იყვნენ: ზვიად ძიძიგური, რომელიც ჰომოსექსუალს რეციდივისტს ადარებს და მათთვის სკოლაში შესვლის უფლების ჩამორთმევას ითხოვს;

გიორგი მელაძე, რომელიც, როგორც ჩანს, „სახელისუფლო ხმას“ წარმოადგენს და ამიტომ ზოგადი, უპრინციპო საკითხების მიმოხილვით შემოიფარგლება – ოჯახის ინსტიტუციის ისტორიულ წიაღსვლებს გვთავაზობს და ა.შ. ბაია რევაზის ასული ამაშუკელი – მისი პოზიცია ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია: „ნუ, როგორ შეიძლება ასეთი რამე..“. ივა კუზანოვი, პლასტიკური ქირურგი. მიუხედავად იმისა, რომ მას არა ერთი ტრანსსექსუალისთვის გაუკეთებია ოპერაცია, დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჰომოსექსუალი დაავადებულია და მისი ბავშვებთან სკოლაში შეშვება კატეგორიულად აკრძალული უნდა იყოს. ცნობილი და პოპულარული ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით გვარწმუნებს, რომ ჰომოსექსუალობა სოციალურად აღზრდადია. პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი, დიმიტრი ლორთქიფანიძე. მისი პათოსი ასევე ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის – ლორთქიფანიძე ითხოვდა და დღემდე ითხოვს, რომ ჰომოსექსუალობა კანონით დასჯადი იყოს. „აუდიტორიის“ დარბაზში, საბედნიეროდ (!), იმყოფებოდა ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილი, რომელიც მარტოხელა გმირით იბრძოდა აუდიტორიის წინააღმდეგ და ანბანური ჭკმმართველის დამტკიცება უწყევდა – 1. ძალადობრივი ფაქტები არ არის დაკავშირებული სექსუალურ ორიენტაციასთან; 2. არ შეიძლება, ჰომოსექსუალს დაუწესო პროფესიული აკრძალვები, რადგან ის არ ქმნის საზოგადოებისათვის და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვებისათვის საფრთხეს.

ერთი სიტყვით „აუდიტორიის“ აუდიტორიის განწყობა გასაგებია. გადაცემის მეორე ნაწილში, დარბაზში შემოსული პაატა საბელაშვილი თავიდანვე აღნიშნავს, რომ ქართული საზოგადოების პრობლემა ჰომოფობიაა და არა ჰომოსექსუალიზმი. იმისათვის, რომ პაატა საბელაშვილის მოსაზრებაში დავრწმუნდეთ, მოკლედ განვიხილოთ გადაცემა და მისი სტრუქტურა. მეორე დღეს, თავო კუპრეიშვილის მიერ მომზადებულ მასალაში, რომელიც „ნეტგაზეთში“ გამოქვეყნდა, რესპონდენტი პაატა საბელაშვილი აღნიშნავს, რომ მას არავითარი პრეტენზია არ გააჩნია გადაცემის ნამყვანის, ეკა ხოფერიას მიმართ, რადგან ის გადაცემის მსვლელობისას, ჰომოფობიურ გამოვლინებებს ღიად უპირისპირდებოდა. ეს მართლაც ასე იყო, თუმცა დაპირისპირებას ვერ დავარქმევთ – ხოფერია „ცდილობდა გაეგო“, რატომ არის ასეთი ღია აგრესია ჰომოსექსუალების მიმართ. მაგრამ, სამწუხაროდ...

1. გადაცემის ნამყვანი მის აუდიტორიაში იწვევს სამ, საზოგადოდ ცნობილ აგრესიულ ჰომოფობს – ზვიად ძიძიგურს, დიმიტრი ლორთქიფანიძეს, ბაია ამაშუკელს. მან წინასწარ იცის ივა კუზანოვის დამოკიდებულება, რომელიც ჰომოფობიურ მოსაზრებებს გამოთქვამს; ფსიქოლოგს, რომლის დამოკიდებულებაც, ასევე, წინასწარ იცის. საინტერესოა, იცოდა თუ არა ეკა ხოფერიამ ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილის დამოკიდებულება საკითხის მიმართ. გასაგებია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებაა, ეკრანზე აჩვენოს და წარმოსახოს საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება და მათ შორის ღირებულებითი სხვადასხვაობა,



■ გადაცემა „აუდიტორიის“ ნამყვანისთვის და მთელი შემოქმედებითი ჯგუფისათვის, ჰომოსექსუალიზმი დაკავშირებულია გარყვნილებასთან. ეს კი ჰომოფობიას ნიშნავს.

მაგრამ 13 დეკემბრის გადაცემა ჰომოფობიის პოპულარიზაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე პრობლემის კვლევას. აგრეთვე, გადაცემის ნამყვანი ჰომოსექსუალ სტუმრებს, როგორც კეთროვნებს ცალკე, ამაღლებულ სცენაზე სვამს. თუკი არხის პოლიტიკაა, აჩვენოს მრავალფეროვანი საზოგადოება, ჰომოსექსუალს გამოყოფილად, ცალკე მოთავსება არ სჭირდება, ის ამ საზოგადოების ისეთივე წევრია, როგორც ნებისმიერი ჰეტეროსექსუალი. მათი ამგვარად წარმოჩენა კი პირდაპირი დისკრიმინაცია, ჰომოსექსუალიზმის დემონიზაციაა.

2. გადაცემის მესამე ბლოკში, ერთ-ერთი სტუმარი ქორეოგრაფიის მასწავლებელია, ასევე ჰომოსექსუალი. ბუნებრივია, ისიც განცალკევებით, ამაღლებულ სცენაზე ზის. ლერი ბექაურის გადაცემაში მოპატიჟება იმ სტერეოტიპული აზროვნების შედეგია, რომელიც ჰომოსექსუალს ამ ჰაბიტუსით წარმოგვიდგენს. ესეც ტიპური ჰომოფობიის გამოვლინება.

3. გადაცემის ეთერში გასვლამდე პირველი არხზე ტრიალებს გადაცემის ანონსი, რომელიც მაყურებლის მოზიდვის მიზნით წარმოგვიდგენს აგრესიულ ჰომოფობიურ გამონათქვამებს. ანონსს რეკლამის ეფექტი აქვს და ის მაყურებლის ცნობიერებაში იღვქება. მას, ვინაი არ უნახავს თავად გადაცემა, მას ახსოვს ზვიად ძიძიგურის აგრესიული და ფრთოსანი ლოზუნგები ჰომოსექსუალების წინააღმდეგ. ვფიქრობ, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელობა მომავალში უფრო მეტეხად გამოყოფს ეთიკის ნორმების დაცვის სტანდარტებს და მათ, ვისაც ჯერ ისევე უძნელდება, გაიგოს – რას ნიშნავს ჰომოფობიის ტირაჟირება, გარკვეულ ეთიკის ნორმებს დაუწესებს. არ შეიძლება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ისმოდეს სიტყვები: „ბრძენი, ყრუები და კიდევ სხვა ნაკლით დაბადებულები, არ უნდა იყვნენ ჩვენი მომავალი თაობის გამზრდელები“ – ზვიად ძიძიგური. დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც ჰომოსექსუალს ზოოფილს, ნეკროფილს და პედოფილს ადარებს და არ ესმის სხვაობა. ამგვარი მოსაზრებებით იყო გაჯერებული 13 დეკემბრის „აუდიტორია“.

4. მთავარი და ყველაზე საინტერესო ფაქტი. როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, გადაცემის ინსპირაციის წყარო ინგლისურის მასწავლებელი თომას ფლეთჩერი იყო, რომელიც მისი ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ ჰომოსექსუალად მოინათლა. ფლეთჩერის ჰომოსექსუალიზმთან ბმაც ჰომოფობიის აშკარა გამოვლინებაა. გადაცემის მსვლელობისას პაატა საბელაშვილი აღნიშნავს, რომ ფონდი „ნიკლუზივი“ დაუკავშირდა ფლეთჩერს და დახმარება შესთავაზა. ფლეთჩერმა განაცხადა, რომ ის არ არის ჰომოსექსუალი. კარგი იქნებოდა, ვიდრე გადაცემის თემად ვაქცევდეთ საკითხს, გავიგოთ, რაზეა საუბარი. პრაქტიკულად, გამოვიდა, რომ (თუკი ჩავთვლით, რომ ფოტოები მართლაც ფლეთჩერის განთავსებული იყო სოციალურ ქსელში) უპასუხისმგებლო პედაგოგის სექსუალური ექსპიზიციონიზმი, როგორც გარყვნილება, დავაკავშირეთ ჰომოსექსუალიზმთან. რატომ? რადგან გადაცემა „აუდიტორიის“ ნამყვანისთვის და მთელი შემოქმედებითი ჯგუფისათვის, ჰომოსექსუალიზმი დაკავშირებულია გარყვნილებასთან. ეს კი ჰომოფობიას ნიშნავს. აგრეთვე, სამწუხაროდ, დარბაზში ლუბა ელიაშვილის გარდა, არავინ იცოდა, რომ სექსუალური ძალადობა ჰეტეროსექსუალებთან უფრო დაკავშირებულია, ვიდრე ჰომოსექსუალებთან. რომ ჰეტეროსექსუალი უფრო აგრესიულია, ვიდრე ჰომოსექსუალი და ა.შ. ასეთ პრობლემურ საკითხზე, ასეთ ჰომოფობიურ საზოგადოებაში, მსგავსი გადაცემის მომზადება და შემდეგ მისი ეთერში გაშვება (გადაცემა ჩანაწერის სახით გადის) არის ისეთივე აგრესიული ჰომოფობია, როგორც ზვიად ძიძიგურის თუ დიმიტრი ლორთქიფანიძის ფაშისტური განცხადებები. მსგავსი შემთხვევები კი, საზოგადოებრივი არხის ეთერში არ უნდა ხდებოდეს. ■

ხობოხია სამგანზომილებიანი ხინოს მომავალი?



კინოს სამგანზომილებიანად გადაქცევა შეუქცევადი პროცესი არ არის. ვეცდები, დავასაბუთო.

ნიკო ნერგაძე



დღეს კინოში თუ წახვალ, აუცილებლად დაგხვდება 3D ფილმი. 2010 წლის ბოლოს პოლიფილმის თემა სამგანზომილებიანი ფილმს უშვებდა. 2011 წელს კიდევ უფრო მეტი გამოვა.

ჰოდა, რა ვიფიქროთ? რომ მალე ყველა ფილმი 3D იქნება და ორგანზომილებიანი კინო შავ-თეთრი ან მუნჯი კინოს გზას მიჰყვება?

თუ პირიქით, 3D წარმავალი მოდაა და მალე დავუბრუნდებით ნაცნობ, 2D სამყაროს?

3D კინოს ბოლო ბუმი „ავატარის“ ეკრანებზე გამოჩენას მოჰყვა. სწორედ ამ

ფილმმა აჩვენა, თუ რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს სამგანზომილებიანი კინო. „ავატარი“ ყველა დროის ყველაზე მომგებიანი ფილმი გახდა. ამაში კი ლომის წვლილი იმას მიუძღოდა, რომ 3D ფილმის ბილეთი ჩვეულებრივზე უფრო ძვირი ღირს. „ავატარს“ მოჰყვა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, რომელიც ასევე საოცრად მომგებიანი აღმოჩნდა.

შემდეგ ეკრანებზე ერთი-მეორის მიყოლებით გამოჩნდა 3D ფილმები, რომლებიც ვიზუალურად „ავატარს“ კი არა, უფრო 80-იანი წლების ჩეხურ ზღაპრებს მოგაგონებდნენ. მაგალითად – „ტიტანთა

შერკინება“ – ცუდი, ბნელი სათავგადასავლო ფილმი, რომელიც თავს გატყეობდა. ბილეთიც, სამგანზომილებიანობის გამო, უფრო ძვირი ღირდა. თუ „ავატარს“ შეეძლო, ამათ რალა დაემართათ?

საქმე ისაა, რომ „ავატარი“ სპეციალური კამერით იყო გადაღებული, რომელიც პოლიფილმის სტანდარტებთან კი ძალიან ძვირი ღირს. ამიტომაც იყო გამოსახულება ასეთი კარგი. „ტიტანთა შერკინება“ კი ბოლოს გადაქციეს სამგანზომილებიანად. სტუდიამ გადაწყვიტა, რომ ასე მეტ ფულს გააკეთებდა. შედეგად, ისედაც დიდი ვერაფერი შვილი



ლიბერალი

იკითხეთ ლიბერალის პორტალზე

www.liberali.ge



ნიკო ბაქაძის ბლოგი


ჩემი ერთი მეგობარი ხუმრობით ცენზორს მეძახის, რადგან მეგონა და არც ვმალავ, რომ სიძულვილის ენა სისხლის სამართლის კოდექსით უნდა ისჯებოდეს; ანუ ვფიქრობ, – სიძულვილის ქადაგების გამო შეიძლება ადამიანი ციხეში ჩასვა. დიდი ხნით – არა. მაგრამ ექვსი თვე ან ერთი წელი ალალა!

სელფასს + პრემია

ნიკო ბაქაძის ბლოგი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ 2009 წლის 1-ლი იანვრიდან 2010 წლის 1-ლ ნოემბრამდე ხელფასის სახით 77 880 ლარი აიღო. ხელფასზე დარიცხული პრემიის სახით კი მისი შრომის ანაზღაურების 80%-ზე მეტი, ანუ ამავე პერიოდში მინისტრისთვის დარიცხულმა პრემიამ 62 580 ლარი შეადგინა.

შორენა შავარდვილის ბლოგი „ლაპარაკობს და უჩვენებს საპარტიველო“

ერთი-ერთი სატელევიზიო გადაცემის შემდეგ, სადაც სტუმრად ვიყავი მიწვეული, ბიძაჩემმა სატელეფონო უსტარი გამომიგზავნა, სამწყებად. ამ წერილის წაკითხვამდე მხოლოდ ის მინდა იცოდეთ, რომ ბიძაჩემს აქვს დიდი უღვაშები, ცხოვრობს რუსთაველი, კითხულობს ბევრს და აქვს მარანი, სადაც თვითონ აყენებს ღვინოს. განათლებით ინჟინერია. მუშაობს სტამბაში, სადაც, ძირითადად, გაბურძნვნილი და ზენარ-შემოფარებული დადის (არ მკითხვით, რატომ), ან ქუდმონგრეული. და როგორც წესი, ქაღალდების დიდი დასტა აქვს ხოლმე ილიაში ამოჩრილი. ჰო, კიდევ, კახელია და ხანდახან სასტიკად ახირებული შეიძლება იყოს.



გულტივილია ინტერვიუ გრეგორ სპაკისთან

www.liberali.ge

ფილმი კიდევ უარესი სანახავი გახდა.

ორგანზომილებიანი ფილმის სამგანზომილებიანად ხარისხიანად გარდაქმნა შესაძლებელია. ოღონდ ამას დრო და ფული უნდა. ჯერჯერობით კი, ყოველ „ავატარზე“ შვიდი „ტიტანთა შერკინება“ მოდის. ეს კი მასწავლებელს 3D კინოში რწმენას უკარგავს – ბილეთის ფულს იხდი და შესაბამის სიამოვნებას კი ვერ იღებ.

ამასთან, იაფ ფილმებში გამოყენებული 3D ეფექტები მალე ხდება მომაბეზრებელი. კარგი ფილმი გავიწყებს, რომ დარბაზში ზიხარ და ეკრანს უყურებ. ბოლომდე ჩართული ხარ. იაფფასიანი 3D (როდესაც ეკრანიდან მონსტრი „გახტება“) ამ ჩართულობას არღვევს. ერთხელ გასართობია, მერე კი მოსაწყენი ხდება.

კარგად გაკეთებული სამგანზომილებიანი კინო ეკრანიდან კი არ გახტება, პირიქით, გითრევს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ლანდშაფტები და დიდი, გაშლილი სივრცეები გამოდის. ისე, როგორც „ავატარში“, ან „პიქსარის“ Up-ში და კიდევ რამდენიმე ანიმაციურ ფილმში.

რაც შეეხება ანიმაციას... უკვე ცხადია, რომ ახალი ანიმაციური ფილმების უმეტესობა ამიერიდან სამგანზომილებიანი იქნება. 3D მულტიფილმების გაკეთება უფრო ადვილია – განსაკუთრებული კამერა ან რთული დამუშავება არ სჭირდება. დაამატებ მეორე, ვირტუალურ კამერას და სამგანზომილებიანი გამოდის. ამიტომაცაა, რომ ჯერჯერობით უფრო მეტი ხარისხიანი ანიმაციური ფილმი გამოვიდა ეკრანებზე ვიდრე „ჩვეულებრივი“.

ჰოდა, „ჩვეულებრივს“ რომ მოვუბრუნდეთ... 2011 წელს უამრავი სამგანზომილებიანი მხატვრული ფილმი გამოვა. მათ ხარისხზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მნიშვნელოვანი გახდება 3D. თუ ამ ფილმების უმეტესობა „ტიტანთა შერკინებას“ დაემსგავსება, მაშინ ბევრს აუცრუვდება გული და მიხვდება, რომ არ ღირს ფულის გადახდა ხელოვნურად გაძვირებულ ბილეთში.

სამგანზომილებიანი კინო ახალი არ არის. 1952-55 წლებს 3D-ს „ოქროს ხანას“ უწოდებდნენ. მერე ამ მოდამ გადაიარა. ცოდვა იქნება. ახლაც თუ ასე მოხდა.

ხახინას წინააღმდეგ



თუკი სოციალურ ქსელებში რაიმე ჭეშმარიტად გულწრფელი და, როგორც იტყვიან, ავთენტურია, ეს არის აგრესია.

ლაშა ზუღაძე, მწერალი

ვერ გამოვიყვანო, რომელი სახეობის ვენ-ბასთან გვაქვს საქმე, როცა „ფეისბუქში“ დედები შვილებს, ანკი ცოლები ქმრებს ყველას დასანახად უწერენ – „მიყვარხარ“ და „მომენატრეო“, და თან სენტემენტალურ სმიალებსაც ურთავენ – ნახეთ, როგორი იდილიაა ჩვენს შორისო. თქვენი არ ვიცი და მე კი არ მჯერა, რომ ადამიანები გულწრფელები არიან ასეთ დროს. სცენაზე მდგომი კაცი ხომ ყოველთვის ცრუობს – ჯერ კიდევ როდის წერდა ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი! „ფეისბუქი“ კი, დამეთანხმეთ, სცენაა. სადაც მასწავლებელი და დამკვირვებელია, იქ იძულებული ხარ, „რეგისტრ მოუმატო“; იმაზე მეტად მკვეთრი იყო, ან პირიქით, „დემოკრატიული“, ვიდრე სინამდვილეში ხარ. დამკვირვებლები გაიძულევენ ასე ქცევას – შენ თავს აღარ ეკუთვნი, მხოლოდ რეპრეზენტორებს საკუთარ პერსონას.

სიმკვეთრეზე მოგახსენებდით. აქ ისეთი ხალხიც გვხვდება, რომელთაც სრულად მიესადაგება ეს განსაზღვრება – მორალური ტერორისტები. დღევანდელი ჩემი სვეტის ანტიგმირები სწორედ ესენი გახლავთ.

ეტყობა, მანაც ვცდები და თუკი არის რაიმე ჭეშმარიტად გულწრფელი და, როგორც იტყვიან, ავთენტური ამგვარ სოციალურ ქსელებში, ეს აგრესიაა. ან, შეიძლება, მოცემულ შემთხვევაშიც ხსენებულ „მაღალ რეგისტრთან“ გვკონდეს საქმე, „იძულებითი სიმკვეთრესთან“, რადგან არა მგონია, რომ ის ადამიანები, რომლებიც პირდაპირ შადრევანით აფრქვევენ აგრესიას, ასეთივე „თამაშები“ იყვნენ არავირტუალურ სივრცეშიც. რაც მთავარი და უცნაურია, ეს ხალხი არც მალავს თავის სახელ-გვარსა და ფოტოს; პირიქით, როგორც ჩანს, ეთაკილებათ კიდევ

ანონიმად ყოფნა (ანონიმებზე, ალბათ, არც მოგაცდენდით), თავიანთ ქსენოფობიურ, ჰომოფობიურ, გამაოგნებლად არაკორექტულ შეფასებებსა თუ აზრებს ღიად, ყოველგვარი რიდისა და ტაქტის გარეშე ავრცელებენ. აქ მუხრუჭებს თურმე არ ცნობენ.

ჩემი გაოგნებისა და აღშფოთების მიზეზი ვინმე ნინი მეტრეველისა და მავანი გიორგი აფხაზავას კომენტარები გახლდათ (ამჯერად მხოლოდ ამ ორზე შევჩერდები). ეს ხალხი სრულიად მოუერიდებლად თათხავს და შეურაცხყოფს ერთ საკმაოდ ცნობილ ქართველ მსახიობს (მსახიობის ვინაობას გასაგებ მიზეზთა გამო არ ვასახელებ). „შეფასებები“ თან ერთვის მსახიობის ფოტოსურათს. გაცნობთ მათგან მხოლოდ რამდენიმეს (სტილი დაცულია): „*eg dabechdet mainc*



sapensioa ukve. staraya, deshovaya, shalyava, negodayka, porno-zvezda gruzinsko-armyanskogo naroda“; „გული მერევა რა უკვე ამ ქალზე. შენ გიორგი ეტყობა გე ვასება სომხის ბოზები; გეთანხმები ეგ ქალი არაფერს არ წარმოადგენს. ძველი უნიჭო ვითომ PORNო ვაი-მსახიობია. ფაქტია პირველი ეგ დაატ...ს (წერტილებს მე ვწერ, თორემ ვინმე ნინი სრულად გადმოგეცემს ყოველ სიტყვას – ლ. ბ.)...თუ ნავიდა, ისევ ასე წამოჩანჩალდა უკან, არც დააფურთხეს ზემოდან! სამაგიეროდ საამაყო ელიტარული მეძავია ერის საამაყო. მართალია სომეხი როა რატომღაც ეპაზორება..“; „*Kai Sa...vi somxis bozi ikho tavos droze:))))*“; და ა. შ. და ა. შ.

ეს მხოლოდ მცირე და შედარებით „ეთიკური“ ნაწილია იმისა, რასაც ასობით ადამიანი კითხულობს „ფეისბუქის“ გვერდებზე – კითხულობს და არ რეაგირებს, ან, ყოველ შემთხვევაში, რეაგირებს, მაგრამ მეტად პასიურად. მე კი ასეთ შეკითხვას ვსვამ: გულისხმობს თუ არა ეს სივრცე ამგვარ „გულწრფელობებს?“ ბუნებრივია თუ არა ის, რომ თავდასხმის ობიექტი აბსოლუტურად დაუცველი უნდა იყოს ზემოთ მოცემული და მსგავსი შეურაცხყოფებისგან? შესაძლებელია თუ არა, რომ აქ, ამ „კედლებში“, რიტორიკის ნაწილად, მსჯელობის ჩვეულებრივ დანამატად, ერთგვარ ნორმად იქცეს (ვიმეორებ) ქსენოფობია, ფემინოფობია, ჰომოფობია და ფობიათა კიდევ მრავალი სახეობა? ასეთები ვიყავით თუ ასეთებად გვაქცია ამ ვირტუალურმა ბრძოლის ველმა? მეუბნებიან, „ფეისბუქმა“ ადამიანის რეალური სახე გამოაჩინაო. ასეა? ხოდა რა სახეა ეს? არაგულწრფელი და აგრესიული?

თქვენ მოგწონთ ეს სახე?

საშობაო თამაშები



შობა ახლოვდება და თუ ყველგან არდადეგები იწყება, ინგლისურ ფეხბურთში სამუშაო დღეები ხშირდება.

გიო აბზელდიანი



ასეთია ტრადიცია, შობას ფეხბურთელებს ისეთი გრაფიკი აქვთ, რომ 10 დღეში 4-4 თამაშის გამართვაც კი მოუწევთ ხოლმე, რაც წლის არცერთ მონაკვეთში არ ხდება.

საშობაო ფეხბურთი განსაკუთრებული რამაა. მაგალითად, ვინც შობას პირველ ადგილზეა, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ჩემპიონი ხდება და ვინც კი ბოლოზეა, მთლად უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ლიგიდან ვარდება. ასეა პრემიერლიგაში და შობის თამაშებისას შეგიძლია, ბუკმეიკერთან გულმშვიდად მიხვიდე და ამ საქმეზე ფულიც დადო, ძნელად რომ ტრადიცია დაირღვეს.

ამიტომ, ვინც საშობაო საგიჟეთიდან და შუადღის თამაშებიდან თავს მოგებული გამოიტანს, იმას ლამის მთელი სეზონის საქმეები გვარაინად ექნება გადაწყვეტილი.

ეს ლონდონის შორეულ აღმოსავლეთში, ბოლეინ გრაუნდზეც კარგად იციან, სადაც ბატონობს ქართველთათვის ძველთაგანვე ნაცნობი „ვესტ ჰემ იუნაიტედი“. „ვესტ ჰემი“ ახლა ის გუნდია, პრემიერ-ლიგის ცხრილში რომ ბოლო ადგილი უჭირავს. „ვესტ ჰემი“, ასევე, ის გუნდია, რომელსაც ტიტულები იშვიათად მოუხვეჭია, მაგრამ თავისი კოხტა და გულიანი თამაშით ყოველთვის აღაფრთოვანებდა ხალხს. „ვესტ ჰემი“, ასევე, ის გუნდია, სადაც ყოველთვის ყველაზე მეტი ნიჭიერი ახლავაზრდა იყრის თავს, ოღონდ კლუბის ხელმოკლეობისა და მისი უტიტულობის გამო, მალევე ტოვებს იქაურობას. ამ ახლავაზრდების ჩამოთვლა შორს წავიყვანს, „ვესტ ჰემი“ კი მართლა ვარდება, სეზონის შუაწელს ისე უწია, რომ ერთადერთი თამაში აქვს მოგებული და ახლა გუნდის ებრაელ მენეჯერს, აბრაამ გრანტს, რომელიც მანამდე „ჩელსის“ და „პორტსმუტს“

წერთიდა, მფლობელებისგან ულტიმატუმი აქვს წაყენებული – თუ სამი საშობაო თამაშიდან ერთს მაინც არ მოიგებს, ქუდი უნდა დაიხუროს და წავიდეს.

ამ სამი თამაშიდან ორი გასვლითია და წლეულს ტრავმების ეპიდემიით დატანჯული „ვესტ ჰემი“ სტუმრად გოლების გამტანად ცოტა ძნელი წარმოსადგენია. თუმცა ვინ იცის, საშობაო კარუსელი ისე შეიძლება დატრიალდეს, რომ.....

ასეა მწვრთნელის ცხოვრება: 55 წლის ჭკვიანი და გამოცდილი კაცი, რომელიც ყველას ესიმპათიურება და თვით მისი კლუბის პატრონებსაც, ბუნებრივად მიიყვანს. მისი თანატოლი სემ ალარდაისი, როგორც ზოგნი ამბობენ, ამჟამად საუკეთესო ინგლისელი მენეჯერი, სწორედ წინა კვირაში მოხსნეს „ბლექბერნის“ მენეჯერობიდან. მივიდა დილით სამსახურში და უთხრეს თავისუფალი ხარო. მიზეზი: „ბლექბერნმა“ ბოლო ხუთი თამაშიდან სამი წააგო და კლუბის ახალ ინდოელ მენეჯერებს ასეთი აზრი გაუჩნდათ, რომ უმჯობესია მათ

გუნდს დიეგო მარადონამ უმენეჯეროს, ვიდრე დიდმა სემმა. ახლა კი „ბლექბერნი“ დროებითი მწვრთნელის ანაბარაა.

თუმცა სამწვრთნელი სკამი არასდროსაა ხოლმე ცარიელი, კარგი მწვრთნელი იმდენია, რომ ცვლილებას ორი დღეც არ უნდა. ახლა, თუ მარადონას გამოედევნე, ეს საქმე ცოტა მეტ დროს დაიჭერს, მაგრამ ინგლისში ყოველთვის იშოვი ადგილს. აი, სემამდე ერთი კვირით ადრე „ნიუკასლის“ პატრონმა ეშლიმ, მენეჯერი კრის ჰაუტონი გაუშვა: არაფერი იცის, რატომ. მოიყვანა ალან პარდიუ. ალანმა პირველი თამაში მოიგო. თუ „ვესტ ჰემი“ გრანტს გაუშვებს, მის ადგილს ალარდაისი დაიჭერს.

მოკლედ, საგიჟეთი. პრემიერ-ლიგის კლუბის მენეჯერობა ძალიან რთული საქმეა, მაგრამ ხელფასიც შესაბამისი აქვს, ანუ ჩიტი ბრდღენად ღირს.

თანაც, ეს საშობაო ბოპოქარი დღეები... მოკლედ, პრემიერ-ლიგა თავის ტრადიციულ საშობაო ორომტრიალითაა.

ხახბი ჰოცისიანი, სუდი ჰოცისიანი და ჩამშვები



სიმართლეს ვიტყვი, ამ ტექსტის დანერას საერთოდ არ ვგეგმავდი, მაგრამ აი, ვზივარ, ვნერ და ყურში ისევ ის მჭახე ხმა ჩამესმის, რამაც ქალაქში ველოსიპედით გადაადგილების სიკეთეზე ტექსტის დანერა გადამავადებინა.

კახა თოლორდავა

„გადადი, ქალო, დროზე, გადადი, გაინძერი-მეთქი!“ – საპატრულო მანქანაში მოკალათებული პოლიციელი ახალგაზრდა კაცია. ის ვილაც ხანშიშესულ ქალბატონს, რომელიც გადასასვლელ ნაწილზე შეყოვნდა, ტუქსავს მთელი ქუჩის თანდასწრებით. ისედაც აქოში-ნებული ქალბატონი, რომელმაც უდავოდ დაარღვია ქუჩაზე გადასვლის წესი, ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა გადაჭრას ქუჩის დარჩენილი მონაკვეთი და ტროტუარზე ავიდეს, მერე კი უკან იყურება იმ კეთილი პოლიციელისათვის თვალის შესავლებად. პატრულის მანქანა უკვე შორსაა.

ეს ორიოდ კვირის წინ მოხდა. პოლიციელის ასეთმა უხეშობამ თითქმის მთელ ქუჩას მოგვარუნებინა კისრები. არ ვიცი, მანქანაში რაზე ფიქრობდნენ ბატონი ოფიცრები, მაგრამ შემოძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ იმ დღეს მათ სულ რაღაც ნამებში, სრულიად უაზროდ და სულელურად დახარჯეს მათივე უფრო შეგნებული კოლეგების მიერ მთელი ამ წლების განმავლობაში დაგროვებული პოზიტიური მუხტი. იმ მოცემულ მომენტში იქ მყოფ თბილისელებს ნაკლებად აინტერესებდათ, იყვნენ თუ არა ის ბატონები კორუმპირებულები და, საერთოდ, რამდენი კეთილი საქმე ჰქონდათ გაკეთებული. იმ დღეს ისინი და ყველა მათი დანარჩენი კოლეგა ძალღებად გადაიქცნენ. იმ წუთიდან მოყოლებული პატრულის და იმ ინციდენტის მომსწრე ადამიანებს შორის ურთიერთობა თავიდან დაიწყო.

ქალბატონი რომ დავამშვიდეთ და გზა გავაგრძელო, ძალაუნებურად, ორ სხვა პოლიციელზე ვფიქრობდი, რამდენიმე თვის წინ მე და ჩემი მეგობარი რომ გავგაჩერეს და ვინაიდან იმ ჩემ მეგობარს ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზა აღმოაჩნდა ორგანიზმში, ჯერ დაგვაჯარიმეს, მერე კი ტაქსი გავვიჩერეს და ზრდილობიანად გაგვისტუმრეს სახლში; ისიც გამახსენდა, როგორი მოთმინებით იტანდა ერთი ახალგაზრდა ოფიცერი შეურაცხყოფას ვილაც თბილისელი მძღოლისგან, მხოლოდ იმიტომ, რომ მან ის გააჩერა. ვიცი, რომ ბევრ ჩემ თანამოქალაქს ექნება ერთი-ორი კარგი სიტყვა სათქმელი პატრულზე, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საკმარისია ოფიცრის ერთი შეცდომა და პოლიციამ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ძალიან უცნაურია ეს ყველაფერი, მაგრამ ვერაფერს იზამ, ასე ჩამოყალიბდა ჩვენსა და პოლიციას შორის ურთიერთობა წლების განმავლობაში. თანაც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ შორის ურთიერთობის ახალ ფორმებს მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი, ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რა დიდი პასუხის-



ფოტო: შურაბა უზუნაძე

მგებლობა გვეკისრება ორივე მხარეს ამ ურთიერთობების გასამყარებლად.

გულახდილად რომ გითხრათ, არც ზემოთ ნახსენები ინციდენტის შემდეგ ვიყავი ძალიან მონდომებული, რაიმე დამენერა ამ ყველაფერზე. ვგრძობდი, რომ მიწოდდა თუ არა, თითქმართული მოქალაქის ტექსტი გამომივიდოდა პოლიციელების პასუხისმგებლობაზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ შემთხვევამ უფრო მეტად დამაცქვეტინა ყურები ქუჩაში სიარულის დროს და მოულოდნელად აღმოვაჩინე ის, რასაც მანამდე ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი – არცთუ იშვიათად პატრული საკმაოდ უტაქტოა მოქალაქეებისადმი მიმართვამი; ისინი ძირითადად „შენ“-ობით მიმართავენ თბილისელებს, და საკმაოდ ხშირად უწევენ ხმას სრულიად უმიზეზოდ. ეს სრული სიმართლეა და მიუხედავად იმისა, რომ კარგად წარმომიდგენია, თუ რამდენი არასახარბიელო რამ ექნებათ პოლიციის ოფიცრებს ჩ ვ ე ნ ზ ე, თბილისელებზე სათქმელი, მაინც გადავწყვიტე შემეხსენებინა მათთვის ერთი, არცთუ სამართლიანი რამ, რაც მხოლოდ მათ პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს და სრულიად უგულვებელყოფს ჩვენი, მოქალაქეების, პასუხისმგებლობას ჩვენი ურთიერთობის ამ ეტაპზე. მოქალაქეებსა და პოლიციას შორის დღევანდელი ურთიერთობა, გარკვეულწილად, მათი წინამორბედების უზარისხო მუშაობის გამო, გაორმაგებულ პასუხისმგებლობას აკისრებს პოლიციის ყველა ოფიცერს გამონაკლისის გარეშე. თბილისელების უმრავლესობისათვის კარგი პოლიციელები არ არსებობენ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის თუნდაც ერთი ცუდი პოლიციელია. კარგი პოლიციელები არსებობენ მაშინ, თუ ყველა კარგი პოლიციელია.



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი

FM 105.5

გორი, ქარელი, ხაშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედი

FM 104.5

ურკი, ქოგულეთი, ბათუმი

FM 101.0

ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

